პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კავოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

ოთხშაბათი, 7 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 153 (1608)

დ ღ ი უ რ ი

— დეპუტატთა პალატაში აღელვებით მოელიან კაიოს გამოსვლას.
— პოლონეთის კომპარტიის ივლისის პლენუმმა გააკრიტიკა თავისი დადგენილება პარტიის პოზიციის შესახებ მაისის დღეებში.
— პოლონეთში ჩავიდენ ამერიკის ექსპერტები.
— მექსიკის მთავრობამ დაიწყო ბრძოლა კატოლიციზმის წინააღმდეგ.
— ბელგიის ნავთსადგურებში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა.
— ფინეთში გაფიცულია 10.000-მდე მუშა.

დღეს, ოთხშაბათს, 7 ივლისს საღამოს, 7 საათზე შესდგება
საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ცაკის მდივანი **თოდრია.**

ბიუჯეტების შედგენა

ახალი სამეურნეო წელი ახლოვდება. მის შესახვედრად ამთავიდანვე უნდა შევუდგეთ მზადებას. დღეს ჩვენ გვინდა შევჩერდეთ 1926—27 წლისათვის ბიუჯეტების შედგენის საკითხებზე.

თუმცა კარგა ხანია უკან დავტოვეთ ის დრო, როცა ბიუჯეტი თითქმის სამეურნეო წლის და უფრო დაგვიანებითაც მტკიცდებოდა, ასე რომ მას პრაქტიკული მნიშვნელობა ეკარგებოდა, მაგრამ დღესაც ვერ მიგვიღწევია ამ მხრივ სასურველ მდგომარეობისათვის, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ბიუჯეტი სათანადო ორგანოების მიერ უნდა იყოს დამტკიცებული სამეურნეო წლის დასაწყისისათვის და ამ ბიუჯეტის ფარგლებში უნდა ხდებოდეს ფინანსების ხარჯვა.

ბიუჯეტის დაგვიანებით შედგენის და დამტკიცების უარყოფით მხარეებზე სიტყვის გაგრძელება არ დაგვჭირდება. ეს ნიშნავს უგეგმო მუშაობას და ძალიან ხშირად იმდენი თანხების დახარჯვას, რომელიც აღემატება ქვეყნის ფინანსიურ შესაძლებლობას. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ადგილები ადგენენ გაბერილ ბიუჯეტს და ამის მიხედვით ეწევიან ხარჯებს, ცენტრის მიერ მისი დადასტურების მოლოდინში. ბოლოს ირკვევა, რომ ცენტრს ასეთი ხარჯების დაფარვის საშუალება არ მოეპოვება, ადგილობრივი ბიუჯეტები იკვეცება, ან ცენტრი იძულებულია ერთი რაიონის ან დარგის მოთხოვნილებათა ხარჯზე სხვა საჭიროებებისათვის ზედმეტი თანხები გაიღოს. ამით რესპუბლიკის მშენებლობის ფინანსიურ მეურნეობის მთლიანი გეგმა ირღვევა.

ამიერიდან მაინც ამ მოვლენას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. ბიუჯეტები ადგილებზე დროულად უნდა იქნეს შედგენილი და წარდგენილი სათანადო ორგანოებში, რომელნიც სასწრაფოდ უნდა შეუდგნენ მათ განხილვას და დამტკიცებას, რომ მომავალი პირველი ოქტომბრისათვის (სამ. წლის დასაწყისი) ყველაფერი მზად იყოს, რომ ყველამ იცოდეს, თუ რა ფინანსიური რესურსები იქნება მათ განკარგულებაში, რომელთა მიხედვით უნდა გასწიონ ხარჯები.

ბიუჯეტების შედგენა ადვილი საქმე როდია. მისი სათანადოთ შესრულება ყველაზე უფრო გაუჭირდებათ ადგილებს, პირველ ყოვლისა თემებს, მიტომ რომ მათ ნაკლები გამოცდილება აქვთ ამ დარგში და მომზადებული მუშაკებიც ცოტა მოეპოვებათ. ფინანსთა კომისარიატმა ადგილებს უნდა მიაწოდოს დაწვრილებითი ინსტრუქციები და გაუწიოს მათ საჭირო ხელმძღვანელობა.

მაგრამ სიძნელე მარტო ამაში არ მდგომარეობს. როგორც რესპუბლიკის, ისე ადგილების საბიუჯეტო უფლებებში ბოლო დროს მთელი რიგი ცვლილებებია შეტანილი მათი გაფართოების მიმართულებით, მაგრამ ეს საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი და ჩამოყალიბებული. საჭიროა ამ საკითხის დაჩქარებით მოწესრიგება. კერძოდ უნდა იქნეს მკაფიოთ გამიჯნული სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის მხრივ. ადგილებმა დროზე უნდა გაიგონ, შემოსავლის რა წყაროები გადადის მათ განკარგულებაში და რა ხარჯების გაწევა ეკისრებათ მათ.

მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ადგილობრივი ბიუჯეტების სწორედ შედგენა. რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება მათი შედგენის დროს? ბიუჯეტი არის მეურნეობის მდგომარეობის სარკე, მასში უნდა ჰპოვოს სრული გამოხატულება მშენებლობის გეგმამ. უნდა იქნას გათვალისწინებული ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ერთეულის გადაუდებელი საჭიროებანი, ფართე საშუალებებთან შეუფარდებელ მიზნებით გატაცებას არ უნდა ექნეს ადგილი. მხოლოდ მაშინ მივიღებთ მიზანშეწონილ და რეალურ ბიუჯეტს.

ჩვენი ბიუჯეტი ჯერ-ჯერობით უმთავრესად სამომხმარებლო ხასიათს ატარებს, აპარატის შენახვას და სხვა არასაწარმოო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მეტად საგრძნობი თანხები ხმარდება.

ჩვენ მტკიცე გეზი უნდა ავიღოთ ასეთი ხარჯების შესაძლებლობის ფარგლებში შემცირებამდე, სამაგიეროდ უნდა გავადიდოთ ბიუჯეტში სამეურნეო-საწარმოო ხარჯების ხვედრი წონა. ჩვენი ლოზუნგია ადგილობრივ მრეწველობის განვითარება, და ეს ლოზუნგი უნდა დაეტყოს მომავალ ბიუჯეტს.

ბიუჯეტში უნდა ჰპოვოს გამოხატულება აგრეთვე მომჭირნეობის ლოზუნგმა, რომლის განსახორციელებლად ამჟამად ფართე კამპანიაა გაშლილი. სოფლად ამ მხრივ ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა, მაშინ როცა იქაც, სოფლის საბჭოთა ორგანოებშიაც, ეჭვი არ არის, ცოტა შემთხვევები არ არის უთავბოლობის, სახელმწიფო საშუალებებისადმი „თავისუფალ" მოპყრობის, ხელგაშლილობის. ბიუჯეტის შედგენის დროს ამ მომენტსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან თემის ისედაც მცირე ბიუჯეტისათვის თვითეულ კაპეიკის შემონახვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

რათა ყველა ეს ამოცანები იქნეს განხორციელებული, საჭიროა ბიუჯეტის შედგენაში თემის საბჭომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს. ეს არ არის საქმე მარტო აღმასკომის. მშენებლობის გეგმის გამომუშავება და ამასთან შეფარდებით ბიუჯეტის შედგენა,—ეს, თემაღმასკომთან ერთად, საბჭოს უფლებასა და მოვალეობას შეადგენს, და საბჭომ აქ უნდა გამოიჩინოს თავისი აქტივობა.

ბოლოს, ჩვენ გვინდა შევეხოთ საბიუჯეტო დისციპლინის საკითხს. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. ადგილები ხშირად ანგარიშს არ უწევენ ბიუჯეტს და ეწევიან ზედმეტ ხარჯებს, ან საშუალებებს სხვა დანიშნულებაზე ხმარობენ, ვინემ ეს ბიუჯეტითაა გათვალისწინებული. მომავალში მაინც უნდა აღიკვეთოს საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევა. ადგილებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ცენტრიდან იმაზე მეტს ვერ მიიღებენ, რაც ბიუჯეტითაა დამტკიცებული.

ახალი სამეურნეო წლისათვის ბიუჯეტის დროზე და რიგიანად შედგენა ჩვენი ერთი უდიდესი მორიგი საქმეთაგანია. ცენტრი, მაზრა, თემი დაჩქარებით უნდა შეუდგენ ამ მხრივ მუშაობას. უნდა ვიცოდეთ, რომ ბიუჯეტის დროულად შედგენასა და დამტკიცებაზე დამოკიდებულია თანხების წესიერად მიღება და მშენებლობის შეუჩერებლად გაგრძელება.

საბოტაჟის პოლიტიკა გრძელდება

(„პრავდა"-ს მოწინავე)

ყოველი შეგნებული მუშა შიშით და იმედით ითვლის სამთამადნო მუშების დიადი გაფიცვის დღეებს. იმედით იმიტომ, რომ მისთვის გულთან ახლოა და ძვირფასია ბრძოლა; იმიტომ, რომ ის გრძნობს მებრძოლ ინგლისელ მუშების ძლიერების ზრდას; იმიტომ, რომ ის ხედავს, როგორ იხსნება შემდგომი ბრძოლის ფართო პერსპექტივები. შიშით იმიტომ, რომ ის ხედავს, როგორ მრავლდებიან გაფიცვის წინაშე საფრთხეები, როგორ იწრიტება მებრძოლთა საშუალებანი, როგორ მძიმე ხდება მათი მდგომარეობა, როგორ იერიშებზე გადმოდიან მოწინააღმდეგე კლასის ძალები, როგორ შედის ინგლისში ნახშირი შტრეიკბრეხერების ხელით.

ინგლისელ გაფიცულთა საერთაშორისო დახმარების საკითხი ყოველი წუთით სულ უფრო გადაუდებელი ხდება. ნამდვილად კი ეს დახმარება სათანადო მასშტაბით დღემდე არ არის მოგვარებული.

უნდა გვეფიქრა, რომ სამთამადნო მუშებს პირველ რიგში დახმარების ხელს სამთამადნო მუშების ინტერნაციონალური ორგანიზაცია გაუწევდა: რაც არ უნდა იყოს გაფიცულია სამთამადნო მუშების ინტერნაციონალის ყველაზე ძლიერი რაზმი. მაგრამ, ვინაიდან სამთამადნო მუშების ინტერნაციონალის ხელმძღვანელი პოსტები დაკავებული აქვთ ამსტერდამელ რეფორმისტებს, არავითარ დახმარებას გაფიცვისადმი სამთამადნო მუშების ინტერნაციონალის მხრივ ჩვენ არ ვხედავთ. ყვითელი ბელადები კვლავ განაგრძობენ საბოტაჟს გაფიცვისადმი ისევე, როგორც ეს თავიდანვე დაიწყეს. კიდევ მეტი, ისინი საერთაშორისო ბურჟუაზიის კარნახით შეგნებულად აწარმოებენ შტრეიკბრეხერულ პოლიტიკას, ხელს უწყობენ ინგლისის გაფიცვის ჩაშლას გარედან ნახშირის მოწოდებით. ხელს უშლიან რა მატერიალურად გაფიცვის წარმატებით მიმდინარეობას, ისინი აფერხებენ მას პოლიტიკურადაც. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა სამთამადნო მუშების ინტერნაციონალის გენერალური მდივნის კარგად ცნობილი ფრანკ ხოჯესის გამოსვლა გერმანელ სამთამადნო მუშების ყრილობაზე.

ხოჯესის გამოსვლა რენეგატობის და უმსგავსო პირფერობის მართლაც შეუდარებელი ნიმუშია. ხოჯესი „მოუწოდებს" ინგლისელ სამთამადნო მუშების საერთაშორისო დახმარებისაკენ. ხოჯესი ამავე დროს ჰკიცხავს „საერთაშორისო გაფიცვის მეთოდებს", ჰკიცხავს „რევოლიუციონურ მეთოდებს". ხოჯესი თვალის ახვევად ლაყბობს დახმარებაზე. იგივე ხოჯესი ხსნის დღის წესრიგიდან ინგლისელ მუშების დახმარების საკითხს, როგორც განსაკუთრებულ მუხლს. ხოჯესი და მისი მეგობრები ამჯობინებენ დახმარების აღმოჩენას „საიდუმლოთ", ე. ი. ისე, რომ ამ „დახმარებისაგან" არავის არც სციოდეს, არც სცხელოდეს.

ხოჯესის მთავარი აზრი, იმაში მდგომარეობს, რომ მიღწეული უნდა იქნეს „სამთამადნო მუშების თანაბარი შრომის პირობები სხვადასხვა ქვეყნებში", კონკრეტიულად—გერმანიაში და ინგლისში. მაგრამ, რა არის ამის მისაღწევად საჭირო? ან სამუშაო დღის შემცირება გერმანიაში, ან სამუშაო დღის თანაბარ ხანგრძლივობის შემოღება „კომპრომისის" გზით. მაგრამ, ვინაიდან არავინ არ დაიჯერებს, რომ ხოჯესი მართლაც სერიოზულად იბრძოლებს გერმანიის სამთამადნო მუშების სამუშაო დღის შემცირებისათვის, ამას პირველ ყოვლისა არ დაიჯერებს ხოჯესის კარგად მცოდნე ბურჟუაზია,—რჩება ერთი გზა. სამუშაო დღის თანაბარი ხანგრძლივობის შემოღება „კომპრომისის გზით", ე. ი. ინგლისელ სამთამადნო მუშების სამუშაო დღის გადიდებით.

სხვანაირად რომ ვსთქვათ, სამთამადნო მუშების გაფიცვის [illegible] დროს, სამთამადნო მუშების საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი გამოდის ისეთი „პროგრამით", რომელიც, როგორც წყლის ორი წვეთი, ჰგავს ინგლისელ მაღაროების მეპატრონეების „პროგრამას".

ასეთია „დახმარება", ასეთია „მხარის დაჭერა" ინგლისელ მებრძოლთათვის საერთაშორისო მასშტაბით, რომელიც ძალუძთ რეფორმისტულ ბელადებს. ინგლისელი სამთამადნო მუშები არავითარ დახმარებას არ უნდა მოელოდნენ ამსტერდამისაგან. ამსტერდამის მხრივ დახმარება არ ყოფილა და არც იქნება შემდეგში.

ინგლისელ სამთამადნო მუშების გაფიცვის მდგომარეობა გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს. თუ დახმარების აღმოჩენა არ შეუძლიათ ამსტერდამის ჯგუფის საერთაშორისო გაერთიანებებს, ეს დახმარება შეუძლია და უნდა იკისროს პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებამ, რომელშიაც შედიან ევროპის ყველაზე ძლიერი ორი ქვეყნის პროფკავშირები.

დახმარების საქმეს უნდა შეუდგეს ინგლის-რუსეთის კომიტეტი. უნდა შეუდგეს, რაც შეიძლება დაჩქარებით.

მაგრამ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს წინადადებაზე ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის შესახებ, დღემდე პასუხი არ არის მიღებული. გენერალურ საბჭოს ბელადები აქამდე რაღაცაზე „ფიქრობენ" და მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვა კრიტიკულ დღეებს განიცდის, გენერალური საბჭო არ იჩქარის.

იქნებ გენერალური საბჭო ფიქრობს სამთამადნო მუშების დახმარების მაგიერ დაკმაყოფილდეს ყოველგვარ კონკრეტიულ შინაარსს მოკლებულ თავის ამისწინანდელ „დეკლარაციით". გენერალური საბჭო ყოვლად დაუშვებელ საბოტაჟს უწევს ჩვენს წინადადებას. როგორც სჩანს, გენერალურ საბჭოს თავისი საკუთარი ბურჟუაზიის შიშით ენა ჩაუწყდა. სამთამადნო მუშების დახმარების მიზნით კომიტეტების მოწვევის საკითხისათვის გვერდის ავლება, ამჟამად არაფრით არ ჩამოუვარდება იმ საბოტაჟის პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებენ ხოჯესები და მათი კომპანია. გენერალურმა საბჭომ „გაბედოს" გარკვეული პასუხის მიცემა. თუ მას ვერ უთქვამს ჰო, დეე სთქვას არა"!

გადმოცემულია ტელეგრაფით. მოსკოვი, 6 ივლისი.

ავსტრიის მუშათა დელეგაციის განცხადება

დელეგაციის წევრები მუშა სოციალ-დემოკრატები ილაშქრებენ რუს სოც-დემოკრატების: დანის და აბრამოვიჩის წინააღმდეგ

ავსტრიის სოც.-დემ. ორგანომ „არბაიტერ ცაიტუნგ"-მა არ დაბეჭდა თავის პარტიის წევრების წერილი

დელეგაციის წევრები სოციალ-დემოკრატები აცხადებენ რუს სოციალ-დემოკრატების საპასუხოთ შემდეგს: „არავითარ ცილისწამებასა და ლანძღვა-გინებას არ ძალუძს გაანელოს ჩვენში სიხარული, რომელიც განვიცადეთ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღმშენებლობა სოციალისტური მიმართულებით ვითარდება, რომ ჩვენი მოძმე მუშების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ჩვენ გვიხარია, რომ ჩვენმა კლასიურმა მოძმეებმა შესძლეს კაპიტალისტური წესწყობილების საბოლოოდ დამხობა და ჩვენ ავსტრიელ მუშებს გამუდმებით ვუამბობთ რუსეთის რევოლიუციის წარმატებაზე და სწორ ცნობებს ვაწვდით საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ.—„საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებამ ყოველ დარგში, რაიცა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის საამაყო ღვაწლს წარმოადგენს, ჩვენში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში ხელახლა განამტკიცა მუშათა კლასის გამარჯვების რწმენა".

ავსტრიის კომუნისტურ გაზეთ „როტეფანე"-ს რედაქციისაგან.

საბჭოთა კავშირში ნამყოფ სოციალ-დემოკრატიულ დელეგატებისაგან ჩვენ მივიღეთ წერილი, რომლის ავტორები გვთხოვდნენ რომ ის დაგვებეჭდა სოციალ-დემოკრატიულ „არბაიტერ ცაიტუნგში" დაბეჭდილი წერილის საპასუხოდ. ეს პასუხი ავტორებმა 10 ივნისს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს, მაგრამ „არბაიტერ ცეიტუნგმა" უარი სთქვა მის დაბეჭდვაზე. საუცხოვო ყოფა-ქცევაა თუ გინდათ, ეს არის! ჯერ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოში საზიზღარ ცილისწამებას ბეჭდავენ საკუთარი პარტიული წევრების წინააღმდეგ, შემდეგ ამ უკანასკნელთ თავის გამართლების უფლებას ართმევენ. ეს მენშევიკური მორალი გახლავთ!

თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ სოციალ-დემოკრატ ამხანაგების სურვილს ვაკმაყოფილებთ და მათ წერილს უცვლელად ვბეჭდავთ.

(„როტეფანე" 26 ივნისი).

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო! ამასთანავე გიგზავნით წერილს, რომელიც „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს" პასუხს წარმოადგენს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როგორც ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს ისეთივე სტუმართ-მოყვარეობით მოგვეპყრობით, როგორც რუსის სოციალ-დემოკრატებს მოეპყარით და ვთხოვთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ განკარგულება გასცეს ეს წერილი უცვლელად დაიბეჭდოს „არბაიტერ ცეიტუნგსა" და სხვა პარტიულ გაზეთებში, რომელშიც რუსული წერილი გამოქვეყნდა.

ავსტრიის მუშათა დელეგაციის სოციალ-დემოკრატ წევრების მინდობილობით

ფარკაშ, პიცლი.

„არბაიტერ-ცაიტუნგის" ამა წლის 23 მაისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი შემდეგის სათაურით:

რუსის სოციალდემოკრატები ავსტრიის მუშათა დელეგაციის შესახებ

ეს წერილი ჩვენ, როგორც ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს გვავალებს პასუხი გავსცეთ.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი კმაყოფილება არ გამოვსთქვათ იმის გამო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ბიურო ერთ ხაზზე გვსვამს ინგლისის პროფკავშირების დელეგატებთან, მაშასადამე, ჩვენც ისეთივე ერთგულ სოციალ-დემოკრატებათ გვთვლის, როგორც ინგლისის პროლეტარიატის გამოჩენილ ბელადებს, რომელთაც ჩვენზე ადრე იმოგზაურეს საბჭოთა კავშირში იქაური ცხოვრების შესასწავლათ.

რუსის მენშევიკები თავიანთ წერილში სწერენ: „ყველა ეს დელეგაციები, მათ შორის ავსტრიის დელეგაციაც, სწორეთ ისეთ დასკვნებს აკეთებენ, რომელიც ბოლშევიკების პოლიტიკური მეთოდების გასამართლებლად გამოდგება": ამ დებულებით რუსის მენშევიკებს უნდათ ჩვენ ბოლშევიკების დამქაშებათ გამოგვაცხადონ, რასაც წერილის მეორე ადგილას აშკარად ამბობენ კიდეც. იქ განმეორებულია, რომ ყველა მუშათა დელეგაციები (მაშასადამე გერმანული, ბელგიური, ჩეხური, შვეციური, ავსტრიული, ინგლისის პროფკავშირებისა, უცხოელ მასწავლებლების, რკინისგზელების, ახალგაზრდათა ორგანიზაციების და სხ., რომელთაც საბჭოთა კავშირი მოიარეს, რუსის მუშების მდგომარეობა შეისწავლეს და ერთსულოვნად საბჭოთა კავშირის აღორძინება დაადასტურეს) კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის იარაღს წარმოადგენენ". ეს დებულება ავსტრიის მუშათა დელეგაციის სოციალ-დემოკრატ წევრების შეგნებული ცილისწამებაა.

მაგრამ ეს გარემოება ჩვენთვის არაფერს წარმოადგენს გასაოცარს. ჩვენ რუსის მენშევიკების მეთაურებისაგან სრულიადაც არ ველოდით, რომ ჩვენს გულწრფელობაში ეჭვს არ შეიტანდნენ. მაგრამ ნუ თუ რუსის მენშევიკებს სწამთ, რომ სოციალ-დემოკრატი მუშები მათ დაუჯერებდენ, როცა ისინი ამტკიცებენ, რომ ყველა სოციალ-დემოკრატი დელეგატები, რომელნიც დღემდე საბჭოთა კავშირში ყოფილან, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის იარაღები არიან? თუ ეს ჭეშმარიტების გამომჟღავნების შიშია, რომელიც მათ ასე ალაპარაკებთ?

რუსის მენშევიკებს ეჭვი შეაქვთ აგრეთვე იმაში, რომ მიუდგომლად ვაფასებთ საბჭოთა კავშირის მდგომარეობას. **ამიტომ ნუ დაგვძრახავენ თუ გულახდილად ვიტყვით, რომ არც ჩვენ გვწამს, რომ „რუსეთის მენშევიკების ბიუროს" წევრებს სათანადო ობიექტივობა აქვთ რუსეთის რევოლიუციისა და მისი ხელმძღვანელის, კომუნისტური პარტიის დასაფასებლად.** ჩვენ შეგვეძლო ზოგიერთი ფაქტებით აღგვენიშნა, თუ როგორ „ობიექტიურად" უყურებენ ამ წერილის ავტორები რუსეთის რევოლიუციასა და საბჭოთა მთავრობას, მაგრამ ამ წუთში ხალისი არ გვაქვს, რომ ზემოაღნიშნული ბიუროს პოლემიკა გავუმართოთ.

ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენ, ავსტრიელი მუშათა დელეგატები, რუსეთის მენშევიკური ბიუროს წევრებს, მათი დამოკიდებულების გამო საბჭოთა სისტემასთან არასოდეს არ ჩავსთვლით ჩვენი მოხსენების მიუდგომელ დამფასებლებად.

რაც შეეხება ჩვენს განცხადებებს, რომელნიც წერილის ავტორების აზრით „არავითარ ეჭვს არ სტოვებენ იმის შესახებ, რომ ჩვენ სრული სოლიდარობას ვუცხადებთ კომუნისტებს", ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ **ამ განცხადებებში** სრულიადაც ის არ გვითქვამს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური, სოციალიური და კულტურული აღორძინება სრულიადაც რუსეთის კომუნისტური პარტიის დამსახურებაა. პირიქით, ჩვენ ვსთქვით, რომ ეს მთელი საბჭოთა კავშირის „მუშათა კლასის და გლეხკაცობის" დამსახურებაა. **თუმცა პირადათ იმ აზრის ვართ, რომ კომუნისტურ პარტიას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ აღორძინებაში.** ჩვენ ამ განცხადებაში გავიმეორეთ მხოლოდ ის რაც ამხ. ოტტო ბაუერმა სთქვა ვენის პარტიულ რწმუნებულთა კონფერენციაზე, სადაც მან აღიარა, რომ საბჭოთა კავშირი უდიდეს ეკონომიურ აღორძინებას განიცდის.

ამხ. ოტტო ბაუერმა დიდი ქება მიუძღვნა რუსეთის კომუნისტური პარტიის მუშაობას ზოგიერთს დარგში. მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია ამხ. ოტტო ბაუერი კომუნისტების სრულ თანამგრძნობლად გამოეცხადებია.

შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ ჩვენ მხოლოდ ის დავინახეთ, რასაც ჩვენი თანხლები რუსის „კომუნისტების აგენტები" გვიჩვენებდნენ; ამ ყალბ **დებულებას შემდეგი სწორი ფაქტები უნდა დაუპირისპიროთ.** როცა ჩვენ მოსკოვში ჩავედით პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს წინანდელი დელეგაციების მარშრუტი და გეგმები მოვსთხოვეთ, რომლის მიხედვით ჩვენმა დელეგაციამ თვითონ შეადგინა თავისი მოგზაურობის გეგმა. **საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ამ გეგმაზე.**

ამით თავის თავად ბათილდება წერილის ავტორების მტკიცება, რომ ჩვენ ლენინგრადში არ გაგვიშვეს რათა იქ კავშირი არ დაგვეჭირა კომუნისტური პარტიის ოპოზიციასთან.

ამას გარდა ჩვენ ვადასტურებთ, რომ რუსეთის პროფკავშირების წარმომადგენელი, ბირმანი, მოსკოვიდან პირველად ლენინგრადში გვიწვევდა, მაგრამ, რადგან არაჩვეულებრივმა სიცხემ ზოგიერთ ამხანაგების ავადმყოფობა გამოიწვია, ჩვენ ვამჯობინეთ პირველად სამხრეთის ცენტრები დაგვეთვალიერებინა და მხოლოდ შემდეგ ვეწვიეთ ლენინგრადს. წერილის ავტორების დასამშვიდებლად უნდა ვსთქვათ, რომ არა თუ გავეცანით იქაურ ოპოზიციას, არამედ პირადად ველაპარაკეთ კიდეც მის ბელადს, ამხ. ზინოვიევს.

ჩვენი მოქმედება სრულიადაც არ ყოფილა შებოჭილი, ჩვენ თავისუფლად შევდიოდით ქარხნებში, **მუშებს პირისპირ ველაპარაკებოდით ყოველი „მეთვალყურეობის" გარეშე და თარჯიმანებათ თვით დელეგაციის ზოგიერთ წევრებს ვიყენებდით, რომელთაც ესმოდათ რუსული ენა.**

დელეგაციის წევრები ხშირად დადიოდნენ სხვადასხვა ადგილას. **ისე, რომ ოფიციალური პირები არ ჰხლებიათ,** შედიოდნენ მუშების ბინებში და სასადილოებში, ესაუბრებოდნენ მუშებს მათი მდგომარეობის შესახებ და სხ. **ამ საუბრის დროს არავითარი უკმაყოფილება არ შეგვიმჩნევია; ყველა მუშები, უწინარეს ყოვლისა უპარტიო მასები, სრული ნდობით არიან განმსჭვალულნი საბჭოთა წესწყობილებისადმი.**

ჩვენ არ შეგვიმჩნევია, რომ მთავრობა ტერორს აწარმოებდეს და აზროვნების თავისუფლებას ახშობდეს, **რასაკვირველია თუ აზროვნების თავისუფლებათ არ ვიგულისხმებთ აშკარა მტრობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყოველ მუშას კრიტიკის უფლება აქვს.** რაიცა, სხვათა შორის, მტკიცდება იმით, რომ მუშები გაზეთ „ტრუდში" ხშირად სასტიკად ამხილებენ ნაკლსა და შეცდომებს, რომელიც თან სდევს ახალი წესწყობილების დამყარებას. **და ამ აშკარა და თავისუფალ კრიტიკას, უცხოეთში ხშირად გაზვიადებულ კამპანიისთვის იყენებდენ საბჭოთა წესწყობილების და მისი დაწესებულებების წინააღმდეგ.**

ასეთი კრიტიკა, რასაკვირველია, ზოგიერთ ყრილობებზეც სწარმოებს. ადვილი შესაძლებელია, რომ მენშევიკების წერილში აღნიშნული შემთხვევა, რომელიც აღმშენებელი მუშების ყრილობას ეხება, მართალი იყოს. მართალია, რომ აღმშენებლობის დარგში მუშები რვა საათზე მეტს მუშაობენ. აღმშენებლობის დარგი საბჭოთა კავშირშიც სეზონის დარგია. განსაკუთრებით მუშათა ბინების აღმშენებლობაშია შემოღებული ხანგრძლივი სამუშაო დღე, მიტომ, რომ ბინების საქმე ბეჩავ მდგომარეობაში იმყოფება; მეფის რეჟიმმა საბჭოთა მთავრობას ამ მხრივ მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა. და თუ დღეს საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ მდგომარეობა გამოასწოროს და გაცხარებული მუშაობას აწარმოებს. ეს თვით პროლეტარიატის კეთილდღეობისთვის ხდება.

მენშევიკური წერილის ავტორებს ყალბათ მოჰყავთ ჩვენი დელეგაციის წევრების განცხადებანი, რომელიც სხვადასხვა დროს გავაკეთეთ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს: ეს აიხსნება ან ყალბი ინფორმაციით, ან წინასწარ განზრახული დამახინჯებით. ამხ. მარელს არასოდეს არ უთქვამს, რომ ის სავსებით ეთანხმება ტერორს სოციალისტების წინააღმდეგ; მან მხოლოდ შემდეგი განაცხადა:

„ავსტრიის ბურჟუაზიული პრესა მუდამ ამტკიცებდა, რომ რუსეთში ტერორი ბატონობსო. მე მგონია, რომ ავსტრიელი მუშები თავიანთ „დემოკრატიას" სიამოვნებით გაცვლიდენ თქვენს „ტერორში"".

რაც შეეხება ფრანკაშის სიტყვებს, რომ „საუკეთესო ის არის, რომ ძალაუფლება მუშების ხელშიაო" და „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ავსტრიის საბჭოთა რესპუბლიკას მოვესწრობითო", პირველი ციტატის შესახებ მენშევიკური წერილის ავტორებს უნდა მოვახსენოთ, რომ დღესაც ვიზიარებთ იქ გამოთქმულ აზრს, ხოლო, რაც შეეხება მეორეს, ჩვენ ვკითხავთ მენშევიკური წერილის ავტორებს: როდის აეკრძალათ ავსტრიის სოციალ-დემოკრატებს თანაგრძნობის გამოცხადება საბჭოთა რესპუბლიკის იდეისადმი?

ჩვენ არ გვინდა ფართოთ შევეხოთ წერილის ავტორების ბრალდებას, რომ ჩვენ „თითქო სავსებით კომუნისტური პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის უმრავლესობის თვალსაზრისს თანაუგრძნობდეთ". ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი მოგზაურობა საბჭოთა რუსეთში იმისთვის კი არ მოგვიწყვია, რომ იქ კომპარტიის უმრავლესობის და უმცირესობის თვალსაზრისი შეგვესწავლა. ჩვენი მიზანი იყო გამოგვერკვია, როგორ ცხოვრობს რუსის მუშა, რა მიმართულებით ვითარდება საბჭოთა რუსეთის აღმშენებლობა? **თუ ჩვენ იმ აზრს დავადექით, რომ საბჭოთა რუსეთის აღმშენებლობა სოციალისტური მიმართულებით მიმდინარეობს, ჩვენ განმარტოებულნი როდი ვართ ამ მხრივ.**

წერილის ავტორები ლაპარაკობენ, თითქო ჩვენ ხარკოვის სატუსაღოები დაგვეთვალიერებინოს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ავსტრიის მუშათა დელეგაციას ხარკოვში არავითარი სატუსაღო არ დაუთვალიერებია. ეს სიყალბე ხარკოვის სატუსაღოს შესახებ ნათლად გვიჩვენებს, რამდენად სამართლიანია დანარჩენი ბრალდებები დელეგაციის წინააღმდეგ. **როცა გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ ციმბირის საკატორღო ციხეები არ დავათვალიერეთ, ეს აშკარა დემაგოგიური განზრახვით ხდება. საქართველოს მაგივრად, რომ ციმბირში წავსულიყავით, მაშინ გვეტყოდენ: რატომ საქართველო არ ინახულეთო, იქ ხომ სოციალისტებს სდევნიანო. შეიძლება მეორე ავსტრიელმა დელეგაციამ ნათელი მოჰფინოს ციმბირის კატორღის საკითხსაც.**

ხოლო ჩვენ თავიანთ თავს ნებას მივსცემთ მენშევიკურ ბიუროს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი გავსცეთ.

პირველი კითხვა: რა გავაკეთეთ ჩვენ იმისთვის, რომ რუსეთის სინამდვილის გამოკვლევის დროს ჩვენი პარტიული ამხანაგების აზრიც გაგვეგო?

პასუხი: ჩვენ შევეცადეთ რაც შეიძლება მეტ სოციალ-დემოკრატ მუშებს შევხვედროდით, რასაც სავსებით მივაღწიეთ კიდეც. ჩვენ საუბარი გვქონდა მრავალ ყოფილ სოციალ-დემოკრატ მუშებთან, რომელნიც წარმოებებში ან საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობენ და დღეს ნაწილობრივ კომუნისტურ პარტიას ემსახურებიან, ხოლო ნაწილობრივ უპარტიონი არიან. და სწორედ ამ უპარტიო მუშებისაგან, რომელნიც წინათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ემსახურებოდენ, ჩვენ გავიგეთ, რომ სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურმა ორგანოებმა ბევრი შეცდომა ჩაიდინეს 1917 წლის რევოლიუციის დროს.

ამ შეცდომების გამორკვევას ჩვენ დავუკვირდებით, თუ ეს საჭირო იქმნა. გარდა ამისა ჩვენ თბილისის ციხეში გავეცანით სოციალ-დემოკრატების ბელადების შეხედულებებს. მათ ჩვენთან გულახდილად ილაპარაკეს რუსეთის რევოლიუციის ამოცანებზე.

მეორე კითხვა: ვისი სახელით გამოდიოდენ დელეგაციის სოციალ-დემოკრატი წევრები?

პასუხი: აქ როგორც სჩანს ავტორებისთვის სავსებით უცნობია საინფორმაციო და ცნობათა მიმწოდებელ წყაროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ჩვენ ყოველთვის იმ ავსტრიელი მუშის სახელით გამოვდიოდით, რომელთა ჩვენ რუსეთში გაგვავზავნეს.

მესამე კითხვა: რას წარმოადგინენ დელეგაციის სოციალ-დემოკრატი წევრები: კომუნისტური პარტიის შეგნებულ თუ შეუგნებელ იარაღს?

პასუხი: არც ერთსა და არც მეორეს. დაწვრილებითი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, **მიტომ, რომ ის ავსტრიის მუშათა დელეგაციის სოციალ-დემოკრატ წევრების აშკარა შეურაცყოფას წარმოადგენს. მაგრამ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: არავითარ ცილისწამებასა და ლანძღვა-გინებას არ ძალუძს გაანელოს ჩვენი სიხარული, რომელიც განვიცადეთ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღმშენებლობა სოციალისტური მიმართულებით ვითარდება, რომ იქ ჩვენი მოძმე მუშების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ჩვენ გვიხარია, რომ ჩვენმა კლასიურმა მოძმეებმა შესძლეს კაპიტალისტური წესწყობილების საბოლოოდ დამხობა და ჩვენ ავსტრიელ მუშებს გამუდმებით ვუამბობთ რუსეთის რევოლიუციის წარმატებაზე და სწორ ცნობებს მივაწვდით საბჭოთა კავშირის მდგომარეობაზე.**

მენშევიკური წერილის ავტორები უნდა შეურიგდენ იმ ფაქტს, რომ ჩვენ, ავსტრიის მუშათა დელეგაციის წევრები, სრულიად სხვანაირად ვუცქერით რუსეთის რევოლიუციას, ვიდრე რუსეთის მენშევიკების ბიურო.

ბოლოს, ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ იმ სიტყვებს, რომელიც რუსეთის მენშევიკების ბიურომ დიდ დანაშაულად ჩაგვითვალა: **„საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებამ ყოველ დარგში, რაიცა კავშირის მუშათა კლასის საამაყო ღვაწლს წარმოადგენს, ჩვენში ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ხელახლა განამტკიცა მუშათა კლასის გამარჯვების რწმენა.**

და ჩვენ, როგორც ავსტრიელი სოციალ-დემოკრატი მუშები, მთელ ძალღონეს ვიხმართ, რომ იმ მიზანს მივაღწიოთ, რომელიც მთელი ავსტრიის პროლეტარიატის ოცნებას წარმოადგენს: სოციალიზმის განხორციელებას ჩვენს ქვეყანაში.

ავსტრიის დელეგაციის სოციალ-დემოკრატი წევრები: ფარკაში, პიტლი, ლარესი, მეიერი, ეიხნერი, მარკლი, ფიალა, რაზინგერი, გურიანი.

ვენა, ივნისი, 1926 წ.

საბჭოთა პრესა

საბჭოთა მეურნეობა სძლევს სიძნელეებს.

ამ სიძნელეებზე ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი. როგორც მკითხველებმა იციან, მიმდინარე სამეურნეო წელი დაიწყო ამ სიძნელეთა ნიშნის ქვეშ. და როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, აყაყანდა კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაცია, რომელსაც „დიქტატურის კრახი" მოეჩვენა და სიხარულს მიეცა. ეს სიხარული გამოდგა ნაადრევი და ნაყოფი „უაზრო ოცნების", რომელიც მათთვის ასე დამახასიათებელია. თავის თავად ცხადია, საბჭოთა კავშირის სამეურნეო პროგრამა, ფართო მასშტაბისა და პრინციპიალურათ სრულიად ახალი (მსოფლიო მეურნეობის სისტემაში) ვერ იქნება გატარებული უმტკივნეულოდ და „პირწმინდათ" იმ ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობებში, რომლებშიც ის ხორციელდება. აქედან წარმოსდგება მთელი რიგი სიძნელეთა, რომლებიც აუცილებელია. საზრუნავია მხოლოდ ის, რომ ეს სიძნელენი არ გადაიზარდნენ(?) მთელი ეკონომიური სისტემის კრიზისში, რომ შევარბილოთ ეს სიძნელენი, დავსძლიოთ ისინი. როგორაა ამ მხრით საქმე? საკმაოდ კარგად, ყოველ შემთხვევაში იმდენად კარგად, რომ სანუგეშო თეთრგვარდიელებისათვის არასფერი ამაში არ არის.

ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დასკვნები, რომლებიც შეეხებიან მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი რვა თვის სამეურნეო განვითარების ანალიზს. ამავე საგანს ეხება ამხ. **გ. კრუმინი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ში (№ 145)** და სვამს საკითხს: „დაძლეულია თუ არა ის სამეურნეო სიძნელენი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მთელ ჩვენ მეურნეობაში ამ ნახევარი წლის განმავლობაში?" უკეთებს რა შედარებით ანალიზს საბჭოთა მეურნეობის სხვადასხვა უმთავრეს დარგებს, ის ამტკიცებს ციფრებით ხელში, რომ

„ყოველგვარი ეჭვის გარეშე, რომ სამეურნეო სიძნელენი არ გადასულან კრიზისში. ჩვენ მოწამენი ვართ მრეწველობის (როგორც მთელის) ჯანსაღი ზრდისა. სამეურნეო სიძნელეებმა ვერ გაამრუდეს საბჭოთა მეურნეობისა და საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის საერთო განვითარების ხაზი, რაც მდგომარეობს საბჭოთა კავშირის ლითონის ბაზის და საერთოდ მთელი მძიმე ინდუსტრიის უფრო ჩქარი ტემპით ზრდაში".

იგივე მდგომარეობაა მესამე კვარტალის პირველ ორ თვეში: აპრილში და მაისში.

„უკანასკნელი თვეების განვითარება,—ამბობს კრუმინი,—იძლევა გარდატეხას როგორც სავაჭრო, ისე საზოგადოთ კავშირის სამეურნეო განვითარების კონიუნქტურაში. ეს გარდატეხა გამოიხატება საქონლის კრიზისის (ТОВАРНЫЙ ГОЛОД) შენელებაში, სასოფლო-სამეურნეო ფასებისა და უკანასკნელ ხანებში კი სამრეწველო საქონლის ფასების საკმაო ძლიერ და შეუჩერებელ შემცირებაში".

ასეთია მდგომარეობა სამეურნეო წლის მეოთხე კვარტალის წინ. ეჭვს გარეშეა საშუალო მოსავალი, რომლის მოლოდინში ვართ წელს, კიდევ უკეთეს გავლენას მოახდენს ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

ექსპერტთა მოხსენება

პარიზი, 5 ივლისი. ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა ექსპერტთა კომიტეტმა, რომელსაც უფლება აქვს დასკვნა გაუკეთოს ყველა ფინანსიურ საკითხებს, წარმოადგინა მოხსენება საბიუჯეტო საქმის რეფორმის შესახებ. **მოხსენებაში ნათქვამია, რომ ფინანსთა მინისტრს სხვა მინისტრებთან შედარებით განსაკუთრებული უფლებები უნდა მიეცეს ყველა ფინანსიურ საკითხების გადაჭრის საქმეში.**

ექსპერტთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიმდინარე სახელმწიფო ვალის დასაფარავად აუცილებელია ახალი შემოსავლის წყაროების გამოძებნა 1926 წლის მეორე ნახევრისათვის დაახლოვებ. 2½ მილიარდ ფრანკის რაოდენობით, ხოლო 1927 წლისათვის—დაახლოვებით 5 მილიარდი ფრანკის.

ამის გამო კომიტეტი საჭიროდ სთვლის ფართო მოხმარების საგნების დაბეგვრის გადიდებას ბაჟების მომატების გზით, გადასახადის შემოღებას სავაჭრო ბრუნვაზე, ტრასპორტზე, აქციზის დაწესება შაქარზე და სასმელებზე.

ექსპერტთა კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფო ხარჯების უაღრესად შემცირება და ვალიუტის სტაბილიზაცია უნდა განხორციელდეს იმ თანხების შემწეობით, რომელიც შემოაქვთ გრძელვადიან სესხებს. **მოხსენების დასასრულს ნათქვამია, რომ საჭიროა სასწრაფოდ დამტკიცებულ იქნეს შეთანხმება შეერთებულ შტატებთან საფრანგეთის ვალის მოსაწესრიგებლად საჭიროა აგრეთვე დაუყონებლივ განხორციელებული იქნეს მოლაპარაკება ინგლისთან საფრანგეთის ვალის შესახებ.**

კომუნისტების წინადადება

პარიზი, 6 ივლისი. დეპუტატთა პალატამ, რომელიც იხილავდა საზღვაო პროგრამის მეორე ნაწილის პროექტს, 410 ხმით 150-ის წინააღმდეგ უარჰყო კომუნისტების წინადადება პროგრამის განხილვის შესახებ.

კამათის წინ

პარიზი, 6 ივლისი. დღეს დილით შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა იმ დეკლარაციის დებულებათა გამოსამუშავებლად, რომლითაც კაიო გამოვა დღეს დეპუტატთა პალატის სხდომის დასაწყისში. **ფინანსთა მინისტრის სიტყვის შემდეგ დაიწყება საერთო კამათი. შეტანილია 8 შეკითხვა და ჩაწერილია 17 ორატორი.**

კაიო

პარიზი, 6 ივლისი. კაიომ დღეს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განიხილა თავისი მოხსენების კითხვა, რომელიც მან გუშინ დაიწყო.

მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, „საერთაშორისო თავაზიანობის წესების დაცვის მიზნით", აკრძალულ იქნეს ყოფილ ჯარისკაცთა მანიფესტაციები ვაშინგტონის ხელშეკრულებათა წინააღმდეგ.

კაიო თავის პროექტებს წარადგენს მხოლოდ ნდობის ვოტუმის მიღების შემდეგ. **ის ამის შემდეგ მოითხოვს, რომ პალატამ დაჩქარებით განიხილოს პროექტები.**

პარლამენტის კულუარებში

პარიზი, 6 ივლისი. პარლამენტის დღეს მოუთმენლად მოელიან. დეპუტატთა პალატის კულუარებში დიდი გამოცოცხლებაა. დეპუტატები ჯგუფ-ჯგუფად მსჯელობენ იმაზე,—თუ როგორი პოზიცია დაიკავონ. **უკიდურესი მემარცხენე ფრთა აშკარად მტრულად არის განწყობილი. რადიკალური პარტია გულგრილობას იჩენს. ზოგიერთა უმრავლესობა თავს იკავებს. ჩაწერილ ორატორებს გარდა მოელიან აგრეთვე ტარდიეს და ფრანკლენ-ბუიონის გამოსვლას.**

გამოსავალს ეძებენ

პარიზი, 6 ივლ. აქ შესაძლებლად მიაჩნიათ ინგლისის, შეერთებულ შტატების, გერმანიის და საფრანგეთის საემისიო დაწესებულების წარმომადგენელთა მოლაპარაკება ევროპის ფინანსების გასაჯანსაღებლად. ოფიციალური კონფერენცია არ იქნება მოწვეული.

ვაშინგტონის მკვლელობის გარშემო

პარიზი. გაზ. „ჰუმანიტე" სწერს. სასამართლოს გამომძიებელმა, ბატ. დელალემ, წერილი მიიღო ქალბატონ ვეშაპელის ვექილის, ბატ. ტორრესისაგან, რომელშიც ეს უკანასკნელი მას სთხოვს ზოგიერთი ზომები მიიღოს გამოძიების დროს. ბატ. ტორრესი აცხადებს, რომ ვეშაპელის მკვლელობა შედეგია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის და ქართველი სტუდენტების ასოციაციის მანევრებისა და ზოგიერთი პირის გაჩხრეკას მოითხოვს.

ბატ. ტორრესის ეს მიმართვა ადასტურებს „ჰუმანიტეს" ცნობას ქართველ მენშევიკების ტერორისტულ მეთოდებსა და ბოროტმოქმედებაზე. არცერთი ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტი ჯერ არ არის უარყოფილი.

შეიძლება გაჩხრეკა დაგვიანებულია და მან მნიშვნელოვანი შედეგები არ მოგვცეს. მაგრამ ჩვენი ბრალდება მაინც ურყევი რჩება.

პოლონეთის კომპარტიაში

ვარშავა, 6 ივლისი. პოლონეთის კომპარტიის ორგანო „კრასნოე ზნამია"-ში მოთავსებულია პოლონეთის კომპარტიის ცეკას ივლისის პლენუმის რეზოლიუცია, რომელიც აკრიტიკებს პარტიის პოლიტიკას მაისის დღეებში.

რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ პოლონეთის კომპარტიის ცეკამ მაისის დღეებში ისეთი პოზიცია დაიკავა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ის, რომ პარტიის რევოლიუციონური ლოზუნგები პილსუდსკის სახელს დაუკავშირდა. ცეკა ფიქრობს, რომ წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის მოწოლამ, პარტიის ხელმძღვანელობა საერთოდ ააცდინა სწორ ბოლშევიკურ გზას და ამიტომ საჭიროდ სთვლის რევიზია უყოს მთელს თავის პოლიტიკას მაისის დღეებში და განუმარტოს მასებს ის შეცდომები, რომელიც პარტიის ცეკამ დაუშვა მაისში.

აბისინიის დანაწილება

ლონდონი, 6 ივლისი. თემთა პალატაში **ჩემბერლენს** შეკითხვა მისცეს აბისინიის საკითხზე ნოტების გაცვლა-გამოცვლის შესახებ ინგლისსა და იტალიას შორის. შეკითხვის საპასუხოდ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ იცნო „იტალიის განსაკუთრებული ეკონომიური გავლენა დასავლეთ აბისინიაში", რითაც მან პირობა დასდო არ გაუწიოს დახმარება ბრიტანეთის ქვეშევრდომთ, რომლებიც კონკურენციას უწევენ ამ რაიონში იტალიელ კონცესიონერებს. იტალიის მთავრობას ეცნობა, რომ ბრიტანეთის მთავრობას სწორეთ ასე ესმის ეს სიტყვები. ჩემბერლენის აზრით ეს შეთანხმება ორივე მხარისთვის სასარგებლოა, მაგრამ, რასაკვირველია, აბისინიის მთავრობას სრული უფლება აქვს განაცხადოს, თუ რა უფრო გამოსადეგი და სასარგებლოა აბისინიისათვის.

მ უ შ ა თ ა ბ რ ძ ო ლ ა

გაფიცვები ფინეთში

ჰელსინგფორსი, 5 ივლისი. **კემში გაიფიცა ხის სახერხი ქარხნების 2500 მუშა.** გაფიცულები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას.

რიხიმიაკში დაიწყო შუშეულობის ქარხნის მუშების გაფიცვა.

მტვირთავთა გაფიცვა გრძელდება.

ფინეთში გაფიცულია 5.000 მუშა. პროფესიონალური ორგანიზაციები ენერგიულ მუშაობას ეწევიან გაფიცულთათვის დახმარების მისაწოდებლად.

საყოველთაო გაფიცვა ანტვერპენში

ლონდონი, 6 ივლისი. ანტვერპენიდან მიღებულ ცნობით, ადგილობრივ დოკერების გაფიცვამ, რომელიც დაიწყო შაბათს, ამჟამად საერთო გაფიცვის ხასიათი მიიღო. გაფიცულები სრულ წესრიგს იცავენ.

კომუნისტების დევნა

ბერლინი, 6 ივლისი. ლეიპციგში გაასამართლეს კომუნისტები, რომელთაც აბრალებდენ ყალბი პასპორტების გაკეთებას. სასამართლომ ბრალდებულებს მიუსაჯა საკატორღო სამუშაო და ჯარიმა სხვადასხვა ვადით და რაოდენობით.

„პროფკავშირების მიტინგი"

იტალიაში დაარსდა კორპორაციის (ფაშისტურ პროფკავშირების) სამინისტრო. მინისტრად დაინიშნა მუსოლინი.

(დეპეშებიდან).



გენერალური საბჭო ცდილობს თავის გამართლებას

ბალდუინი თხოულობს დამატებითი ხარჯებს უცხოეთიდან ნახშირის შემოსატანად

შოტლანდიის მემაღაროეები აცხადებენ, რომ ისინი განაგრძობენ ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე

საფრანგეთ-შვეციის პროლეტარიატის სოლიდარობა გაფიცულებისადმი

კუკის და სმიტის განცხადება

ლონდონი, 5 ივლისი. კუკმა დაიარა სტაფორდშირის და ლანკაშირის სანახშირო რაიონები. სამთამადნო მუშები მას ყველგან აღფრთოვანებით ეგებებოდნენ.

კენოკში კუკმა განაცხადა: **„ბრძოლის ბედი გადაწყდება მახლობელ 2 კვირაში.** თუ სამთამადნო მუშები მტკიცედ და ერთსულოვნად იქნებიან, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე იქნება, მაშინ მთავრობა აუცილებლად დამარცხდება“.

უიგენში კუკმა სიტყვა წარმოსთქვა 20.000 მემაღაროეს წინაშე. სიტყვაში მან განაცხადა: **„მაღაროებში ვერასოდეს ვერ განახორციელებენ კანონს 8 საათის სამუშაო დღის შესახებ“.**

მიტინგმა ერთხმად მოიწონა სამთამადნო მუშათა ფედერაციის პოლიტიკა.

სმიტმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა დონ-კასტერში, მოუწოდა იორკშირის სამთამადნო მუშებს მტკიცედ და ერთსულოვნად იყვნენ და არ წამოეგონ მწარმოებლების ანკესზე, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა მახინაციებით ჩაშალონ მუშების ერთიანი ფრონტი. „დაარწმუნეთ ხალხი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან 8 საათის სამუშაო დღის კანონის გატარებაში, რომ მათ კი არ გააუმჯობესეს, არამედ უფრო გაამწვავეს მდგომარეობა“, დაამთავრა სმიტმა.

ნახშირის შეტანა უცხოეთიდან

ლონდონი, 5 ივლისი. **ინგლისის მთავრობამ მიმართა თემთა პალატას თხოვნით დაამტკიცოს 3 მილ. გირ. სტერლინგის დახარჯვა უცხოეთის ნახშირის შესასყიდათ და ინგლისში შემოსატანათ.**

მთავრობის განცხადებით, ეს ნახშირი გამოყენებული იქნება საზოგადოებრივ მნიშვნელობის წარმოებათა საჭიროებისათვის, ნახშირს მიაწვდიან აგრეთვე ინგლისელ მომხმარებელს.

მთავრობა აღნიშნავს, რომ ნახშირი გაიყიდება თვითღირებულების მიხედვით და გაყიდვისაგან შემოსული ფული მოხმარდება ნახშირის შემდგომ შესყიდვას.

ლონდონი, 5 ივლისი. იტყობინებიან, რომ მთავრობამ **შეერთებულ შტატებში დამატებით დაუკვეთა 300.000 ტონა ნახშირი.**

ქვანახშირის საკითხი

ლონდონი, 6 ივლისი. ნახშირის შემოზიდვის გაძლიერების გამო, რამოდენიმე ქარხანამ და ფოლადის ჩამომსხმელმა სახელოსნოებმა შესძლეს მუშაობის განახლება.

ხოჯესის სიტყვა

საარბრიუკენი, 5 ივლისი. გერმანიის სამთამადნო მუშათა კავშირის პლენუმის გახსნაზე სიტყვა წარმოსთქვა სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის მდივანმა **ხოჯესმა**, რომელიც შეეხო სამთამადნო მუშების გაფიცვას და გაკვრით სურვილი გამოსთქვა, რომ გაფიცვა ჩქარა დამთავრდეს, რაც მისი სიტყვით, **შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის სამთამადნო მუშები დახმარებას საერთაშორისო მასშტაბით მიიღებენ.**

მემარცხენე ოპოზიციამ შემოიტანა წინადადება ინგლისის სამთამადნო მუშების დახმარების საკითხის დღის წესრიგის ცალკე მუხლად გამოყოფის შესახებ. პლენუმმა ხმის უმრავლესობით უარჰყო ეს წინადადება.

ვარლის განცხადება

ლონდონი, 5 ივლისი. სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის წევრმა **ვარლიმ** მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ყოველ კვირეულ გაზეთის „სენდეი უორკერის“ კორესპონდენტთან საუბარის დროს განაცხადა:

„მე მხარს უჭერ სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებას. ბალდუინი, როგორც სჩანს, ფიქრობს, რომ ჩემი უწინდელი ზომიერი განცხადებები ნიშნავს სამთამადნო მუშათა ფრონტის გარღვევას და ამიტომ მან გადასწყვიტა ლახვარი ჩასცეს სამთამადნო მუშებს კანონით 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. მე ყველაფერში ვეთანხმები კუკს და სმიტს, რადგან შეუძლებელია სხვა რომელიმე პოლიტიკა თუ არა ის, რომელსაც ისინი ატარებენ. მე მივემგზავრები კოცინგეინის სანახშირო რაიონში, რათა გამოვასწორო ის შეცდომები, რომელიც, ჩემის აზრით, მე დავუშვი.

ერთი თვის წინად ვარლი მხარს უჭერდა კონფლიქტის გადაჭრას სამუშაო ხელფასის შემცირების საფუძველზე. **ვარლის მაშინდელმა გამოსვლამ აღშფოთება გამოიწვია კოტინგეინის სამთამადნო მუშებში**, რომელთა წარმომადგენლათ ის არის ფედერაციაში.

მუშათა სოლიდარობა

პარიზი, 6 ივლისი. დუეში 5.000 სამთამადნო მუშამ გამართა მანიფესტაცია ნიშნათ თანაგრძნობისა ინგლისელ **სამთამადნო მუშების მიმართ.** მანიფესტანტებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც დახმარებას აღუთქვამენ ინგლისელ სამთამადნო მუშებს.

ნამდვილ მიზეზს დაეძებენ

ლონდონი, 6 ივლისი. შეეხო რა თავის სიტყვაში სამთამადნო მუშების გაფიცვას, ლიბერალურ პარტიის ერთერთმა ლიდერმა ლორდ **გრიმ** განაცხადა, რომ თუმცა ბევრი რამ შეიძლება ითქვას მაღაროს მეპატრონეების, სამთა-მადნო მუშების და მთავრობის შესახებ, მაგრამ **მღელვარების ნამდვილი მიზეზი მდგომარეობს ნახშირის მრეწველობის კრიტიკულ მდგომარეობაში,** მისი კლიენტების სიღარიბეში.

მემაღაროეების წინაშე სდგას სამი ამოცანა: სამუშაო ხელფასის ერთგვარი შემცირება, სამუშაო საათების ერთგვარი გადიდება, ან მაღაროების მნიშვნელოვანი ნაწილის დახურვა, რაც უმუშევრად დასტოვებს ნახევარ მილიონ სამთა-მადნო მუშას. ასეთი მომავალი არ არის მაინცა და მაინც სასიამოვნო. ორატორი არ ილაშქრებს 8 საათის სამუშაო დღის კანონ-პროექტის წინააღმდეგ, რადგან მისი აზრით ეს კანონი დროებითი ხასიათისაა; ოპოზიციის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ხსენებულ კანონს ის მუდმივათ სთვლის, რაც მას უკან დახევათ მიაჩნია. 5 დღის განმავლობაში გამოირკვევა, რომელი მაღარო უნდა დაიხუროს და რომელი უნდა დარჩეს. მემაღაროეების პოლიტიკამ, რომელიც ურყევი აღმოჩნდა სამუშაო ხელფასის შემცირების და სამუშაო დღის გადიდების საკითხში, გამოიწვევს მრავალი მაღაროს დახურვას.

სტოკჰოლმი, 6 ივლისი. შვეციის მთლიანობის კომიტეტმა, რომელსაც კავშირი აქვს პროფმოძრაობის ინგლისს-საბჭოთა კომიტეტთან, გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც აღნიშნავს, რა მაღაროს მუშების გამარჯვების დიდს მნიშვნელობას საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, **მოუწოდებს შვეციის მუშებს შემოწირულებას ინგლისის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად.**

ბრძოლა ბოლომდე

ლონდონი, 6 ივლისი. შოტლანდიის სამთა-მადნო მუშების ფედერაციის პოლიტიკას. რეკსხემში და სამხრეთ აღმასკომი თავის დადგენილებაში იწონებს ინგლისის მუშების ფედერაციის უელსში გაიმართა 5000 სამთამადნო მუშის მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა კუკმა. მიტინგმა ერთხმად დაადგინა განაგრძონ ბრძოლა.

იუდა ისკარიოტელი

ლონდონი, 6 ივლისი. ორთქლმავალთა მემანქანეების და ცეცხლფარეშთა კავშირის ორგანოში მოთავსებულია კავშირის გენერალური მდივნის **ბრომლეის წერილი.** წერილი ამოღებულია გენერალურ საბჭოს მოხსენებიდან, რომელიც მას უნდა გაეკეთებია ტრედ-იუნიონების აღმასკომთა სპეციალურ კონფერენციაზე და რომლის მიზანი იყო გამართლება გენერალურ საბჭოსაგან განკარგულებისა საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

წერილი გმობს ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის წევრების „უარყოფის პოლიტიკას“, განსაკუთრებით, სამუშაო ხელფასის საკითხში.

რკინისგზელთა ყრილობა

ლონდონი, 5 ივლისი. ვეიტმუტში გაიხსნა ივლისის რკინის-გზელთა ნაციონალური კავშირის ყოველწლიური ყრილობა.

გლაზგოს დელეგატმა შეიტანა წინადადება, რომ ყრილობის შესახებ ცნობების მიწოდების უფლება მხოლოდ პროფკავშირთა პრესის კორესპონდენტებს უნდა მიეცეთ. ტომასი მოითხოვდა, რომ არ ყოფილიყო მიღებული ეს წინადადება, რომელიც, მისი სიტყვით, ყრილობას სასაცილოდ გახდის. რეზოლიუცია მიღებულ იქნა 40 ხმით წინააღმდეგ 35 ხმისა. ყველა ჟურნალისტები, მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტის გარდა, გავიდნენ კრებიდან, შექმნილ მდგომარეობის შესახებ მსჯელობისათვის.

კავშირის თავმჯდომარემ დობიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საყოველთაო გაფიცვას არ შეუსუსტებია პროფმოძრაობა, პირიქით გააძლიერა იგი.

„მახლობელ ხანში, სთქვა დობიმ, პროფმოძრაობა უჩვენებს მწარმოებლებს ისეთ საყოველთაო გაფიცვას, რომელიც მხოლოდ პრელიუდია იქნება მუშათა კლასის დიადი ტრიუმფისა. ადრე თუ გვიან მუშათა მთავრობას მოუხდება მმართველობის სათავეების ხელში აღება. როცა ეს დრო დადგება, მაშინ მოძრაობაში ადგილი აღარ ექნება იმ პირებს, რომლებიც ცდილობენ ასიამოვნონ ჩვენებსა და თქვენებსაც“.

უკანასკნელი ფრაზა მეტად მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ხმები დადის დობისა და ტომასის შორის უთანხმოების შესახებ.

პოლონეთი ამერიკის უღელ ქვეშ

კომუნისტური დემონსტრაცია

ვარშავა, 5 ივლისი. 4 ივლისს პოლონეთის სეიმის კომუნისტ-დეპუტატმა **სოხაცკიმ ვარშავაში მოაწყო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 3.000-მდე მუშა.** ცხენოსანმა პოლიციამ სამჯერ სცადა მიტინგის გარეკა, მაგრამ მუშები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ. **დაპატიმრებულია 20 მუშა.**

მიუხედავათ პოლიციის იერიშებისა, მოეწყო დემონსტრაცია, რომელმაც გაიარა ვარშავის ქუჩებზე კომპარტიის ვარშავის კომიტეტის დროშით. მიტინგი მოეწყო პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის ლოზუნგის ქვეშ.

მუშათა დელეგაციები

ვარშავა, 5 ივლისი. ვარშავა ინახულა ორმა მუშათა დელეგაციამ.

ზემო სილეზიიდან ჩამოსულმა დელეგაციამ, რომელიც არჩეულ იქნა ქარხნებში, ფაბრიკებში და მაღაროებში 50.000 მუშის მიერ, ჩამოიტანა მემორანდუმი პოლონეთის პრეზიდენტისადმი, რომელშიაც ჩამოთვლილია მუშების მოთხოვნილებები: **ფაშისტურ ორგანიზაციების დათხოვნა, პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლება, სავაჭრო ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირთან, მიწის გადაცემა გლეხობისათვის, მუშათა კონტროლი ფაბრიკებზე, თავისუფლება დაჩაგრულ ნაციონალურ უმცირესობებს.**

პოლონეთის ცნობილმა სოციალისტმა **ჟულავსკიმ**, რომელიც პროფკავშირთა ცენტრალურ კომისიის სათავეში სდგას, უარი სთქვა პრეზიდენტთან წასვლაზე დელეგაციასთან ერთად. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მარცელმა მიიღო დელეგაცია. მოსციცკიმ უარი სთქვა დელეგაციის მიღებაზე. ბარტელმა დელეგაციას დაჰპირდა წერილობითი პასუხი, მაგრამ სიტყვა არ შეასრულა.

ვარშავიდან გამგზავრების წინ, დელეგაციამ კრებაზე მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ზემო სილეზიის მუშათა დელეგაცია, რომელიც გაგზავნილი იყო მთავრობასთან, აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობის დამოკიდებულება მუშათა კლასისადმი ისეთივეა, როგორც იყო წინანდელ ბურჟუაზიულ მთავრობების დამოკიდებულება. **დელეგაცია აცხადებს, რომ მუშები არაფერს კარგს არ უნდა მოელოდნენ ახალ მთავრობისაგან“.**

მეორე დელეგაცია არჩეულ იქნა დომბროვის უმუშევრების მიერ. პოლონეთის სოც. პარტიის დეპუტატებმა უარი განაცხადეს გაჰყოლოდნენ დელეგაციას, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდნენ კომუნისტი დელეგატები. უკანასკნელებმა, რომ თავიდან აეცილებიათ საქმის სრულებით ჩაშლა, უარი სთქვეს დელეგაციაში მონაწილეობაზე. ბორცელმა არ მიიღო დელეგაცია. დელეგატებმა შრომის მინისტრს ჩააბარეს მათ მიერ ჩამოტანილი მემორანდუმი მარცელის სახელზე, რომელშიაც ნათქვამია:

დომბროვის 25.000 უმუშევარმა დაგვავალეს განვაცხადოთ, რომ მათი სიღატაკე აუწერელია. უმუშევრები დიდი ხანია ხმელი პურით და კარტოფილით იკვებებიან და თვეობით მოკლებული არიან ხორცს. ბავშვებს სრულებით არა აქვთ რძე. გრძელდება ძალადობა და ტერორი იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ხმას ამოიღებენ უმუშევართა დასაცავათ“.

მემორანდუმში ჩამოთვლილია უმუშევართა მოთხოვნილებები, მათ შორის პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების მოთხოვნა.

კონსტიტუციის გარშემო

ვარშავა, 5 ივლისი. სეიმში შესდგა პირველი წაკითხვა მთავრობის კანონპროექტისა კონსტიტუციის შეცვლის შესახებ.

ნაციონალურ სახალხო კავშირის (ენდეკების) სეიმის ფრაქციის ბელადმა გლომბინსკიმ განაცხადა, რომ ენდეკები ხმას მისცემენ პროექტის გადაცემას კომისიისათვის და მთავრობის მიერ მოთხოვნილ რწმუნებების შეზღუდვას.

პოლონეთის სოც. პარტიის სეიმის ფრაქციის ბელადმა დაშინსკიმ გაილაშქრა კონსტიტუციის შეცვლის პროექტის წინააღმდეგ და მოუწოდა სეიმს „ღირსეულად მოკვდეს თვით დათხოვნის გზით“.

ამერიკელი ექსპერტები

ვარშავა, 6 ივლისი. ამერიკელ ექსპერტების მეთაური პროფესორი **კემერერი**, რომელიც მოწვეული იყო პოლონეთის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობის გამოსაკვლევად, ვარშავაში ჩამოვიდა პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს.

დღეს კემერერმა და მისმა კოლეგებმა დაიწყეს მუშაობა, რომელიც რამოდენიმე თვეს გაგრძელდება, ხაზინამ და სხვა უწყებებმა დაამზადეს ამომწურავი მასალები. ამერიკელ ექსპერტებს დაუნიშნეს პოლონელი თანაშემწეები.

კემერერმა ცვლილებები ნახა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ფინანსიურ და ეკონომიურ სფეროშიაც.

ახალი ფინანსთა მინისტრი **კლარნერი** დარწმუნებულია, რომ ხარჯების შემცირებით და გადასახადების მცირეოდნათ გადიდებით, ის შესძლებს წლის დამთავრებას უდეფიციტოთ. პოლონეთის ბანკის მარაგი ჯერ კიდევ სუსტია, რადგან მომქმედ ბანკნოტების რიცხვი წესდებაში აღნიშნულ თანხას კვლავ 30 პროცენტით აღემატება.

მექსიკის „სულიერი მამები“

ნიუ-იორკი, 6 ივლისი მექსიკის კათოლიკებმა გადასწყვიტეს წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობის დეკრეტს საეკლესიო მამულების კონფისკაციის, სკოლებში რელიგიოზური აღზრდის გაუქმების და რელიგიოზურ კონგრეგაციის დათხოვნის შესახებ.

შეერთებულ შტატების კათოლიკეთა კომიტეტის თავმჯდომარე ტალეიმ სთხოვა პრეზიდენტ **კულიჯს** უარი სთქვას შეერთებულ შტატების მიერ მექსიკის მთავრობის ცნობაზე. მექსიკის მთავრობის დეკრეტი, ტალეის სიტყვით, არის— „საშინელი ტერორიზმი“.

რკინისგზელთა კონგრესი

პარიზი, 6 ივლისი. საფრანგეთის რკინის-გზელთა უნიტარულ-ნაციონალურ კონგრესზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის რკინის-გზელთა პროფკავშირის დელეგატი **ანოხოვი**, რომელმაც მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარების შესახებ.

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრმა **სემარმა** თავის მოხსენებაში დაახასიათა საფრანგეთის მუშების ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც განუწყვეტლივ უარესდება; საფრანგეთის მუშებმა, აღნიშნა მომხსენებელმა, ეხლა თავის მხრებზე უნდა გადაიტანონ ფრანკის სტაბილიზაცია, რომელიც განზრახულია გატარდეს ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად.

უკანასკნელი ცნობები

ადამიანის უფლებათა ლიგის კონგრესი

პარიზი, 5 ივლისი. ბრიუსელში შესდგა ადამიანის უფლებათა ლიგის საერთაშორისო კონგრესი, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 17 სახელმწიფო, მათ შორის „რუსეთი, სომხეთი, საქართველო“.

სახალხო არმია

პეკინი, 5 ივლისი. იმ რაიონში, სადაც სახალხო არმიაა დაბანაკებული, სრული სიწყნარეა, მიუხედავად იმისა, რომ ნანკოუსა და შანსის მიმართულებით მტრულ მოქმედებებს აწარმოებენ.

ამ წლის მოსავალი ძალიან კარგია; მოსავლის შეგროვებაში დიდ მონაწილეობას იღებდა სახალხო არმია.

მიწის-ძვრა

ბერლინი, 5 ივლისი. კუნძულ სუმატრადან იტყობინებიან, რომ კიდევ მოხდა ძლიერი მიწის ძვრა. დაიღუპა 400 კაცზე მეტი.

„ჯავშნოსანი პატიომკინი“

ვენა, 6 ივლისი. საბჭოთა კინო-სურათს „ჯავშნოსან პატიომკინს“ აჩვენებენ ვენის 21 კინემატოგრაფში. სურათი აუარებელ ხალხს იზიდავს. ავსტრიის მსხვილი ბურჟუაზიული გაზეთი „ნოიე ფრეიე პრესე“ ფილმას „რუსეთის ხელოვნების გენიის მიუღწეველ სასწაულს“ უწოდებს. ფაშისტების ცდებს, რომ ხელი შეშალათ სურათის ჩვენებისათვის, აღშფოთებით შეხვდნენ ბურჟუაზიული მაყურებლებიც კი.

„უმუშევარი“ კანცლერი

ბერლინი, 6 ივლისი. ყოფილი კანცლერი ლიუტერი დანიშნულია გერმანიის რკინის გზების სამმართველოში.

გაფიცვა ნიუ-იორკში

ბერლინი, 5 ივლისი. ნიუ-იორკში დაიწყო ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა. მიწის ქვეშ რკინის გზა და ტრამვაი შეჩერებულია.

„პაპა ბრძანებს“

ბერლინი, 5 ივლისი. კათოლიკეთა პაპამ ბრძანება გასცა, რომ პირველი აგვისტო იყოს მხოლოდ ლოცვის დღე მექსიკაში დევნილ კათოლიკეებისათვის.

საბჭოთა შეკვეთების უზრუნველყოფა გერმანიაში

ბერლინი, 5 ივლისი. შესდგა მსხვილ, საშუალო და წვრილ ფირმების თათბირი, რომლებიც დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირისათვის ფაბრიკატების მიწოდებაში. თათბირმა აუცილებლად სცნო ისეთი საზოგადოების დაარსება, რომელიც საბჭოთა შეკვეთების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ფინანსიურ ოპერაციებს შეასრულებს.

ექსპერტების პროექტი არ მოსწონთ

პარიზი, 5 ივლისი. ექსპერტების პროექტს წინააღმდეგობას უწევენ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები. პალატაში 8 შეკითხვაა შეტანილი. შემკითხველთა შორის არიან კომუნისტები, სოციალისტები, რესპუბლიკანურ-დემოკრატიული გაერთიანება, რადიკალ-სოციალისტები. იმის გამო, რომ მთავრობის სიმტკიცეში არ არიან დარწმუნებული, ფრანკის კურსი ბირჟაზე კვლავ ეცემა. ინგლისის სტერლინგი 188 ფრანკი ფასობს.

„მშვიდობიანობის მოყვარული“ მაკდონალდი

ლონდონი, 5 ივლისი. „ნიუ-იორკი ტაიმსისათვის“ საყოველთაო გაფიცვის შესახებ სპეციალურ საუბარში მაკდონალდმა განაცხადა: „ბოლოს უნდა მოეღოს მწარმოებლებსა და მუშებს შორის არსებულ მწვავე განწყობილებას. აუცილებელია, რომ მუშები იყვნენ დარწმუნებული, რომ ისინი ეკუთვნიან იმ ოჯახს, რომლის სათავეში სდგას ამა თუ იმ წარმოების ფირმა. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სწერს: „ეს სიტყვები სავსებით ეწინააღმდეგება ტრადიციულ სოციალისტურ დოქტრინას და მაკდონალდს ბრიტანეთის მემაღაროეებს უფრო უახლოვებს, ვიდრე მარქსს“.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავების წინ

პარიზი, 5 ივლისი. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა თავ-დაჭერილად შეხვდა გუშინ გამოქვეყნებულ ექსპერტების კომიტეტის მოხსენებას საბიუჯეტო საქმის რეფორმის შესახებ.

კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე“ აღნიშნავს იმას რის შესახებაც სდუმს ბურჟუაზიული პრესა: სახელდობრ საფრთხეს, რომელიც მოელის 8 საათის სამუშაო დღეს და სამუშაო ხელფასს. „ლიუმანიტე“ სწერს, რომ კომიტეტს გათვალისწინებული აქვს რეალურ სამუშაო ხელფასის შემცირება.

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრი ვაიან კუტიურე სწერს: „ექსპერტების კომიტეტის გეგმა ომის გამოცხადებაა კაპიტალისტების მიერ პროლეტარიატისათვის. მდიდართა დაბეგვრის შემსუბუქება, 8 მილიარდის გადასახადის შემოღება ცხოვრებათა ღარიბ ნაწილზე, ცხოვრების სიძვირე, უმუშევრობა, სიღატაკე, 8 საათის სამუშაო დღის ფაქტიური გაუქმება—აი, სურათი დღევანდელი საფრანგეთისა.

14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს პროლეტარიატმა უნდა უპასუხოს ბანკირების მთავრობის გამოწვევას.

ამსტერდამის ინტერნაციონალი თავს იმართლებს

ამსტერდამი, 5 ივლისი. ამსტერდამის ინტერნაციონალის პრესის ბიურო აქვეყნებს ცნობას, იმ მიზნით, რომ გაამართლოს ინტერნაციონალის ხაზი ინგლისის გაფიცვების მიმართ. ცნობაში ნათქვამია, რომ თუ ინგლისის პროფკავშირები მიმართავენ დახმარებისათვის ამსტერდამის ინტერნაციონალს, რომ უკანასკნელმა მხარი დაუჭიროს სამთამადნო მუშებს საერთაშორისო მასშტაბით, იგი სიამოვნებით შეასრულებს „თავის მოვალეობას“.

მემაღაროეთა გაფიცვის გარშემო

ლონდონი, 6 ივლისი. (დასაწყისი არაა მიღებული). დღეს შესდგა მთავრობის სანახშირო კომისიის სხდომა. მინისტრთა კაბინეტის პლენარული სხდომა გუშინ შესდგა.

მთელ რიგ მაღაროების მეპატრონეებმა გამოაცხადეს პირობები, მუშაობის განახლებისათვის. ნოტინგამპშაირისი, დერბიშაირისი და ჩრდილო ნორსტფორდშაირის ნახშირის რაიონების პირობების მიხედვით მუშები, რომლებიც 8 საათს მუშაობენ ყოველ დღე, სამუშაო ხელფასს შეუმცირებლად იღებენ. ამ მაღაროებში სულ მუშაობს 124.000 მუშა.

უორივკშაირის, იორკშაირის და სამხრეთ-უელსის რაიონებში, სადაც მუშაობს 549.000 სამთამადნო მუშა, გამოკრულია განცხადება, რომლებშიაც ნათქვამია, რომ სამუშაო ხელფასის შემცირება არაა განზრახული. ნორტუმბერლენდის და დურხენის რაიონებში გამოცხადებულია, რომ სამუშაო ხელფასი ეკვივალენტური იქნება 10 პროცენტის შემცირებისა და 1921 წლის სამუშაო ხელფასის მინიმუმის რაოდენობისა იქნება. ამ რაიონებში მუშაობს 200.000 მემაღარო.

მემაღაროეები იწვევენ კრებებს სხვადასხვა რაიონებში ახალი პირობების განსახილველად. მონმუტშაირში მემაღაროეები არ არიან კმაყოფილნი ახალი პირობებით.

ამერიკის მუშათა დელეგაცია

ნიუ-იორკი, 6 ივლისი. ამერიკის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვა აგვისტოში.

შეთქმულება ქემალ-ფაშის წინააღმდეგ

ანგორა, 6 ივლისი. პროგრესიულ პარტიის წევრი ქიაზიმ კარაბექირ-ფაშა ტრიბუნალში კატეგორიულად უარყოფს ქემალ-ფაშას წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას.

სტიქიური უბედურება

ბერლინი, 6 ივლისი. ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში ელვა-ჭექამ დიდი ზარალი გამოიწვია. მოკლულია 12 კაცი.

გენერალურ საბჭოს წინააღმდეგ

ლონდონი, 6 ივლისი. მემარცხენე მუშათა წრეები ილაშქრებენ გენერალურ საბჭოს ტაქტიკის წინააღმდეგ და უწოდებენ მას „მღალატს და გამყიდველს“.

სამთამადნო მუშები არ უბრუნდებიან სამუშაოს არცერთ ოლქში.

ტომასი თავს იმართლებს

ლონდონი, 6 ივლისი. დღეს ვაიმტში გაიხსნა რკინისგზელთა კავშირის ეროვნული კონფერენცია.

ტომასი გამოვიდა თავის მოქმედებათა გამართლებით. ტომასის, გაფიცვის დროს, მოქმედების შესახებ საკითხი წამოიჭრა იმ რეზოლიუციის კენჭის ყრის დროს, რომელიც ტომასის მოქმედებას ახასიათებდა გენერალურ საბჭოში; ამ რეზოლიუციის ერთ-ერთ დამატებაში გამოთქმული იყო ტომასისადმი უნდობლობა და მისი გადაყენების მოთხოვნილება. უნდობლობის შესახებ დამატება ხმის უმრავლესობით იქნა უარყოფილი.

ნიაღვარი ევროპაში

ბერლინი, 5 ივლისი. ცენტრალურ ევროპაში და ბალკანეთზე მოვიდა საშინელი ნიაღვარი, რომელმაც დიდი ზარალი მოიტანა.

სილეზიაში ნიაღვარმა გამოიწვია წყალდიდობა, რომელმაც გაანადგურა ბევრი ხიდები და სახლები. სამხრეთ სლავიიდან მიღებულ ცნობით, ქარიშხალმა და ნიაღვარმა იქ მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. დაიღუპა 100-მდე კაცი. 50 მოკლულია მეხისაგან.

რუმინეთში ნიაღვარმა გამოიწვია დუნაის ადიდება. მდინარე გადვიდა ნაპირებიდან. დაიღუპა რამოდენიმე ასი კაცი.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

მალვა მაღლაკელიძის, რუბენ ყიფიანის, ისიდორე ქარსელაძის, ირაკლი წერეთლის, ერეთეოზ რამიშვილის და კოლია ჩუმბურიძის მიწერ-მოწერა

ისიდორე ქარსელაძის წერილები კოლია ჩუმბურიძისადმი

„ძმაო კოლია!

დიდი ამბები მოხდა. ოდენკურში სამუშაო იშოვა **ჩოლოყაშვილმა.** წაიყვანა იქ თავისი „შეფიცულები“. გურულებმაც (რომლებიც ჩოლოყაშვილს ჩამოყვნენ ან შემდეგ ჩამოვიდნენ) რაღაი გაიგეს იქ მუშაობის პირობები კარგიაო, ისინიც დასთანხმდნენ მუშაობაზე ოდენკურში.

ამნაირად, ორივე მხრიდან შეიკრიბა თავი ასამდე კაცმა. ჩვენებსა და მათ შორის შეიქნა უთანხმოება და კიდევაც მოუთაქუნეს ერთმანეთს. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვენებს რომ ჰკითხო, ისინი არაფერ შუაში არიან ამ შეტაკებაში. ერთი სიტყვით, შენ ჩვენი ჟურნალიდან გაიგებდი ცოტაოდენ რამეს ამ შეტაკების შესახებ.

შეტაკების შემდეგ მთავრობამ გადაწყვიტა გაეგზავნა ადგილობრივ რამიშვილი და ამირეჯიბი (რამიშვილის ცოლის ავადმყოფობის გამო, გადაწყვიტეს გეგეჭკორის გაგზავნა).

მომხდარი ამბის შესახებ გეგეჭკორმა ასეთი სურათი დახატა. ნამდვილი ხელჩართული შეტაკება მომხდარა, რასაც ხელი შეუწყვეს ნაციონალ-დემოკრატებმა (ლაპარაკია კედია, ასათიანზე და კომპ.).

ამასთანავე გამოირკვა, რომ **რამიშვილის პროტექციით ჩვენს პარტიაში ყოფილა მიღებული ბანდიტები და საზოგადოთ ისეთი პირები, რომლებიც არ არიან სანდო.** ამიტომ უთანხმოებას ადგილი ჰქონია ჩვენებშიაც, ყოფილა დავა მათ შორის, **განსაკუთრებით გადაკვრის** შემდეგ. უსწორდებოდნენ თურმე ერთმანეთს ანგარიშს. პოლიციელები კარგათ ერკვეოდნენ, თურმე ამ დავაში, რადგან ისინი აცხადებდნენ, რომ დავას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდაო. მათივე სიტყვებიდან სჩანს, რომ 30 ჩვენი ამხანაგი **უტანისამოსოთ დარჩენ ჩხუბის შემდეგ.** ერთი სიტყვით, ყოველისფერი ამის შესახებ კარგათ იცოდა **ნოების** მთავრობამ და მათმა ბიურომ. **რამიშვილის, შარაშიძის** და **არსენიძის** წასვლამ იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებიათ მომხდარი ამბავი, ნაყოფი ვერ გამოიღო:— თუმცა „შეფიცულები“ წაიყვანეს იქიდან, მაგრამ ყოველდღე მოდის წერილები თხოვნით გამოგვიგზავნეთ ვინმე ბიუროს წევრებიდან ადგილობრივ საქმეების მოსაწესრიგებლად, თორემ ოდენკურზე უარესი ამბები დატრიალდებაო. **ლადო ბაქრაძე** გაგზავნილია იქ, როგორც თარჯიმანი და გეგეჭკორის სიტყვით ის არ გამოსულა თავის მოვალეობის ფარგლებიდან. მართლა, დამავიწყდა მეთქვა, რომ უკანასკნელი შეტაკება იმიტომ მოხდა, რომ **მათითაშვილს სცემა დადიანმა.** ჩვენი ორგანიზაციის კრებაზე გამოირკვა, რომ ბიურომ დამალა ოდენკურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და ორშაბათს მიდის **რამიშვილი**, რომ წამოიყვანოს ვიღაც-ვიღაცები იქიდან. ამნაირათ იმედი აქვთ, რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდება ოდენკურში.

ახალი და საინტერესო აქ ის არის, რომ მიღებულია საქ. სოც.-დემოკ. ცენტრალური კომიტეტის (?) წერილი, სადაც იწერებიან: გაგვაგებიეთ, როგორია **წერეთლის** თვალსაზრისი. ნოე ჟორდანიას სწერენ: „რითი ხელმძღვანელობდი შენ რომ არჩილ ჯორჯაძის წინააღმდეგ გამოდიოდი ავტონომიის საკითხში“-ო. საჭიროა ამომწურავი პასუხი გაეცეს ვეშაპელს. ჩვენ აქ გვყავს „პოზიცია“ და ოპოზიცია, მაგრამ ყველა ერთად ვართ. კ. კანდელაკის წერილები ძალიან კარგია. გააგრძელოს წერა იმავენაირად... „ჩვენი ტაქტიკა“ ჩვენ ყველას გვაერთიანებს“-ო.

ჩვენ ვთხოვეთ, რომ წაეკითხათ ჩვენთვის საქართველოდან მოსული ინფორმაცია, მაგრამ საკითხი ჯერ ღიათ არის დატოვებული. ოპოზიცია კი დაჟინებით მოითხოვს ამას.

როდესაც ამ ინფორმაციას კითხულობდენ ც. კ. ბიუროს სხდომაზე, თურმე **წერეთელმა** ჰკითხა **რამიშვილს:** ვის ხაზს ადგია საქართველოს სოციალ-დემოკრატია, ამაზე ჟორდანია და სხვები იცინოდენ.

როდესაც ჟურნალი „ბრძოლა“ მივიღეთ და მუშებმა წავიკითხეთ, —ამან ბევრ მუშას აუხილა თვალები. იმათთვის საეჭვო აღარაფერია. აჯანყებამ ბევრი მსხვერპლი შეიწირა და აწი ამ გზით სიარული შეუძლებელიაო, იწერებიან (თურმე წერილის ამ ადგილას ჟორდანიამ სთქვა: „ისინი დაშინებული არიან“-ო).

ასეთი ინფორმაციის მიღება საქართველოდან, თურმე საშინელი ლახვარი იყო ბიუროს წევრების უმრავლესობისათვის.

ერაძე ფიქრობს, რომ უცხოეთში ჩვენი ყოფნა დიდი სისულელეა. ამიტომ მისი აზრით, როგორც მუშათა კლასისათვის, ისე ქართველი ერისათვის უფრო სასარგებლო იქნება ემიგრაციის ლიკვიდაცია და შინ დაბრუნება. ევროპისაგან დახმარების მოლოდინში ჩვენ დავიღუპებით. ეს საკითხი დაისმება ოპოზიციის კრებაზე ორშაბათს და შედეგს შეგატყობინებ. თურმე ბიუროს ამ კრებაზე, სადაც წაიკითხეს საქ. სოც.-დემ. პარტიის ცეკას (?) მოხსენება, დაადგინეს მისცენ საშუალება **კაკის** წერეთელი წეროს წერილები „ბრძოლაში“—რა საკითხებზედაც მას სურს. ამიტომ კაკი ამზადებს დასაბეჭდათ თავის მოხსენებას. საქართველოდან სთხოვეს მას, რომ დაწეროს წერილი: „საით მიდის ინტერნაციონალი“. ასეთივე უფლება აქვს მიშა არსენიძეს, მაგრამ მას რაღაც მიზეზების გამო არ სურს წერა.

პარიზი
2 აპრილი, 1926 წ.

შენი **ისიდორე**“.

მე შენ გწერდი იმის შესახებ, რომ **ერაძე** საკითხს დასვამს ოპოზიციის კრებაზე სახლში დაბრუნების შესახებთქო და ეს ასეც მოხდა.

ამხ. **ერაძის აზრით,** თუ სახლში დაბრუნება შესაძლებელი იქნება, განცხადებაზე ხელის მოწერით, რომ ესა და ეს გამოდის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან და სხვა არაფერს მოგვთხოვენ და გარდა ამისა, ჩვენც თუ ისე არ მოგვეპყრობიან, როგორც მოეპყრენ უკვე დაბრუნებულებს (?) ასეთ შემთხვევაში, ჩვენ არ უნდა ვიყოთ შინ დაბრუნების წინააღმდეგი. პირიქით, ასეთი პირობები ჩვენთვის ძალიან მისაღებია და კიდევაც უნდა ვურჩიოთ ყველა ამხანაგებს დაბრუნდენ საქართველოში.

ამ სხდომებს დაესწრო **ირაკლი წერეთელი,** რომელმაც განაცხადა, რომ ის ყოველ ზომებს იღებს, რათა ამხანაგები დააბრუნონ და მხოლოდ ეძებს უკეთეს პირობებს ამ დაბრუნებისას. ის არაა იმის თანახმა, რომ დაბრუნებულები პარტიიდან გავიდენ. ასა, რომ ეს საკითხი გადაუჭრელი რჩება ოპოზიციის სხდომაზე.

საქართველოდან მიღებული ინფორმაცია ჩვენ კიდევ არ წაგვიკითხეს. ისე კი კერძოთ გავიგე, რომ ამ ინფორმაციის კითხვის დროს, თურმე **ჩხენკელმა** შენიშნა, რომ **ინფორმაციას ისეთი ხასიათი აქვს, თითქოს ირაკლი წერეთელს გამოეგზავნოს იქ თბილისიდანო.**

შენ წაიკითხავდი, ალბათ, „ახალგზელს“, სადაც კოწია **სულაქველიძე** ფარდას ხდის **ნოე რამიშვილის** ავანტიურას. ამ წერილის წაკითხვის დროს ორგანიზაციის კრებაზე გაცხოველებულ კამათს ჰქონდა ადგილი.

აღარ მახსოვს კარგა, მოგწერე თუ არა იმის შესახებ, რომ საქართველოდან მოსული ინფორმაციის თანახმად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა სხვა პირები არა არსებობენ. ირაკლიმ გაგზავნა საქართველოში თავისი მოხსენება და მიწერა ცეკას, რომ მთავრობის წევრების ყოფა საზღვარგარეთელ ბიუროში ხელს უშლის მუშაობას და, რომ საჭიროა არსებული სისტემის შეცვლა. მე, კარლო და მიშა ერთად ვართ, დანარჩენები კი ჩვენს წინააღმდეგ არიან. რადგან ისინი უმრავლესობაში არიან, ყოველთვის გვჯობნიან, ამიტომ საჭიროა ბიუროში წარმომადგენლობის სისტემის შეცვლა. ამნაირათ ირაკლის იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს თავის ხაზით.

„ბრძოლას“ აქ არავისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და არც სარგებლობს ავტორიტეტით.

რამიშვილი ამბობს, რომ **ჟორდანიას** საქართველოში ჰყავს სანდო პირი **გოგილო ცინცაძე,** პარიზში კი **დ. შარაშიძე.** რაც უნდა იმას სწერს ჟურნალში, არავის არაფერს არ ეკითხება, ერთი სიტყვით, დიქტატორობს.

16 აპრილი, 1926 წ.

შენი **ისიდორე**“.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ოქროს სესხი

მოსკოვი, 6 ივლისი. ლენინგრადში დამთავრდა პირველ ოქროს სესხის მეორე გათამაშება. გათამაშებას დაესწრო 60.000 კაცი. გაყიდულია 700.000 მანეთის ობლიგაციები.

100.000 მანეთიანი მოგება ერგო მეორე სერიის ბილეთს №678190, 50.000 მანეთიანი — მესამე სერიის ბილეთს № 198839. ორი 25.000 მანეთიანი მოგება ერგო მეხუთე სერიის ბილეთებს № 22686 და № 4005263.

წითელი ჯვარი სამოედებს შორის

ლენინგრადი, 6 ივლისი. **წითელი ჯვრის გამგეობამ სამკურნალო რაზმი გაგზავნა ზირიანის ოლქში.**

არხანგელსკამდე რაზმი ივლის რკინისგზით, იქიდან კი გემით.

რაზმი სამოედებს გაჰყვება მთებში. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სამკურნალო რაზმი იგზავნება მომთაბარე სამოედებთან.

საბჭოთა კონსტიტუციის 3 წლის თავზე

მოსკოვი, 6 ივლისი. საბჭოთა კონსტიტუციის 3 წლის თავი და კოოპერაციის საერთაშორისო დღე 4 ივლისს მოსკოვის 75,000 მშრომელმა დიდი ზეიმით გადიხადა. ოქტომბრის ველზე გამართულ იქნა გრანდიოზული სეირნობა.

დღესასწაულზე სიტყვები წარმოსთქვეს მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ უხანოვმა, მოსკოვის ოლქის ჯარების სარდალმა მაზილევიჩმა, პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, წითელარმიელებმა და მუშებმა.

საღამოს გაიმართა ბრძოლის მასიური ინსცენიროვკა. მონაწილეობა მიიღეს ქვეითა ჯარებმა, კავალერიამ, არტილერიამ, ტანკებმა და სხვ.

დღესასწაული დამთავრდა გრანდიოზული რადიო-კონცერტით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის საუკეთესო არტისტებმა.

კურორტები გლეხობისათვის

მოსკოვი, 6 ივლისი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა გადამრჩეველ კომისიებს, რომ კურორტებზე სამაზრო აღმასკომებისა და სასოფლო საბჭოების მხრივ გაიგზავნოს გუთანზე მომუშავე გლეხები, რომლებიც სასოფლო მეურნეობას ეწევიან.

ამ დადგენილების დარღვევისათვის ჯანსახკომი პასუხისგებაში მისცემს დამნაშავეთ და უკანონოდ გაგზავნილ ავადმყოფებს უკან დააბრუნებს.

უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად

მოსკოვი, 6 ივლისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ, ბელორუსიის ცაკთან არსებულ ბავშვთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს ნება დართო ფულიანი ლოტორეის მოწყობა 100.000 მ. თანხით.

მომგებიანი სესხი

მოსკოვი, 6 ივლისი. საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ტირაჟების სია 1926 წლისათვის და 1927 წლის იანვრისთვის.

მეორე მომგებიანი სესხის მეექვსე ტირაჟი და მეურნეობის აღსადგენ სესხის დასაფარავი პირველი ტირაჟი შესდგება სექტემბრის პირველ რიცხვებში მოსკოვში.

გლეხთა მეორე მომგებიანი სესხის მეორე ტირაჟი შესდგება 1 ოქტომბრიდან 10-მდე ნოვო-სიმბირსკში.

პირველ მომგებიან სესხის მეცხრე ტირაჟი შესდგება ბაქოში 2-დან 6 იანვრამდე. ერთდროულად შესდგება მეორე მომგებიანი სესხის დასაფარავი ტირაჟი.

მეორე საგლეხო სესხის მეხუთე ტირაჟი შესდგება მოსკოვის გუბერნიაში 20—30 იანვარში.

8 პროცენტიან სესხის დასაფარავი მესამე ტირაჟი დანიშნულია ბაქოში 7 იანვრისათვის.

მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 6 ივლისის. საკავშირო პროფსაბჭომ მიიღო ცნობა, რომ **გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია, ს. ს. რ. კ.-ში გამოემგზავრება ანტვერპენიდან 25 ივლისს და ჩამოვა 29 ივლისს.**

დელეგაციის დაბრუნება

მოსკოვი, 6 ივლისი. საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო სანიტარულ კონფერენციაზე პარიზში, დაბრუნდა მოსკოვში. დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. სემაშკო ჩამოვიდა უფრო ადრე...

სევასტოპოლის მილიციის საქმე

სევასტოპოლი, 6 ივლისი. ყირიმის მთავარ სასამართლოს გამსვლელი სესია შეუდგა მეტად საინტერესო საქმის გარჩევას. საბრალმდებლო სკამზე ზის მილიციის თითქმის მთელი შემადგენლობა, რიცხვით 20 კაცი. მათ ბრალად ედებათ მთელი რიგი მძიმე თანამდებობრივი ბოროტმოქმედებანი.

გამოწვეულია 100-დე მოწმე. საქმე გაგრძელდება მთელი თვით. პროცესმა დიდი ინტერესი გამოიწვია მცხოვრებლებს შორის.

კულტურული კავშირი ოსმალეთთან

მოსკოვი, 6 ივლისი. 5 ივლისს გაიმართა საზღვარგარეთთან კულტურულ ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების საღამო, რომელიც მოწყობილ იქნა ოსმალეთის განათლების სამინისტროს დელეგაციის მოსკოვში ჩამოსვლის გამო.

საღამოს დაესწრენ ოსმალეთის დელეგატები **ნაზი-ატუფ-ბეი, ნავიზ-ბეი,** ოსმალეთის რწმუნებული საბჭოთა კავშირში **ბედი-ბეი,** ავსტრიის ელჩი **პოლი,** ამხ. **ლუნაჩარსკი, არალოვი** და სხვები.

საღამო გახსნა ამხ. **კამენევამ,** რომელმაც აღნიშნა ის მჭიდრო კულტურული ურთი-ერთობა, რომელიც უკვე არსებობს საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის და განაცხადა, რომ ოსმალეთის განათლების სამინისტროს დელეგაციის ჩამოსვლა კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრულ ურთი-ერთობას საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის ხალხთა შორის.

საღამო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. **კამენევა,** ოსმალეთის **ელჩი, ნაზი-ტუფ-ბეი, ნაჩიფ-ბეი,** პროფესორი **ბოროზდინი,** ამხ. **ლუნაჩარსკი** და გარეშე საქმეთა კომისარიატისაგან ამხ. **არალოვი.**

გარეშე საქმეთა კომისარიატის სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. **არალოვი,** რომელმაც აღნიშნა, რომ ეს საღამო საფუძველს დაუდებს კულტურულ მუშაობას ორივე ქვეყნის შორის.

ბედი-ბეი მადლობას უცხადებს დიდი კულტურული საქმის ორგანიზატორებს და აღნიშნავს, რომ ეს კულტურული ურთიერთობა ხელს შეუწყობს მეგობრულ ურთიერთობის განვითარებას საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის ამ ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოთ.

აღმოსავლეთის მცოდნეობის ასოციაციის სახელით პროფესორი **ბოროზდინი** მხურვალეთ ესალმება მეგობრულ ოსმალეთის ხალხის წარმომადგენლებს. ის აღნიშნავს, რომ ოსმალეთი ყოველთვის იპყრობდა ჩვენს ყურადღებას; მისი კულტურული წარსული და აწმყო საბჭოთა მეცნიერების განსაკუთრებული შესწავლის საგანს წარმოადგენს. ეხლა წამოყენებულია საკითხი ორივე სახელმწიფოს ძალთა მეგობრულ თანამშრომლობის შესახებ. პროფესორი ბოროზდინი იმედს გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში ბოსფორის ნაპირებზე დაარსებულ იქნება ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ინსტიტუტი, რომელიც შეისწავლის ოსმალეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირში მოსწავლე ოსმალეთის ახალგაზრდობის წარმომადგენელმა.

ოსმალეთის სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ოსმალეთის განათლების მინისტრის ამხანაგმა **ნაზი-ატუფ-ბეიმ.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ის მოხარულია, რომ მას წილად ხვდა ბედნიერება გაეცნოს სახალხო განათლების მდგომარეობას საბჭოთა კავშირში. ის ხედავს, რომ აქ ისეთივე ინტერესით უყურებენ ოსმალეთის სახალხო განათლების საქმეს, როგორი ინტერესსაც იჩენს ოსმალეთი საბჭოთა კავშირის მიმართ. თავის მოხსენების დასასრულს ის უსურვებს კეთილდღეობას მძიმე განსაცდელისა და გაჭირვებისაგან განთავისუფლებულ ამ ორ მეგობრულ ქვეყანას.

ახალი კულტურის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ლუნაჩარსკიმ.**

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

შტატების გადათვალიერება

ბაქო, 6 ივლისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის საშტატო კომისიამ მე-18-ტე სხდომაზე განიხილა აზერბეიჯანის რესპუბლიკის უწყებათა შტატები. შემცირებულ იქნა ყველა უწყებების შტატები, ყარაბახის გამოკლებით. სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა საშტატო კომისიის მოსაზრებანი.

შრომის ნაყოფიერების გამოკვლევა

ბაქო, 6 ივლისი. კომკავშირის ბაქოს კომიტეტი შეუდგა ახალგაზრდათა შრომის ნაყოფიერების გამოკვლევას. გამოკვლეულ იქნება 25 უჯრედი. უჯრედებს მიეცათ წინადადება, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ მუშაობაში.

საკრედიტო საქმის გამოკვლევა

ბაქო, 6 ივლისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ეკონომიურმა სექციამ დაამთავრა საკრედიტო საქმის გამოკვლევა აზერბეიჯანში. გამოკვლევა დაიწყო თებერვალში და დამთავრდა ივნისში. გამოკვლეულ იქნა აზერბეიჯანის სას.-სამეურნეო ბანკი, სამრეწველო ბანკი, ქალაქის ბანკი და სხვ. ბანკების მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ინსპექციამ აუცილებლად სცნო ქალაქის ბანკის განყოფილებათა მაზრებში გახსნა.

აზერბეიჯანის სას.-სამეურნეო ბანკში და სამრეწველო ბანკში მეტად დიდი შტატებია. ეს მდგომარეობა უმთავრესად აიხსნება მათი მოქმედების გაფართოებით და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ნაკლებობით. ბანკებს მიეცა წინადადება, რომ მაქსიმალურად შეამცირონ შტატები.

აზერბეიჯანის რესპუბლიკის საკრედიტო საქმის გამოკვლევის მთელი მასალა ამ.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში გაიგზავნა.,

სომხეთი

საქონლის ჭირი

ერევანი, 6 ივლისი. მიმდინარე წელში სომხეთში—ზანგეზურისა, ნორ-ბაიაზეთისა, დარალაგეზისა და დელიჯანის მაზრებში ჭირი მოედო ნახევარ მილიონ საქონელს. წინასწარი გამოანგარიშებით, ჭირით დაღუპულია 8.000-ზე მეტი მსხვილფეხა საქონელი (მთელი წარსული წლის განმავლობაში სომხეთში ეპიდემიით დაიღუპა 7.00 მსხვილფეხა საქონელი).

საქონლის ღირებულების გარდა, თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე იმ ზარალს, რომელიც გლეხობამ განიცადა სამუშაო ძალის დაკარგვით, მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის, რა დიდ ზარალში ჩავარდა გლეხობა საქონლის ჭირის გამო.

ახალგაზრდობის პროტესტი

ერევანი, 6 ივლისი. ცნობამ იმის შესახებ, რომ ავსტრიის მთავრობამ საბჭოთა კავშირის მუშა-ახალგაზრდობას აუკრძალა ავსტრიაში ჩასვლა, დიდი აღშფოთება გამოიწვია ახალგაზრდობაში. მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომელიც გუშინ მოაწყო ერევანის მუშა-ახალგაზრდობამ, გამოტანილია რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ და ჰკიცხავს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერებს, რომლებიც საბოტაჟით ხვდებოდენ დელეგატების არჩევნებს.

საბუნჩინსკის ელექტრო რკინის გზის გახსნა

ბაქო, 6 ივლისი. 6 ივლისს საღამოს, მოხდა ბაქო-საბუნჩინსკის ელექტრიკის რკინის გზის საზეიმო გახსნა. დანიშნულ დროისათვის, დროშებით მორთულ დარბაზს აუარებელი ხალხი მოაწყდა. გახსნის წინ ბაქოს სადგურზე შესდგა ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომა, აზერბეიჯანის ცაკის, სახალხო კომისართა საბჭოს, კომპარტიის და კომკავშირის ცეკასა და ბაქოს კომიტეტების, აზერბეიჯანის პროფსაბჭოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით. ზეიმს დაესწრენ აგრეთვე, ოსმალეთის და სპარსეთის გენერალური კონსულები და გაზეთ „იუმანიტეს“ წარმომადგენელი.

სხდომა გახსნა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კონუშკინმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საკავშირო ცაკისა და აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი, აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკასა და ბაქოს კომიტეტის სახელით ამხ. მირზოიანი, და სხვები.

მისასალმებელ დეპეშების მოსმენის შემდეგ დამსწრენი მოთავსდნენ ოთხ მატარებელში და სხდომა გადატანილ იქნა ლენინ-საბუნჩინსკის რაიონში, ხოლო შემდეგ სურახანში.

პარტიული ცხოვრება

პარტმაქსიმუმის შესახებ

მოსკოვი, 6 ივლისი. საკავშირო კომპარტიის ცეკამ და ცენტ. საკონტრ. კომისიამ განმარტეს, რომ იმ შემთხვევებში, როცა პარტიის წევრთა სამუშაო ხელფასი, რომლებიც წარმოებაში მუშაობენ და ჯამაგირს პასუხისმგებელ მუშაკთა ტარიფით არ იღებენ, აღემატება პარტმაქსიმუმს, მაშინ პარტმაქსიმუმზე ზედმეტი თანხა არ უნდა დაექვითოთ.

იმ კომუნისტების შრომის ხელფასი, რომლებიც საკავშირო და საერთო-რესპუბლიკანურ მნიშვნელობის წარმოებასა და დაწესებულებებში მუშაობენ, უნდა განსაზღვრულ იქნას ცეკას ცირკულიარით 1924 წლის 18 მაისის თარიღით; ამასთან მათი ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს პარტმაქსიმუმს, რომელიც დაწესებულია იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც ისინი მუშაობენ.

დადგენილება საბჭოთა პარტიულ სკოლების მუშაობის შესახებ

1. ცნობილი იქნას, რომ პირველი საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლებს, მათი კურსის ხანმოკლეობის გამო, არ შეუძლიათ სათანადოთ მოამზადონ კურსანტები პოლიტ - საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად სოფლად. ამიტომ ორი წლის განმავლობაში უნდა ჩატარდეს პირველი საფეხურის საბჭოთა პარტიული სკოლების ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად შეიქნეს საბჭოთა პარტიულ სკოლების ქსელი ორწლიანი კურსით. პირველი საფეხურის ნაციონალური საბჭოთა პარტიული სკოლები კი უნდა დარჩენ იმავე კურსით და მოსამზადებელი განყოფილებით.

2. პოლიტ - განათლების მთავარმა სამმართველომ და ცეკას სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებამ უნდა დაამუშაონ საჭირო ღონისძიებები იმ მიზნით, რომ საბჭოთა პარტიულმა სკოლებმა მეტი სამსახური გაუწიონ საბჭოთა რუსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს და ეროვნულ უმცირესობათ.

3. ეროვნულ საბჭოთა პარტიულ სკოლებისა და ეროვნულ განყოფილებების მასწავლებელთა არსებული კადრის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და აგრეთვე ამ კადრის ახალი ძალებით შესავსებად, — მთავარმა პოლიტ - განათლების სამმართველომ უნდა დაამუშაოს საკითხი აღმოსავლეთის კომუნისტურ უნივერსიტეტთან და დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა კომ. უნივერსიტეტთან სათანადო კურსების მოწყობის შესახებ.

4. ცენტრალურმა გამომცემლობამ უნდა მოაწყოს ეროვნულ ენებზე სახელმძღვანელო წიგნების თარგმნისა და გამოცემის საქმე ეროვნულ უმცირესობათა საბჭოთა პარტიულ სკოლებისა და ნაციონალურ განყოფილებათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

5. პარტკომებს ადგილებზე უნდა ეცნობოს, რომ საჭიროა საბჭოთა პარტიულ სკოლების კურსანტების შემადგენლობის გაძლიერება მუშური შემადგენლობით, რაც განსაკუთრებით საჭიროა საბჭოთა პარტიულ სკოლების მნიშვნელობის გადიდებისა და მათი სამოსწავლო პროგრამის გაფართოების გამო.

6. პარტკომებმა აუცილებლად უნდა მიიღონ ღონისძიებები:

ა) საბჭოთა პარტიული სკოლების მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა ერთი მუშაობიდან მეორე მუშაობაზე გადაყვანის წინააღმდეგ, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი.

ბ) საბჭოთა პარტიულ სკოლების მუშაობის, კერძოდ, მასწავლებელთა მუშაობის წესიერი კანტროლისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის დასაყენებლად;

გ) საბჭოთა პარტიულ სკოლების ხელმძღვანელ შემადგენლობისა და პარტიულ მასწავლებელთათვის რეგულიარული პოლიტიკურ ინფორმაციისა და ინსტრუქტაჟის მისაწოდებლად, სისტემატიური მუშაობის საწარმოებლად საბჭოთა პარტიულ სკოლების მასწავლებელთა თეორიტიული და მეთოდიური კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

7. პირველი და მეორე საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლების სამოსწავლო გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს აგრონომიულ ცოდნათა მოკლე კურსი, რისთვისაც პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ (მიწადმოქმედების კომისარიატთან ერთად) უნდა დაამუშაოს და ადგილებს დაუგზავნოს 1926—27 სამოსწავლო წლის დაწყებისათვის სათანადო პროგრამები.

8. საბჭოთა პარტიული სკოლების მუშაობის შედეგების შემოწმებისა და გამორკვევის მიზნით პარტკომებმა ადგილებზე უნდა მოაწყონ საბჭოთაპარტიულ სკოლების კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ მუშაობაზე გამოყენების და მათი მუშაობის ღირსების გეგმაშეწონილი აღრიცხვა.

ქალთა შორის მუშაობა ქ. ფოთში

ქ. ფოთში ითვლება 4 ქალთა სადელეგატო კრების პუნქტი. სადელეგატო პუნქტებზე იყრიან თავს დელეგატი-ქალები, განსაზღვრულ დღეებში პუნქტებზე სწარმოებს მეცადინეობა პროგრამის მიხედვით. სადელეგატო კრებებს ესწრება აგრეთვე არა დელეგატ მუშა და მოსამსახურე ქალები, ამის გამო, გარდა პროგრამისა კრებებზე ირჩევა სხვადასხვა საუბრები, კეთდება მოხსენებები ჩვენი კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

ქალთა განყოფილების მიერ გარდა სადელეგატო კრებებისა მოწყობილია აგრეთვე სამი ქალთა წრე, სადაც ორ კვირაში ერთხელ სწარმოებს მეცადინეობა მუშა-მოსამსახურე და დიასახლის ქალებს შორის.

უჯრედები თავიანთ ღია კრებებზე სისტემატიურად იწვევენ დელეგატ ქალებს. ამ უკანასკნელ ხანებში ქალთა შორის აქტივობა ძალზე გაიზარდა, ისინი მამაკაცებთან ერთად ებმიან სხვადასხვა საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებში სამუშაოდ. ფოთის ქალაქის საბჭოს არჩევნებში 1.540 ქალმა მიიღო მონაწილეობა, რაც შეადგენს ამრჩეველთა 38%.

არჩეულია ქალაქის საბჭოში 21 ქალი, აღმასკომში 2. ასე რომ ქალთა მუშაობა მიმდინარეობს სწორის გზით პარტკომის ხელმძღვანელობით და დახმარებით.

მხოლოდ უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი. ფოთის პარტკომის ქალთა განყოფილებას არ აქვს მჭიდრო კავშირი გაბმული ა. ქ. კავშირთან. ახალგაზრდა ქალებს შორის მეცადინეობა არ სწარმოებს, მათ მუშაობა მინდობილი აქვთ ა. ქ. კავშირს, მაგრამ ეს საკმარისი და მიზანშეწონილი არ არის, მთავარი ხელმძღვანელობა პარტკომის ქალთა განყოფილების ხელში უნდა იყოს.

საჭირო არის კომუნისტური აღზრდის საქმე ახალგაზრდა ქალებს შორის იქნას სათანადოთ დაყენებული.

იანეთელი.

წითელ ჯარში

შეღავათები ჯარში გაწვევის დროს

მოქალაქეთა გადარჩევის დროს მათ მიერ სამხედრო სამსახურის გასავლელად, მიიღება მხედველობაში მათი ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა.

გაწვევა ჯარის რიგებში ოჯახის მარჩენალის, თუმცა იგი სრულიად ვარგისი იყვეს სამხედრო სამსახურისათვის, უეჭველია ჩააყენებს ოჯახს გაჭირვებულ მდგომარეობაში. ზოგიერთ ოჯახებისათვის კი, სადაც რამოდენიმე არიან, ერთი წევრის დაკლება არ არის შესამჩნევი.

შეღავათების მიცემის დროს კანონი ითვალისწინებს ოჯახების ქონებრივ მდგომარეობას, რომელიც ინახავს სამს ან მეტ შრომის უნარ მოკლებულ ოჯახის წევრს; მეორე ხარისხის შეღავათი—იმ ერთად-ერთ შრომის უნარისათვის, რომელიც ინახავს ერთს ან ორს შრომის უნარმოკლებულთ; მესამე ხარისხის შეღავათი ვრცელდება ისეთ მოქალაქეზე, რომელიც, თუმც არ არის ერთად-ერთი მარჩენალი ოჯახის, მაგრამ მის ხარჯზე მაინც იმყოფება შრომის უნარ-მოკლებული ოჯახის წევრი.

ის მოქალაქენი, რომლებიც სარგებლობენ პირველ ხარისხის შეღავათით, არ გადიან სამხედრო სამსახურს საკადრო (ძირედ) ნაწილში. ისინი ჩაირიცხებიან ან ტერიტორიალურ ნაწილის ცვალებად შემადგენლობაში, ან გაივლიან სამხედრო სამსახურს ჯარის გარეშე მომზადების წესით.

თუ კი რაიონში არ აღმოჩნდა გასაწვევ ახალგაზრდების საჭირო რიცხვი, მაშინ გაიწვევიან ჯერ მესამე ხარისხის, და შემდეგ კი მეორე ხარისხის შეღავათიანები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის შრომის უნარ-მოკლებული წევრი მათი მარჩენლის ჯარში გაწვევით რჩებიან სრულიად უპატრონოდ, გამწვევ კომისიას აქვს უფლება მიანიჭოს შეღავათი ჯარში გაწვეულს და შეუცვალოს საკადრო ნაწილში სამსახური ჯარის გარეშე სამსახურით.

ი—კ.

პრაქტიკულ მეცადინეობაზე

(ქართ. მეთაურთა სამხედრო სკოლა)

კურსანტები ხალისიანად მუშაობენ ბანაკში. თითქმის ყოველ დღე უხდებათ გასვლა მინდვრად და პრაქტიკული მეცადინეობის წარმოება: კეთდება სანგრები, თხრილები, ეწყობა სროლა. ყველა ეს თეორიულად ზამთარში კარგად შეითვისეს კურსანტებმა და საქმეზედაც ანხორციელეს ჩინებულად; იშვიათად, თუ ვისმეს მოუვა რაიმე შეცდომა.

— ამხანაგებო, დღეს გავდივართ პრაქტიკულ სამეცადინოთ მინდვრათ—გაისმა ბანაკში.

ამ დღეს დიდი შრომა მოელოდათ კურსანტებს: ასაფეთქებელი იყო სანგრები, რანები, ბურჯები და ხიდები.

ყველა დაინტერესებული იყო ამ საქმით და რიგიანათაც მუშაობდნენ.

მუშაობის შემდეგ გაიმართა ბაასი სხვადასხვა ამაფეთქებელ ნივთიერებათა სიძლიერეზე და აფეთქების მნიშვნელობაზე ბრძოლის დროს.

ა—ლი.

სანიტარული წიგნები

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასცა მე-2-ე დივიზიის პოლიტგანყოფილებას 200 ცალი სანიტარულ ხასიათის ბროშიურა წითელ არმიელთა შორის გასანაწილებლად.

ღ.

ჩვენი ცენტრალური კლუბი

მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის ცენტრალური კლუბი არსებობს 1921 წლიდან. ხუთი წლის განმავლობაში მან ბევრი რამე გააკეთა წითელ არმიელთა და მეთაურთა პოლიტიკურათ და კულტურულათ განვითარებისათვის.

კლუბთან არსებობდნენ სხვადასხვა ხასიათის წრეები, რომელთა ხელმძღვანელობათ მოწვეულ იყვნენ საუკეთესო ძალები. იმართებოდა მასიური საღამოები, რომლებსაც ესწრებოდნენ თბილისში მდგომი ყველა ქართული ნაწილების წითელ არმიელნი. გასულ საზამთრო სეზონის განმავლობაში კლუბში რეგულიარულად იმართებოდა წარმოდგენები წითელ არმიელთა ძალებით. მართავდა უფასო წარმოდგენებს ჯანმრთ. სახალხო კომისარიატის სანიტარულ განათლების დასი. დრო-გამოშვებით ეწყობოდა მეცნიერული ხასიათის ლექციები.

კლუბთან არსებობს მდიდარი სანიტარულ განათლების მუზეუმი მრავალი ძვირფასი ექსპონატებით.

ს.—ძე.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

დროის ეკონომია

დროის ფასი ჩვენში კიდევ არ არის სათანადოდ შეგნებული. ეს, სხვათა შორის, აშკარად ეტყობა ჩვენს კრებებს და სხდომებს. ვსთქვათ, მიიღეთ ცნობა, რომ ამა და ამ ადგილას საღამოს 6 საათზე შესდგება კრება, დღის წესრიგში სდგას ესა და ეს საკითხი. თქვენ ცხადდებით სრულ 6 საათზე. ხალხი ცოტაა, მოდიან თითო გამოშვებით, თითო-ოროლა; არავინ ჩქარობს,— ყველამ იცის, რომ დანიშნულ დროზე კრება არ გაიხსნება, თუ დანიშნულია 6 საათზე, შესდგება 7 ან 8 საათზე. არა იშვიათად სულაც არ გაიმართება და გადაიდება სხვა დროისათვის. მაშინაც ასეთივე ცდა, დროს დაკარგვა. კიდევ კარგი თუ დღეში ერთი კრებაა და მეტი არა, ბევრჯელ ერთ და იმავე დღეს ორ-სამ და მეტ ადგილას სხვადასხვა კრებებია. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ცოტათ თუ ბევრად პასუხისმგებელ მუშაკს, რომ მას დღეში ხშირად რამოდენიმე კრებაზედ დასწრება არ უხდებოდეს; ხანდახან დილიდან შუადღემდე ზოგიერთ ამხანაგს ერთ კრებიდან მეორე კრებაზე უხდება სიარული, და სადილის ჭამის დროსაც ვერ შოულობენ.

რამდენი რამე დაიწერა პასუხისმგებელ ამხანაგების განტვირთვაზე ზედმეტი მუშაობისაგან. რამდენი ცირკულიარები და რეზოლიუციები არ გამოტანილა ამაზე, მაგრამ ჯერაც ბევრია ისეთი მაგალითები, რომ ერთ და იგივე ამხანაგს ხშირად უჭირავს ორი და სამი თანამდებობა. რომ დაინტერესდენ სათანადო ორგანოები და გამოარკვიონ ნაყოფი ამ ამხანაგის მუშაობისა, უსათუოდ გამოჩნდება, რომ საქმე ორივე ადგილას სუსტად სდგას. მართალია აქ ჩვენ გვეტყვიან, რა უყოთ, მომუშავეები არ გვყოფნის, ყველას ვერ მივანდობთ საპასუხისმგებლო ადგილს და სხვა. მე, მგონია, ეს არ არის სწორი. კაცი მუდამ გამოინახება. ორი ან რამოდენიმე თანამდებობაზედ ერთი და იმავე კაცის ყოლა დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

ეხლა ორიოდე სიტყვა ერთ ნაკლზე ჩვენი დაწესებულებების ცხოვრებიდან. დაწესებულებიდან გინდა რომე საჭირბოროტო საკითხზე მიიღო ახსნა-განმარტება ან სხვ. ხშირად თავის დროზე ვერას გახდები. კარებში სდგას შიკრიკი ან დარაჯი და მოგახლის სიტყვას: „არ შეიძლება ამხანაგო, კრება აქვთ“. სადაც არ მიხვალთ, ვისთანაც არ მიხვალთ, ხშირად კრება აქვთ, ან ვისაც გინდა მოელაპარაკო, არ არის,—კრებაზეა წასული. საჭიროა რამდენიმეჯერ მიხვიდე დაწესებულებაში, უცადო და დრო შეურჩიო გამგეს, რომ მისგან მიიღო დადებითი ან უარყოფითი პასუხი. ეს კიდევ კარგი, თუ მოგცა პასუხი. ხშირად გეტყვის—„ეხლა არ მცალიან“, ეს ქაღალდი აქ დატოვეთ და მერეთ შემოიარეთ. ასე იკარგება აურაცხელი დრო რიგში დგომით, გამგის ცდაში, კრების გათავებაში და მერე პასუხის მიღებაში. ასეთი არანორმალური მდგომარეობას სათანადო ორგანოებმა უნდა მიაქციონ ყურადღება. უნდა გაურბოდეთ მუშაობის დროს სხდომების და კრებების გამართვას. გადაუდებელ შემთხვევების გარდა, რა თქმა უნდა.

პ. ბოკერია.

აქაც საჭიროა მომჭირნეობა

დღევანდელმა ლოზუნგმა მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ აამოძრავა დიდი თუ პატარა. ამ ლოზუნგის გატარება ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებას. აქედან კი გამომდინარეობს მშრომელი მასების კეთილდღეობა. ბევრს ეს ვერ შეუგნია, ან არ სურს შეიგნოს და უყაირათობით ხელს უშლის მომჭირნეობის გატარებას. ასეთ მუშაკებს პასუხისგება არ ასცდება. ავიღოთ მაგალითი, თბ. რკინის გზის მოძრაობიდან. 21 ივნისს, დილის 4 საათზე, გამოუძახეს ბრიგადას, ორთქლმავალი კი უნდა გასულიყო 6 საათზე და 12 წუთზე. 18 ივნისს, 1-ლ საათზე, გამოუძახეს ორთქლმავალს —№ 7476. ამჯერეფი № 321-ით, რომელიც სადგურზე იდგა სრული 7 საათი. იმავე დღის ორთქლმავალი № 1021-ს გამოუძახეს 4 საათზე, გაიგზავნა კი 11 საათზე და 10 წუთზე. ასეთი მაგალითები აქ ბევრია. ხურდება რამდენიმე საათით ადრე ორთქლმავალი,—იხარჯება ამაში მასალები—ნახშირი, ნავთი, შეშა, მაზუთი და ტყუილუბრალოდ იქცევა გასამრჯელო.

მუშკორი **შავსოფლელი.**

პრესა მომჭირნეობის შესახებ

შედეგები უნდა შევამოწმოთ

გუშინ ჩვენ ვწერდით, რომ მომჭირნეობის კომისიების შექმნა და დადგენილებების გამოტანა ხარჯების შემცირების შესახებ კიდევ არ ნიშნავს მომჭირნეობის რეჟიმის მართლა გატარებას. არის საფრთხე, რომ აქა-იქ საქმე მეტ წილად და ასეთი „კანცელიარიული შემოქმედებით“ დამთავრდება და პრაქტიკულად ბევრი რამე არ გაკეთდება. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“ გადმოგვცემს ამის დამადასტურებელ ფაქტებს. ქ. სამარაში შემდგარა კომუნისტ-სამეურნეო მუშაკების თათბირი მომჭირნეობის რეჟიმის გატარების პირველ შედეგების გასათვალისწინებლად. თათბირზე ამ მხრივ უნუგეშო სურათი გადაშლილა:

„სარატოვის მანუფაქტურაზე“ კომისიას (დირექციის 3 წევრი) შეუდგენია „გეგმა“. აქ ყველაფერია გათვალისწინებული: სათბობის ეკონომია, გადასაზიდ საშუალებათა ეკონომიაც, ბევრი სხვა რამეც. არ შეიძლება ითქვას, რომ „გეგმას“ მსვლელობა არ მისცემოდეს. ტეხნიკურმა თათბირმა და უჯრედმა გეგმა განიხილეს და მოიწონეს, მაგრამ... როცა მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიამ თვე ნახევრის შემდეგ შეიხედა წარმოებაში, აღმოჩნდა, რომ გეგმა ქაღალდზე დარჩენილა, ხოლო განაცდენების შემთხვევები უდიდეს პროცენტს აღწევს, არ არის კანტროლი წარმოებებზე და სხ. უკეთესი მდგომარეობა არ არის ბევრ სხვა წარმოება-დაწესებულებებშიც.

თათბირზე სხვა რამეც გამოაშკარავდა. აღმოჩნდა, რომ მომჭირნეობის ციფრებს, რომლებსაც ანგარიშებში წააწყდებით, ძალიან ცოტა დამოკიდებულება აქვთ მომჭირნეობის რეჟიმთან. რათა გვაჩვენონ, რომ მომჭირნეობის რეჟიმი ტარდება, წარმოებები და დაწესებულებები იხსენიებენ უკანასკნელ დროს (ერთი ორი წელი) შესაძლებელ მთელ მუშაობას და ამ მუშაობის შედეგს გვაწვდიან, როგორც მომჭირნეობის რეჟიმის მიღწევებს“.

მეტად საგულისხმო ფაქტებია. მსგავს რამეს ალბად ჩვენშიც ექნება ადგილი. საჭიროა შემოწმებულ იქნეს მომჭირნეობის ციფრები, რომლებსაც დაწესებულება-წარმოებები იძლევიან. საჭიროა მომჭირნეობის კამპანიის ნამდვილი შედეგების გამორკვევა. სისტემატიური კანტროლი უნდა გაეწიოს, რათა მომჭირნეობის შესახებ მიღებული დადგენილებები ქაღალდზე არ დარჩენ, არამედ ურყევლად გატარებულ იქნენ ცხოვრებაში.

ბახმაროს ტყეების დაცვა

კურორტის არსებობა დამოკიდებულია ტყის არსებობასთან; ამიტომ ჩვენი უმთავრესი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ტყის კეთილდღეობისათვის.

ბახმარო წიწვოვანი ტყით არის შემორტყმული, მაგრამ ეს ტყე წარმოადგენს გადაბერებულ 300—500 წლოვან ხეებს, რომელიც ხელოვნურად არის დასახიჩრებული. ჯეროვანი ყურადღება არასოდეს არ ჰქონია ამ ტყეს. ადამიანს რომ ფეხი დაუდგამს აქ და დაუწყია სახლების კეთება, მას შემდეგ იჩეხება მოზარდი ტყე. ტყე იჩეხება აგრეთვე ყავრის ასახდელად. ძველად, როდესაც ყავრის ახდა არ იცოდენ, მწყემსები ხეებს ართმევდენ კანს ყავრის სამაგიეროდ. ასეთი უგუნური მოპყრობით ტყე განადგურებულია.

1924 წელს გადმოვიდა ბახმაროს კურორტის ტყეები კურორტთა მთავარ სამმართველოს განკარგულებაში; სწორედ ამ წლიდან იწყება ამ ტყეების სასტიკი დაცვა-მოვლა-მოშენება. 1924 წელში სრულიად აკრძალული იყო ბახმაროს ტყეებში ფეხზე მდგომი ხის მოჭრა. ჩვენი მიზანი იყო გაგვეწმინდა ტყე ძირნაყარ დაცემული ხეებისგან და ამით ხელი შეგვეწყო ტყის ბუნებრივი აღმოცენებისათვის. ტყის გაწმენდის მიზნით ახლა შეიძლება ხე-ტყის გატანა, როგორც დაცემული, ისე ფეხზე მდგომი ხმელის, კატარ-გადამხმარის, გადაბურულის და დასახიჩრებულის. მათ გატანას ტყიდან მოითხოვს ტყის რაციონალური მეურნეობა (გადაბურული დიდროვანი ხეები უშლიან ხელს ტყის ახლად აღმოცენებას და ნორმალურად გაზრდას). დღეს გლეხობაც უფრო გონიერად ეკიდება ტყის დაცვის საქმეს და თვითნებობით ტყის გაჩეხას ადგილი არ აქვს. აგრეთვე დაიწყო ხის ხელოვნურად მოშენება, გაშენებულია ტყის სანერგე სხვადასხვა ჯიშის წიწვოვანის. ახალი ტყის გაშენება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ საქონ. ანადგურებს მას. (საქონელი ყველაზე საშინელი მტერია ტყის). ამიტომ რომ თავიდან აგვეშორებია საქონლის მიერ განადგურება ბახმაროს სატყეომ დაიწყო კურორტის ახლო მდებარე ტყეების შემოღობვა სატყეოს შემოსავლიდან. შემოსაღობავია დაახლოებით 12 ვერსამდე. შემოღობილია 2 ვერსამდე და მუშაობა კიდევ გრძელდება, მაგრამ მარტო სატყეოს არა აქვს იმდენი შემოსავალი, რომ ღობე დაამთავროს 2—3 წელზე ადრე. შემოღობვით საძოვარი ადგილები გადარჩება და საქონელიც თავისუფლად იძოვებს. ამით კურორტის ღირსებაც უფრო აიწევს. აგრეთვე შემოღობილში დარჩება დიდძალი სათიბი ადგილები, სადაც მოითიბება წელიწადში 50 ათასი ფუთი საუკეთესო თივა, რომელიც კარგ შემოსავალს მოიტანს.

ბახმარო ვიწრო ფარგლებშია მოთავსებული და კურორტს გარედ არის ისეთი ადგილები დატოვებული, სადაც აგარაკებია გაშენებული; ეს აგარაკები ბახმაროს არაფრით არ ჩამოუვარდება. ასეთებია „მუჭუტას“, „კალმას“ და კეხიანის აგარაკები. ამ ტყეების არსებობა დიდ გავლენას ახდენს ბახმაროს ჰავაზე. ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია შარშან ბახმაროს საკურორტო სამმართველოს გამგეობამ და პროფ. იასონ მოსეშვილმა. დაათვალიერეს აღნიშნული აგარაკები და შეადგინეს სათანადო აქტი, რაც გადაუგზავნეს ოზურგეთის მაზრის აღმასკომს შუამდგომლობით სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა აღნიშნული აგარაკები გადმოსულიყო კურორტ სამთო-სასანიტარო დაცვის ფარგლებში.

ავ. კვირკველია.

მიწათმოწყობა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების და მის ხელქვეით დაწესებულებათა მიერ მაისის განმავლობაში შესრულებულია შემდეგი სამუშაო:

გადაღებულია 747 გეომეტრიულ ქსელის ნიშანი, გამოანგარიშებულია 200 პიკეტის სიმაღლე, შემოვლილია სოფლის საზღვრები 281 ვერსის მანძილზე, გამოქნილია 6.786 ნაკვეთი, დასმულია 15.376 ნიშანი, პლანშეტზე აღებულია 5.311 ნაკვეთი 8.254 დეს. სივრცით; ჩამორთმეულია 241 ნაკვეთი 901 დეს. სივრცით, ნორმაში დატოვებულია 675 ნაკვეთი 886 დეს. სივრცით; დანაწილებულია 222 ნაკვეთი (578) ფონდის მიწა, სოფლებზე დანაწილებულია 156 ნაკვეთი—263 დეს., კულტ. მიზნით დატოვებულია 7 ნაკვეთი—11 დეს.; შედგენილია 154 ოქმი და გეგმები: უდავო—410 ნაკვეთის შესახებ (870 დ.), სადავო—15 (301 დეს.) და პროექტისა—9 (625 დეს.); შედგენილია საადგილმამულო სიები—1.642 კომლისა და 7.451 სულისთვის, 4.617 ნაკვეთის შესახებ (5.154 დეს.).

ყველა აღწერილ საქმის შესრულებას მოუნდა სამუშაო დღე: მინდვრად—968, კამერალური—330; ავადმყოფობის, უქმეების და გადასვლა-გადმოსვლის გამო გაცდენილია 442 დღე.

ამას გარდა, შესრულებულია კიდევ სხვადასხვა სამუშაო, მაგალითად: აზომილია ლენტით 457 ნკვეთი; 5 პლანშეტზე ამოხაზულია 210 ნაკვეთი; დასმულია გეომეტრიულ პუნქტებზე 33 ლატანი; ტრიგონომეტრიული ქსელით დაიფარა 23.464 დეს.; გაცემულია 51 გადასახლების ნებართვა; გამორკვეულია საზამთრო საძოვრები 112 ნაკვეთი 11.560 დეს. სივრცით, განხილულია 16 დავა 3.684 დეს. სივრცის შესახებ და სხ.

საკონტროლო ციფრები

ა.-კ. საგეგმო კომისიამ მიიღო ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესადგენად საჭირო მუშაობის განაწილების გეგმა. ამ გეგმით რესპუბლიკის საგეგმო კომისიებს ევალებათ სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის, შრომის, ადგილობრივი ტრანსპორტის და მშენებლობის საკონტროლო ციფრების შედგენა 1926-27 წლისათვის.

ა.-კ. საგეგმო კომისიას დაკისრებული აქვს კრედიტის, ბიუჯეტის, ვაჭრობის საკავშირო და ფედერატიულ ტრანსპორტის, შეზიდვა-შემოზიდვის საკონტროლო ციფრების შედგენა. რესპუბლიკის კომისიებმა საკონტროლო ციფრების შედგენა უნდა დაამთავრონ 15-20 ივლისისათვის. ა.-კ. საგეგმო კომისიის დასკვნით ა.-კ. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები ვერ იქნება სრული, რადგან რესპუბლიკების საგეგმო კომისიებს, რომელნიც პირველად ადგენენ საკონტროლო ციფრებს, ერთი მხრივ არა აქვთ საკმაო გამოცდილება, და მეორე მხრივ ჯერ დამთავრებული არ არის საპერსპექტივო გეგმების შედგენა.

ქუთაისის ამბები

ქუჩების შეკეთება

უკანასკნელ ხანებში აღმასკომის მიერ კაპიტალურათ შეკეთებულია ჭავჭავაძის, მე-3 ინტერნაციონალის ქუჩა სადგურამდე, პუშკინის, მახარაძის და კოოპერაციის ქუჩები, აღნიშნულ ქუჩების გაკეთება კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას დაუჯდა 10.432 მანეთი; ამჟამად სწარმოებს მუშაობა დანარჩენ ქვაფენილების გამოსაცვლელად

ქვადაფის ქვები

სამ. აღმასკომის მიერ დამზადებულია 431 მანეთის ქვადაფის (ტროტუარის) ნათალი ქვები.

ავადმყოფობა ქალაქსა და მაზრაში

ადგილობრივი ჯანმრთ. განყოფილების ცნობით—ჴლექის დაავადებამ ქუთაისსა და მის მაზრაში შესამჩნევათ იკლო მაგ.: აპრილში იყო 138 შემთხვევა, მაისში—81, ხოლო ივნისში პირველ ნახევარში აღნიშნულია 10 შემთხვევა, სამაგიეროდ საგრძნობლად გავრცელდა მალარია. მაგალითად მაისში იყო 530 შემთხვევა, ივნისის თვეში აღრიცხული იქნა 1168 შემთხვევა, მოსალოდნელია აღნიშნული ციფრის გადიდება შემდეგ თვეებში.

ივლისის განმავლობაში აღრიცხულია აგრეთვე [illegible] დაავადმყოფების 257 შემთხვევა, 33 შემთხვევაა დიზინტერიით დაავადმყოფებისა 73 ტუბერკულიოზით დაავადმყოფება, შემთხვევა პარტახიანი ტიფისა.

დასასვენებელ სახლებში

ქუთაისის განათლების მუშაკებს დასასვენებელ სახლებში ეთმობათ 16 ადგილი. გარდა ამისა განათლების კავშირის მიერ საწირის, ცემის, ბორჯომის დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი იქნება 100-მდე პროფკავშირის წევრი.

სასოფლო სამეურნეო გადასახადი

ქუთაისის მაზრის გლეხობის სასოფლო-სამეურნეო გადასახადებს კომპანიის თანაგრძნობით ხვდება 6-დან—19 ივნისამდე აღრიცხულ იქნა 21.653 მეურნეობა. სულ აღსარიცხავია 52.776 მეურნეობა.

მუშაობა დამთავრებულ იქნება 10 ივლისისათვის.

ცოფიანი ძაღლები

აპრილისა და მაისის თვეებში გაცოფდა 20 ძაღლი, რომლებმაც 88 კაცი დაკბინეს მიღებულ სასწრაფო ზომების საშუალებით ზოგი მათგანი გადარჩენილ იქნა სიკვდილისაგან.

კ. ნ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გზა აგარაკ ნაბეღლავზე

ოზურგეთი, 6 ივლისი. ერკეთის და ხევის თემების გლეხები შეუდგენ გზატკეცილის გაყვანას ჩოხატაურიდან აგარაკ ნაბეღლავამდე. გზატკეცილის გასაყვანად წარმოებულ მუშაობაში მონაწილეობას იღებს 12 სოფლის გლეხობა. გზის გაყვანა სწარმოებს დაკვრითი წესით და დამთავრდება მიმდინარე წელს. გზატკეცილის საერთო სიგრძე უდრის—19 ვერსს.

ექსკურსია სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე

ოზურგეთი, 6 ივლისი. გურიის აგრონომიული ტეხნიკუმის კურსდამთავრებულნი—30 კაცის რაოდენობით იგზავნებიან ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.

სასოფლო სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღრიცხვა

ოზურგეთი, 6 ივლისი. მთელს გურიაში დამთავრდა სასოფლო სამეურნეო გადასახადის გასაწერ-ობიექტების აღრიცხვა.

აღმასკომის პლენუმი

ახალქალაქი, 6 ივლისი. 5—6 ივლისს შესდგა ახალქალაქის აღმასკომის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა მოხსენება საძოვრების შესახებ და მოიწონა საადგილ-მამულო განყოფილების მიერ საძოვრების განაწილება 1926 წლისათვის. პლენუმმა დაავალა საადგილ-მამულო განყოფილებას დაწვრილებით შეისწავლოს საძოვრების საკითხი იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს საძოვრების განაწილება უფრო ხანგრძლივი დროსთვის. გარდა ამისა, პლენუმის მიერ მოსმენილ იქნა მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე, ბიუჯეტზე, მაზრის ადმინისტრა-

აჭარისტანი

კონკურსი

ბათომი, 6 ივლისი. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მაზრების სასოფლო სამეურნეო ამხანაგობებში გამოაცხადა კონკურსი. საუკეთესო ამხანაგობას მიეცემა უპროცენტო სესხი 10.000 მანეთის რაოდენობით.

მალარიასთან ბრძოლა

ბათომი, 6 ივლის. ქობულეთში სამალარიო სადგურის მოსაწყობად დამატებით გადადებულია 1.500 მანეთი.

თავის დროზე მიღებულ ზომების წყალობით, ქობულეთის რაიონში მალარია მნიშვნელოვნად შემცირდა.

სკოლების შესაკეთებლად

ბათომი, 6 ივლისი. დაწყებულია ბათომში და მაზრებში სკოლის შენობების შეკეთებისათვის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

3.000 ცელი

ბათომი, 6 ივლისი. პურის მკის დაწყების გამო, სასოფლო სამეურნეო ბანკმა მაზრაში გაგზავნა 3.000 ცელი.

წერილები

საჯავახო—ჩოხატაურის გზა

თითქმის დაინგრა და ინგრევა, კიდევ ჩოხატაურ-საჯავახოს გზა! ეს გზა ძველი სამხედრო გზაა. ის აღმოსავლეთ გურიის შემაერთებელი ძარღვია რკინისგზასთან. აღმოსავლეთ გურიაში მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით სარგებლობენ. ჩოხატაურიდან საჯავახომდე 18 ვერსის სიშორეზე გზა მოუწესრიგებელი და განადგურებულია. ბევრჯელ გვსმენია დაპირება ამ გზის შეკეთების შესახებ, მაგრამ დღემდე არაფერი სჩანს. რაც დრო გადის გზის მდგომარეობა თანდათანობით უარესდება, ხიდები ფუჭდება, არხები ივსება, გზა იფარება ჩამონალექი ქვიშით და შორს აღარ არის ის დრო, როცა ფეხით გავლაც შეუძლებელი გახდება ამ გზაზე.

ერთი წლის წინად შეკეთებულ იქნა ამ გზის ერთი ნაწილი, რომელიც ხევის წყალმა გადარეცხა. დღეს გზის ეს ნაწილიც ფუჭდება.

ნუ თუ არავინ გამოჩნდება ამ საქმის დამწყები და მეთაური?

პ. ობოლი.

როგორი პირი უჩანს მოსავალს

(ქიზიყი)

წელს ქიზიყში დიდძალი მოსავალია ქერისა და პურის. ვენახებსაც კარგათ ასხია. კარგია სიმინდის და თამბაქო. უკანასკნელად ძალიან სწვიმს, რამაც შესაძლოა ცუდი გავლენა იქონიოს მოსავალზე. წვიმა ვენახში ნაცარს უჩენს მტევნებს. ქვემო-მაჩხაანლების მინდორში დიდი ზარალი მოხდა 2 ივლისს, ისეთი დიდი წვიმა მოვიდა, რომ ენა-მთა, წითელი-წყაროდან წამოსულმა ნიაღვარმა მთლად დაფარა ყარაჯალის ქვემოთ მდებარე ნახნავები—წყალი წაუდგა მოუმკელ ყანებს. თუ მალე არ გამოიდარა დადგმული ათეულები აჯერჯილდება და მთლად დაიღუპება ამოდენა ნაოფლარი.

იქაური.

სეტყვა ქვემო ქიზიყში

კვირას, 4 ივლისს, ნაშუადღევს დაისეტყვა ქვემო-ქიზიყის რამოდენიმე სოფელი: ტიბაანი, ქუმბათი და ძველანაგა. ქიზიყის ეს რაიონი განთქმულია საუკეთესო ღვინის და ხორბლეულის მოსავლით. დიდძალი ვენახები და პურის მოსავალი, ყანა, ბაღები იქნა განადგურებული და მიწასთან გასწორებული სეტყვისაგან. ჯერ-ჯერობით ამ სოფლებს არ ჰქონიათ შეძენილი სეტყვის საწინააღმდეგო მაშხალები, მათ რომ მოთავე ჰყოლოდათ არ გაუძნელდებოდათ სეტყვასთან საბრძოლველ საშუალებათა შეძენა. საჭიროა ზარალი გამორკვეულ იქნეს, დაზარალებულ მცხოვრებთ დახმარება აღმოუჩინოთ და საშემისოდ მაინც შეძენილ იქნეს სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნები.

X.

აბრეშუმის პარკის მოსავალი გურიაში

25 ივნისიდან ოზურგეთს და საზოგადოთ გურიას გამოცოცხლება დაეტყო. ეს გამოცოცხლება გამოიწვია, აბრეშუმის პარკის მოსავალმა; წელს ოზურგეთის მთლიან „ეპომ“ და ქუთაისის ამხანაგობა „აბრეშუმ“-მა ქ. ოზურგეთ და მის ახლო - მახლო სოფლებში დაარიგა დაახლოვებით 5750 კოლოფი აბრეშუმის თესლი. 23 ივნისს დიდი სიცხის გამო ბევრი ჭია დაიღუპა, მაგრამ ოზურგეთის საპარკე ფარდულს, მაინც დიდ ძალი ხალხი მოაწყდა პარკით ავსილ ურმებით და გოდრებით. რვა დღის განმავლობაში ქუთაისის ამხანაგობა „აბრეშუმს“ და ოზურგეთის „ეპოს“ მიღებული აქვს: 1608 ფუთი და 26 გირი პირველი ხარისხის და 970 ფუთი და 1 გირი მეორე ხარისხის პარკი; სულ 2578 ფუთი და 27 გ. ამხანაგობა „აბრეშუმში“ ფუთ პირველ ხარისხის პარკს ღებულობს 22 მანეთად მეორეს კი 20 მანეთად. ფულს გლეხებს ხელზე აძლევს.

ნავარაუდევია, რომ ამხანაგობა „აბრეშუმ“-მა და ოზურგეთის „ეპომ“ უნდა შეიძინოს დაახლოებით 6000 ფ. ნედლი პარკი.

ი. გირგოლაძე.

საყურადღებო საქმე

(ზემო იმერეთი)

მენშევიკების დროს ზესტაფონში ოთხიოდე სკოლა არსებობდა, რომლებიც უსახსრობის გამო სულს ღაფავდენ, გასაბჭოების შემდეგ აქ დაარსდა სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმი, ცხრაწლედი და ორი შვიდწლედი, გახსნილია აგრეთვე რკინის გზის სკოლა და რამოდენიმე ოთხწლედი. ამ სკოლებში უმეტეს ნაწილად სწავლობენ ადგილობრივი მუშების და გლეხების შვილები. სწავლის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ყველა მსურველებს სკოლები ვერ იტევენ. თუმცა ზესტაფონს ქალაქად სთვლიან, მაგრამ თავისი ეკონომიური მდგომარეობით იგი უფრო სოფელს წააგავს. ვინაიდან აქაურ მცხოვრებლებს სასოფლო-მეურნეობასთანაც დიდი კავშირი აქვთ ამიტომ ზოგიერთ სკოლებში სასოფლო-სამეურნეო განხრის შეტანა იყო საჭირო. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მთელ ზესტაფონის გარშემო სოფლებში მევენახეობას მისდევენ, სასოფლო-სამეურნეო განხრა სკოლებში აუცილებლად დიდ სარგებლობას მოუტანდა ადგილობრივ გლეხობას. ზესტაფონის ცხრა წლედში ჯერჯერობით არავითარი განხრა არ გატარებულა. საჭიროა მომავალ სამოსწავლო წლიდან ასეთი განხრა გატარებული იქნეს.

მცოდნე.

ექიმბაშებს უბრუნდებიან

თერჯოლის თემი, (შორაპნის მაზრა)

საექიმო პუნქტი ემსახურება თემის ექვს სოფელს. გლეხობა დიდათ ეტანებოდა პუნქტს. მაგრამ ამ ბოლო დროს ავადმყოფების გასინჯვაში ათ შაურს ახდევინებენ, რაც ყველას არ შეუძლია. დღეს გლეხები ისევ ექიმბაშებს მიმართავენ, ვინაიდგან ექიმბაში ნატურითაც მიიღებს გასამრჯელოს. გლეხებს კი ფული ყოველთვის ხელში არა აქვს. ახალი განკარგულებით თავისუფალნი არიან გასასინჯი ფულის გადასახადისაგან წითელარმიელის ოჯახები და ულარიბესი გლეხობა რომელთაც არ ხდება სასოფლ. სამეურნეო გადასახადი, მაგრამ ასეთების რიცხვი ძალიან მცირეა ჩვენში. საშუალო შეძლების გლეხზე კი შეღავათი არ ვრცელდება.

გლეხი.

წერილებიდან

ჯუმათი, (გურია)

მკვლელობა. 3 ივლისს ჯუმათის თემში ბოროტ-მოქმედმა სერაპიონ გოგუაძემ მოჰკლა ადგილობრივი მცხოვრები მოსე ურუშაძე. მიზეზი ის არის, რომ გოგუაძეს გაშორდა ქალი და გაჰყვა ურუშაძეს. მიღებულია ზომები მკვლელის შესაპყრობათ.

იქაური.

ფარცხანაყანევი, (ქუთ. მაზ.)

მგლებმა აგვიკლეს. სოფ. ფარცხანაყანევში ძლიერ გამრავლდა მგლები, რომლებიც დიდ ზარალს აყენებენ გლეხობას. ღამე არ გავა, რომ სამი და ოთხი სული რქიანი საქონელი არ დაგლიჯონ. მგლები იმდენად მომრავლებული და გათამამებული არიან, რომ საყანეებზედაც ხშირად შეხვდებით. ქუთაისის მონადირეთა კავშირს ევალება ზომების მიღება.

ქ. ფხაკაძე.

ზუგდიდი

ჯერ კიდევ 10 წლის უკან იყო ზუგდიდში სტამბა, ამჟამად კი სტამბის ნაცვლად სანაგვეა. ოთახში ყრია რამოდენიმე დამტვრეული ყუთი აურზების ნაგლეჯები და ჩვარით შეხვეული მანქანა, მუშაობს მხოლოდ ერთი ასოთ-ამწყობი. სტამბაში ასოები არ მოიპოვება. საჭიროა სამაზრო აღმასკომმა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.

სტამბისათვის საკმარისია რამოდენიმე ფუთი ასოს შეძენა, რაც არც იმდენად ძვირი დაჯდება.

ს. ცაიშვილი.

ბუგეული, (რაჭის მაზრა)

ხიდი შეკეთებას მოითხოვს. ბუგეულში რიონზე არის ხის ხიდი, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. ამ ხიდზე ბევრი ბავშვები დადიან, საჭიროა ხიდის შეკეთება სანამ უბედური შემთხვევა არ მომხდარა.

„მუზა“

კირცხი, (ზუგდიდის მაზრა)

ჯიუტობით საქმე ფუჭდება. თემში საფუძველი ჩაეყარა სოფლის ახალგაზრდობის სკოლის შენობას. შენობა თემის ცენტრშია, შესანიშნავ ადგილზე ჯანსაღი ჰავითა და სხვა. ერთხანს მთელი თემი ერთსულოვნათ შეუდგა საქმეს, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მასწავლებელ ვასილ ჯიქიას მეთაურობით თემის ერთი ნაწილი სცდილობს საქმის გაფუჭებას და შენობის გადატანას სოფლის განაპირა, ჭაობიან ადგილზე მოითხოვენ. საჭიროა სამაზრო აღმასკომის ჩარევა ამ საქმეში და ჯიქიასთვის შესაფერისი ადგილის მიჩენა.

ეკლიშვილი.

ჭიათურა

წყაროები დაშრა. რგანში, ღვიმევში, პერევისაში და მუქრუთში დაშრა წყაროები. სოფლებს დიდ გაჭირვებას განიცდიან ამის გამო. საჭიროა ზომების მიღება.

ჩაჩანი.

ქუთაისი

თავშესაფარიში მოათავსეთ. ქუთაისის საავადმყოფოში ერთი წელია წევს ბრმა მოხუცი კაჭარავა. მისი საავადმყოფოში წოლა უმიზნოა. საჭიროა ის თავშესაფარში იქნეს გადაყვანილი.

სერგოვა.

დიღომი, (თბილისის მაზ.)

საჭიროა თაოსნობა. სოფლის შუა ალაგას ორღობის თავში (ზემოუბანთან) ზამთარზაფხულ გროვდება ავდრის წყალი, რომელიც ყროლდება და გადაქცეულია მწვანე ტბათ. მის გაშრობაზე არავინ არ ზრუნავს. ტბაზე ბუდობენ კოღოები, რომლებიც მალარიას ავრცელებენ სოფელში. ტბის გაშრას არც იმდენი შრომა უნდა, საჭიროა მხოლოდ თაოსნობა.

გიორგი.

შეფი გვპირდება

(ს. ალავერდი, შორ. მაზრა)

სოფელ ალავერდზე და ალავერდის კომუჯრედზე შეფობა აქვს აღებული ზესტაფონის რკინისგზის უჯრედს. შეფობა დამაკმაყოფილებელია. წარსულ წელს დადგეს საღამო და მოიტანეს მოძრავი კინო, რასაც გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა. ეხლა მოახლოვებულია ზაფხული და გლეხობა მოუთმენლად მოელის შეფის ამოსვლას.

შეფო, იმედს ნუ გაუცრუებ გლეხობას.

ნატა.

სოფელი დიდი გლდანი (თბილ. მაზრა)

— **ანგარიში ჩვენც გაგვიწიეთ.** ჩვენ სოფელში საექიმო პუნქტის გამგეთ იყო მაკალათია, რომელსაც კონფლიქტი მოუხდა უბნის ექიმთან. კონფლიქტის შედეგი იყო მაკალათიას გადაყვანა სხვა თემში.

მაკალათიას დატოვებისათვის მივიღეთ ყოველგვარი ზომები, შევმართეთ თემაღმასკომს, თხოვნით, უკანასკნელმა მიმართა თბილისის აღმასკომს, მაგრამ ჩვენი თხოვნა არ იქნა შეწყნარებული და მაკალათია მაინც გადაყვანილ იქნა სადღაც.

ნუთუ არ უნდა გასწეოდა ანგარიში გლეხების თხოვნას?

გლეხ-[illegible].

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს მუშკორების, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების და ადგილობრივ მუშკორთა წრეების გაერთიანებული თათბირი.

ვინაიდან თათბირის დღის წესრიგში სდგას ფრიად საყურადღებო საკითხები, ამიტომ ყველა ამხანაგების დასწრება დანიშნულ დროზე სავალდებულოა.

ორთქლმავლების საყუდში

(სურათები სინამდვილიდან)

თბილისის რკინისგზის საყუდი სავსეა ორთქლმავლებით.

რიგი შედის და რიგი გამოდის. საყუდს უამრავი სამუშაო აქვს. ისმის ფუსფუსი, ყვირილი, ხმაურობა...

ის მუდამ მზად უნდა იყოს მისცეს სადგურს, რკინისგზას მმოძრავი და კარგად აწყობილი ორთქლმავლები...

აი საყუდის სამორიგო ოთახიც ეს საყურადღებო და საინტერესო დაწესებულება. აქ მუდამ ნახავთ მორიგე რევიზორს და მის თანაშემწეს.

მოსულ-წამსვლელი მემანქანეებიც ამ ოთახს გვერდს ვერ აუხვევენ.

უფროსი, თუ უმცროსი ზეინკალი, ცეცხლფარეშები, მაზუთის გამშინჯავები, ორთქლმავლის მრეცხავ-მწმენდავები, დარაჯები და სხვები, საყუდში მომუშავე ამ ოთახს გვერდს ვერ აუვლიან, ვერ დაივიწყებენ. აქ ცენტრია. აქედან გადის ყოველგვარი განკარგულება.

— სანდრო! ეს და ეს ორთქლმავალი გაახურე!

— ვანო, შენი ორთქმავლის ქვაბი უნდა გარეცხო.

— ზესო, ჩქარა გაშინჯე მე-5 ნომრის საკისრები.

— არჩილ, ამა და ამ ორთქლმავალში წყალის ჩასხმა არ დაგავიწყდეს!

— კოსტა! შენ მიიღე ორთქლმავალი № 1030. წახვალ ხაშურისაკენ. მგონია შენი თანაშემწე კიდევ არ მოსულა. მართლაც, თუ არაა ორთქლმავალზე, აი მორიგე აქაა ჩიტაძე,—ის წაიყვანე!

— მაზუთის გამშინჯავო! გასწი 1030-ზე, გაშინჯე, რამდენია მაზუთი. შემდეგ 9694-ზეც გაშინჯე, ეს არის ეხლა შემოვიდა საყუდში და იძლევა ასეთ მრავალგვარ განკარგულებას მორიგე რევიზორი. თან სხვა აურაცხელ ქაღალდმარშრუტებს ხელს აწერს. ყველას დავთარში ინიშნავს.

უყურებ ამ ადამიანს,—მანქანას და გიკვირს მისი მახსოვრობა, ნიჭი, უნარი, ენერგია.

წკრრრუუ-უ-უ დაიძახეს საიდანაც ტელეფონს.

— გისმენთ!.. ვინა ხართ?.. საიდან?!.

— ხაშურის მატარებელი მოიშალა?.. მერე აქამდის სად იყავით! მე უკვე ორთქლმავალი № 1030 მოვამზადე. სათბობი დაიწვა. მემანქანეს უკვე გამოუძახე. ორთქლმავალს იზარებს. ვინ აგებს ეხლა პასუხს! ვინ ზღავს დანახარჯს!..

— თქვენ არ იცით? სამმართველომ ახლა გადმოგცათ? კარგი ხვალ გამოვარკვიოთ. ახლა არა მცალია. სხვა მატარებელი ხომ არ მოშლილა?...

— სანდრო! გაიგე ჩქარა და გადაეცი მემანქანე კოსტას № 1030. 1030-ზე მატარებელი მოიშალა. აქ მოვიდეს. ორთქლმავალზე ცეცხლი ჩააქრე!..

— ამხანაგო რევიზორო! კახეთის ორთქლმავალი მოვიდა № 10. სად დავაყენო? ეკითხება დარაჯი.

— დააყენე ახალ საყუდში. ხვალ № 10-ის საორთქლო ქვაბი უნდა გაირეცხოს. უკვე ათასი ვერსი გააკეთა ამ ქვაბმა გაურეცხავათ...

მიკვირს, გაოცებაში ვარ; როგორ იცის ამ კაცმა ყველაფერი, როგორ ახსოვს ამდენი საქმე.

წკკრრუუუ!.. გაისმა ისევ ზარის ხმა.

— ნეტავი, ეხლა ვიღა რეკავს! რა უნდათ ამ შუაღამისას!..

— გისმენთ!.. ვინა ხართ! საიდან?

— ნავთლუღიდან?—რაშია საქმე? ხომ მშვიდობაა?

— რაო, რაოო! რონოდები ჩამოვარდენ! დაიმტვრენ? სადა?.. ყარაიაზის სადგურზე?..

— ორთქლმავალიც გადასცდა ლიანდაგს!.. კამეჩს დაეჯახა! დამხმარე მატარებელს თხოულობენ?

— ადამიანთა მსხვერპლი არ არის!..

— კარგი ეხლავე. ათ წუთში მანქანა მზად იქნება. გამოგზავნეთ ორთქლმავლის გამყვანი.

— აბა, კოსტა მიუბრუნდა მორიგე მემანქანეს, რომელსაც მატარებელი ეს იყო მოეშალა და აქვე ჯავრობდა, ბუზღუნებდა—ეს მესამედ მეშლება მგზავრობა.

— რაღა მორიგე მემანქანე ვაცალაძე... გასწი ეხლავე შენი მე-1030 მანქანით სადგურზე მივსრე-გამცილებელი უკვე მოდის სადგურიდან წახვალ ყარაიაზში დამხმარე მატარებლით.

— შენ დარაჯო, ხელად გამოუძახე მორიგე ზეინკლებს, მუშებს ყველამ დაიჭირონ ალაგი დამხმარე რონოდებში...

წკრრრუუუ!.. ახლა უკვე თვით რევიზორმა მიმართა ტელეფონს.

— მოძრაობის საჩქაროდ საყუდის უფროსის ბინა № 00—20.

წკკრრუუ!..

— ნიკო, თქვენა ხართ!.. ყარაიაზში მატარებელი №. 341 დასეჯახებია კამეჩს. ორთქლმავალი და რამდენიმე რონოდა გადავარდნილა ლიანდაგიდან. ადამიანთა მსხვერპლი არაა. დამხმარე მატარებელი მზათაა...

— ამ წუთში საყუდში მოხვალთ? კარგი...

ძველი მუშა ს. დოლიძე.

პროფმუშაობაც ასეთი უნდა

პროფმუშაობა ადგილებზე სუსტად მიმდინარეობს. ზოგიერთ „პროფმუშაკის“ მოვალეობა ხშირად მარტო ჯამაგირის აღებით განისაზღვრება. პროფმუშაკების ასეთი უპასუხისმგებლობა გამოწვეულია პროფორგანიზაციებით ან რაიმე ბოროტ განზრახვით. ავიღოთ მაგ. გარკახეთის მოჯამაგირეთა კავშირის რწმუნებული მოქ. ჩხუბიანიშვილი. აღნიშნული პირი იღებს ხელფასს 75 მანეთს, ცხოვრობს სართიჭალაში და იშვიათად ეწვევა ხოლმე საგარეჯოს და ისიც 3—4 საათით. აურაცხელი სამუშაო დაგროვილი, რომლის მოგვარებაც უხდება პარტკომის პ. მ. მდივანს ამხ. იმნაიშვილს თავის თანამშრომელთა დახმარებით. საკვირველია თუ რაში იღებს გასამრჯელოს მოქ. ჩხუბიანიშვილი?!

მუშაობის წარმატებით მიზნით კარგი იქნებოდა ცალკე გამოყოფილიყო საგარეჯოს თემი.

ურანი.

ნათლიმამობა-მიკერძოებას ბოლო უნდა მოეღოს

(წერილი ზუგდიდან)

საბჭოთა ხელისუფლება ერთად-ერთი ხელისუფლებაა რომელიც არა მარტო სიტყვით არამედ ყოველდღიური თვალსაჩინო ნაბიჯების გადადგმით დგას მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე. დამზღვევი სალარო თავის უფასო ექიმებით, კურორტები, დასასვენებელი სახლები და სხ. ამის უდავო საბუთია ყოველგვარი გაუგებრობის და ბოროტ-მოქმედების თავიდან ასაცილებლად არსდება ჯანმრთელობის ორგანოებთან როგორც არის საკურორტო, საკონტროლო და სხვა კომისიები, მაგრამ თუ რომელიმე კომისია ავადმყოფთა განაწილებას სწორად არ აწარმოებს ის პასუხისმგებელია თავის უმაღლეს ორგანოების წინაშე. ავიღოთ მაგალითისათვის ზუგდიდის მაზრის საკურორტო კომისია რომელმაც ვერ შესძლო მუშა-მოსამსახურეთა რიგიანი შერჩევა მათი ჯანმრთელობის მიხედვით და გადაგზავნა კურორტებზე. ექ. დგებუაძე რომელიც საკმაო რაოდენობით ჯამაგირს იღებს, აგრეთვე თავისუფალ საათებში პრაქტიკიდან (200 მან. მეტს). ასეთ ექიმს აგზავნის საკურორტო კომისია კურ. წყალტუბოში მაშინ, როდესაც ზოგ მუშა-მოსამსახურეებს მწვავე ავადმყოფობის გამო შტატ-გარეშეც-კი ტოვებენ.

გარდა ამისა საკურორტო კომისია 19 ადგილიდან [illegible] მუშაკების 17 კაცი გაგზავნა ქ. ზუგდიდან და მხოლოდ 2 კი პროვინციიდან. ასეთი ცალმხრივობა საკურორტო კომისიის მოქმედების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მუშა-მოსამსახურეთა შორის. ამიტომ საჭიროა საკურორტო კომისიის მოქმედების გამოკვლევა.

უცნობი ახკორი.

ძველ ადვოკატებში

უწინდელ და ეხლანდელ ვექილებში დიდი განსხვავებაა. უწინ ადვოკატს კლიენტი დაეძებდა, ეხლა კი თვით ადვოკატი დაეძებს კლიენტს. უწინ ადვოკატს გლეხი სავსე ხურჯინით და ფეშქაშით უქრავდა თავს; ეხლა კი ადვოკატი სანთლით დაეძებს გასაყვლეფს...

უწინ ისინი [illegible] კიდეც „პამოშნიკებს“ და მაკლერებს მშრომელთა ობობას ქსელში გასახვევად. მაგრამ მათდა „სამწუხაროდ“ დრონნი იცვალენ და აღარც მათ შერჩათ „ერთი დრო“— მატყუარობისა და ჯანბაზობისა.

მართალია, თითო-ოროლა ძველი ადვოკატი ჯერ კიდევ დაიხეტება გაბერილი პორტფელებით „სასამართლოებში“. მაგრამ... მათი დღენიც დათვლილია. შეგნებულმა მშრომელმა მათ თვალთმაქცობას აღლო და პირი უბრუნა.

ძველ დროში ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ადვოკატი დაჰპირებია მომჩივანს და მოპასუხეს საქმის მოგებას და ორივე მხრიდან წინდაწინვე „გასამრჯელო“ აუღია, საქმე კი, რასაკვირველია, ორივეს სასარგებლოდ არ დაბოლავებულა.

ეხლა ჩვენ სასამართლოში, ძველ „ნაქებ“ ადვოკატებს „ფოკუსური ნომრები“ არ გაუვათ, თუმცა ისინი სასამართლოს დარბაზებში და კულისებში თაგვებივით დაეძებენ ადვოკატის საქმეს. აქა იქა შეიძლება კიდეც გაიგო ამნაირი ჩივილ-გოდება: „საქმე წავაგე და ფული მაინც მთხოვსო“.

— „ჰმ! ადვოკატი უნდა გამოცხადებულიყო, ის კი არ გამოცხადდა, საქმეც გადაიდო, ალბათ, არა სცალიან, სხვა საქმეს იცავსო“...

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო ხანებში სოკოსავით გამრავლდენ ადვოკატები და ბუზებივით ირევიან სასამართლოში ალბად, კაი დორანი დაუდგათ და ეს „შემოსავლიანი“ სეზონი, ალბად, ფულის გამფლანგველების ბრალია: მართლაც და სასამართლოში თითქმის მხოლოდ მფლანგველების საქმე ირჩევა და... აბა რის მფლანგველია, თუ ვექილსაც ვერ „დაიჭერს“, ვერ დაიქირავებს!?

აქ ერთი რამ ეჭვს გარეშეა, რომ მფლანგველებს იმედი აქვთ „პრისიაჟნი პოვერენნის“ და მათი იმედით შეიძლება კიდეც ბედავდენ ავი მოქმედების ჩადენას.

განზე მდგომი ვექილები ჩვენ არ გვესაჭიროება. ჩვენ გვყავს საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი დამცველთა კოლეგია, წითელი მოსამართლეები და ვექილები, „ზზიკებს“ კი ვიგერიებთ.

მუშა ჭლარა.

გადავარჩიეთ ფაბკომი

განსაკუთრებულმა კომისიამ რამოდენიმე დღის მუშაობის შემდეგ ფაბკომის გადარჩევისათვის—23 ივნისს—მოიწვია მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო მუშების მთელი შემადგენლობა; კრებას დაესწრო აგრეთვე გემო-კების კავშირის თავმჯდომარე ამხ. ავეტისოვი.

დღის წესრიგში იდგა: 1. ფაბკომის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ამომრჩევმა კომისიამ, კრებას გააცნო თავისი მუშაობა და წამოაყენა ფაბკომის ახალ შემადგენლობისათვის 11 კანდიდატთა სია სულ კანდიდატურაში წამოყენებულ იქნენ 29 კაცი. ფაბკომის შემადგენლობაში უნდა გასულიყო 11 კაცი; აქედან ორი კანდიდატი.

29 დასახელებულ კანდიდატებს პერსონალურად უყარეს კენჭი.

კენჭის ყრის შემდეგ, ხმის უმრავლესობით ფაბკომის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ. ამხ. **გამხაროვი გიორგა, ქარუმიძე ალ., შლიფერი ეკატერინა, გუდიევი მიშა, აბრამაშვილი გაბო, ლისენკო ნინა, ტაბატაძე თამარა, არაკელიანი იაკუმშა და ჟანინოვი გარეგინა.** კანდიდატებად ამხ. ამხ. **ოტიაშვილი მიშა და ოქრუაშვილი დ.**, ამათში კი 7 პარტიული და 4 უპარტიო.

ამის შემდეგ, პერსონალურად არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. **ასლანოვი სურენა, ჩილინგაროვა**, და **მთვალიშვილი ვანო**, კანდიდატებად: **კუნიაცაია ლიდა და მილჩუმოვი სურენა.**

არჩევნებში ჩვენმა მუშებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა—ამორჩეულნი არიან აქტიური მუშები.

კრებამ ფაბკომს და სარევიზიო კომისიას მისცა სათანადო „ნაკაზი“ მუშაობისათვის.

მუშკორი ვანო.

თუ არ იყო საჭირო, არც ხარჯები უნდა გაგეღოთ

ა.-წ. დეკემბრიდან 1-ლ ივნისამდე პროფსაბჭოს და სოცდაზღვევის სამმართველოს ჰქონდა მოწყობილი ამავე დარგის შესასწავლად გადასამზადებელი კურსები, რომელზედაც იყო მოწვეული 60 მსმენელი. კურსები თავის მეცადინეობის მომავალ პერსპექტივად ისახავდა გაჯანმრთელებისა და გამოსწორების პროფმუშაობაში არსებული დამახინჯებული მხარეების. ეს პროფსაბჭომაც და ყოველივე კურსელმაც კარგად იცოდა. ამ საქმისთვის საგრძნობი თანხაც დაიხარჯა (არა ნაკლები 30.000 მანეთის). ეს თანხა უნდა აღდგენილიყო კურსელების ენერგიული მუშაობით.

ეხლა კი სულ სხვა რამეს ვხედავთ. კურსდამთავრებულები უადგილოდ დაიხეტებიან და მათ ყურადღებას არავინ არ აქცევს.

ეს კურსები თუ არ იყო საჭირო, არც ხარჯები უნდა გაეწიათ, თუ არა და ქუჩაში სასიარულოდ შესასწავლი კურსებზე ამდენი ხარჯები არ უნდა გაეწეულიყო.

საჭიროა გამოყენებული იქნეს ყოველივე გამოსადეგი და პროფმცოდნე კურსელი პროფესიონალურ მუშაობაში პროვინციებში მაინც სადაც პროფმუშაკები ჩვენ იშვიათად მოგვეპოვება.

ერთი კურსელთაგანი.

საზაფხულო კლუბი გავხსენით

(სენაკელი მუშკორისგან)

სენაკის მუშა-მოსამსახურეებს, მართალია, ერთი ცენტრალური კლუბი აშენებული აქვთ თავისი [illegible], მაგრამ ეს კლუბი უფრო საზამთროა, ხოლო საზაფხულო კლუბი კი არ გვქონდა, მაგრამ სენაკის პროფკავშირებმა გადადგეს ამ მხრივ ნაბიჯი, შეაგროვეს 1200 მან. და 27 ივნისს საბჭოთა აფთიაქის გვერდით ბაღში გავხსენით საზაფხულო კლუბი.

საზეიმო სხდომას ბევრი მუშა-მოსამსახურე დაესწრო.

კლუბთან არსებულმა დრამწრემ, რომელსაც ხელმძღვანელობს ქუთაისიდან მოწვეული რეჟისორი ამხ. მ. ჯულელი, დადგა პიესა „რაც არ მერგება, არ მერგება არ შემერგება“.

პიესა ძალიან კარგად ჩატარდა. აღსანიშნავია ქ-ნ ელ. სიხილას მომხდენელი თამაში.

კლუბთან მოწყობილია სათამაშოები, სამკითხველო, ბუფეტი, სცენა კინო ეკრანით.

იცემა კედლის გაზეთი „წითელი ოქტომბერი“-ს სახელწოდებით, რომლის მე-9 ნომერი მიძღვნილი იყო კლუბის გახსნისათვის.

საზაფხულო სამუშაო გეგმა შედგენილია კლუბის გამგეობის მიერ და განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია დრამწრის, ფიზკულტურის წრის, კითხვა-პასუხის საღამოების და ლექციების მოწყობისაკენ.

მუშკორი ბ. უჩანეიშვილი.

სამუშაო შეამცირეს, შტატი კი გაადიდეს

მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საკითხი აყენებს ჩვენს წინაშე „მომჭირნეობის რეჟიმის გატარების აუცილებლობას, ზოგ კოოპერატიულ ორგანიზაციებში კიდევ აქვს ადგილი უყაირათობას. ავიღოთ მაგალითისათვის საჭამიასერის თემის (გურია) კოოპერატივი, რომელშიც 1922—23—24 წლებში საქონლის რაოდენობა აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებას. ამავე დროს მთელ კოოპერატივში მუშაობას აწარმოებდა ერთი ნოქარი, რომელიც რიგიანად უძღვებოდა თავის მოვალეობას და თავის დროზე ისტუმრებდა მისულ მომხმარებლებს.

ამჟამად კოოპერატივში არ არის ნავთი, მარილი და საერთოდ მომხმარებლისათვის პირველ მოთხოვნილების საგნები, რითაც სამუშაოც უფრო შემცირდა. ამ დროს კი გამგეობამ თავის შტატი და მოუმატეს მეორე ნოქარიც.

ქონების უყაირათო გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მომატებული ნოქარის შტატის შემცირება და სამაგიეროდ მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის მოტანა კოოპერატივში.

საჭამიასეული.

ვინ მოარჯულებს სახლის პატრონებს?

ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა სახლის პატრონების ოინების შესახებ. საკითხს გვერდით არც აუვლება. სახლის პატრონი ცდილობს თავის სახლიდან მუშა-მოსამსახურის განდევნას; ის ყოველგვარ ხრიკებს მიმართავს ამ მიზნის განსახორციელებლად. სახლს აბინძურებს, ჰქმნის შიგ ანტისანიტარულ მდგომარეობას, სახლის შეკეთებაზე ხელს იღებს, რითაც ხალხი მიდის დანგრევა-განადგურებამდ. ასეთი მოვლენა უნდა ჩაითვალოს ბოროტ-მოქმედებად და გამოეცხადოს მას სასტიკი ბრძოლა. ავიღოთ, მაგალითისათვის მოქ. ივანე დახაევა, რომელსაც აქვს სახლი ანდრეევის ქ. № 76-ზე. ეს სახლი წარმოადგენს საშიშროებას; სახურავი მას არ უვარგა; ჭერი დამპალია, წვიმა ოთახებში ჩამოდის. მდგმურების მეტი ნაწილი საბჭოთა მუშა-მოსამსახურეებია, რომლებიც არამც თუ ნორმით, არამედ ზედმეტ მანეთებსაც კი იხდიან სახლის ქირად. მიუხედავად იმისა, რომ ივანე დახაევი სახლის ქირას ღებულობს თავის დროზე, სახლის შესაკეთებლად ყურსაც არ იბერტყავს. მას კი გარდა ამ შემოსავლის აქვს სხვა შემოსავალი წარმოებაში—რუსეთიდან ჩამოჰყავს პარტიობით მსხვილ-ფეხა საქონელი ქალაქში გასაყიდად. საჭიროა ეს ვაჭარი აიძულოთ და სახლი შეაკეთებინოთ მოსალოდნელ უბედურების თავიდან ასაცილებლად.

მუშკორი რკინისგზელი.

მოსმათა ქრონიკა

კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში

— **მუდმივი კომისია.** შესდგა მუდმივი კომისია ოთხი კაცისგან, რომელშიაც შედის გამგე, ფაბკომის წ. მდივანი, კომუჯრედის მდივანი და ამხ. წარმომადგენლი; ხსენებული კომისია მიზნად ისახავს ფაბსკოლაზე გაწეულ ხარჯზე თვალყურის დევნებას და შემოსავლიანობის გადიდებას.

— **ქარხანა იმუშავებს.** ზოგიერთ გადაუდებელ შეკეთების გამო, გადაწყვეტილია ამ ზაფხულის სეზონში ქარხანამ იმუშაოს. მუშაობა იწარმოებს სამეურნეო ხარჯზედ აყვანილ მუშა-მოსამსახურეებისაგან.

— **სწავლის შეწყვეტა.** კამოს სახელობის ნაქარხნო-საფაბრიკო სკოლაში სწავლა შეწყდება მიმდინარე თვის 15-ში და განახლდება 15 სექტემბრიდან.

— **გეგმების შემუშავება.** ქარკომის დავალებით, აქ არსებულ ყველა კომისიებმა შეადგინეს ქვესეზონის სამუშაო გეგმა, რომ. განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას.

პროფკავშირებში

სამთამადნო მუშაკთა კავშირში

ჭიათურის სამთამადნო მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის სხდომაზე ინფორმაციული მოხსენება გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ხვედელიძემ. იგი შეეხო ადგილკომების ხელახალ არჩევნებს. მისი სიტყვით, არჩევნები ვერ ჩატარდა სათანადო ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს იმის ბრალია, რომ კავშირის ცენტრ. გამგეობაში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგი იყო მოსკოვში საკავშირო ყრილობაზე, ხოლო მეორე ავად იყო. მომხსენებლის სიტყვით ადგილკომების საარჩევნო კამპანიის დროს, სრულიად არ იყო დაცული ის ფორმალური მხარეები, რომლებიც გათვალისწინებულია ზემდგომ პროფორგანიზაციების ინსტრუქციებით. მაგალითად, არ იყო არჩეული წინასწარ საარჩევნო კომისია, ზოგიერთ სარევიზიო კომისიას საერთო კრებაზე მოხსენება არ გაუკეთებია თავიანთ საქმიანობაზე, რადგან სარევიზიო კომისიების წევრები შტატის შემცირებაში მოხვდენ.

პროფესიონალურ მუშაობას ამჟამად უმთავრესათ ხელს უშლის სამუშაოების (წამოწყებათა) რეორგანიზაცია.

მომხსენებელმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ივლისის პირველ რიცხვებში მოწვეული იქნენ ცალკე ადგილკომებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, რომლებზედაც დაწვრილებით უნდა იქნეს გაკეთებული 3 ვრცელი მოხსენება ადგილკომების საქმიანობის შესახებ.

პროფკორი ლვინ...

მეტყავეთა კავშირის ც. გ. პლენუმი

დამთავრდა მეტყავეთა კავშირის ცენტრ. გამგეობის გაფართოებული პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი მოხსენება: **კავშირის ც. გ. და სარევიზიო კომისიის ანგარიში, ქუთაისის, ჭიათურის და აფხაზეთის გამგეობების მოხსენებები.** პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. **მოსესოვმა**, რომელმაც აღნიშნა კავშირის მიღწევები უკანასკნელი ხნის განმავლობაში. სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქვემდგომი პროფორგანიზაციები ვერ იღებენ ზომებს, რომ კავშირის წევრებმა თავის დროზე შემოიტანონ საწევრო ანარიცხები.

მეტყავეთა კავშირის ქუთაისის სამაზრო განყოფილების საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **მაღლაფერიძემ**, რომელმაც აღნიშნა- რომ კავშირს მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა.

ადგილკომების ხელახალი არჩევნები უკვე დასრულდა.

მუშების ხელფასი შედარებით გაიზარდა. თუ წინეთ მუშა პირველ თანრიგიდან 15 მან. იღებდა, ეხლა ის იღებს 16 მ. 50 კ. მანეთამდე.

სატარიფო შეთანხმება და კოლექტიური ხელშეკრულებები მთელი მაზრის ფარგლებში დადებულია.

შრომის დაცვა ვერაა წესიერად დაყენებული. მთელ მაზრაში კავშირის 293 წევრია. მათგან 9 უმუშევარია. კავშირის მუშაობა კავშირის წევრთა შორის სწარმოებს. მუშებს თავიანთი საკუთარი კლუბ-სამკითხველო აქვთ ამას გარდა ისინი სარგებლობენ მუშათა ცენტრალურ კლუბით. წერა-კითხვის უცოდინარნი და მცირემცოდნენი იგზავნებიან სასწავლებლებში.

მეტყავეთა კავშირის შორაპნის (ჭიათურის) სამაზრო განყოფილების საქმიანობის მოხსენება გააკეთა ამხ. **ნიკოლეიშვილმა**. მან სთქვა, რომ განყოფილების გამგეობა არჩეულია 1925 წ. აგვისტოში 7 წევრისა და 3 კანდიდატის შემადგენლობით. განყოფილებას სულ 230 წევრი აერთიანებს. წევრებს შორის განუწყვეტელი მუშაობის წარმოება ერთობ ძნელია, რადგან მათ კავშირი აქვთ თავიანთ სოფლებთან და ზაფხულის განმავლობაში სტოვებენ სამუშაოებს და მიეშურებიან სოფლებში. უკეთესადაა დაყენებული საქმე ქ. ზესტაფონში, სადაც მუშაობა სისტემატიურად მიმდინარეობს.

ყველა მუშებთან სატარიფო და კოლექტიური ხელშეკრულებები დადებულია. პირველი თანრიგისათვის მუშები 15 მან. იღებენ. კულტ-მუშაობა მიმდინარეობდა კავშირის წევრთა შორის შორაპნის სამპროფბიუროსთან შეთანხმებით. მუშები ჟურნალ-გაზეთებს კოლექტიური ხელისმოწერით იწერენ.

სახნერგში გახსნილია წითელი კუთხე.

პლენუმმა ცენტრალური გამგეობის საქმიანობა მოიწონა და მისცა წინადადება, რომ უფრო გააფართოვოს მუშაობა ახალგაზრდათა შორის, მიიღოს ზომები კავშირის ფინანსიური მხარის გასაჯანსაღებლად. გამოიკვლიოს აფხაზეთის, გორისა და შორაპნის სამაზრო განყოფილებების საქმიანობა და კავშირის საწევრო ანარიცხების ასაღებათ შემოიღოს სამარკო წესები.

ქუთაისის სამაზრო განყოფილების მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. მიეცა წინადადება, უფრო მჭიდრო კავშირი დაიჭიროს ცენტრ. გამგეობასთან და მოისმინოს თავის კავშირში შემავალ ადგილკომების საქმიანობის შესახებ მოხსენებები.

ასეთივე დადგენილება იქნა მიღებული შორაპნის სამაზრო განყოფილების მოხსენების გარშემოც. აფხაზეთის განყოფილების მოხსენება არ ყოფილა მომხსენებლის გამოუცხადებლობის გამო. ამის გამო განყოფილებას საყვედური გამოეცხადა.

ლ.—ფაძე.

პროფმუშაობის ქრონიკა

— **ხარჯთაღრიცხვები და გეგმები ფაბქარხკომებში.** ც. გ. წინადადება მისცა ყველა ფაბქარხკომებს წარმოადგინონ ც. გამგეობაში მუშაობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვები ა.-წ. მეორე ნახევრისათვის და გასული კვარტალის ანგარიშები არა უგვიანეს 2 ივლისისა.

— **კავშირის ისტორია.** ც. გამგეობამ გამოჰყო კომისია კავშირის ისტორიის მასალების შესაგროვებლად და დასამუშავებლად.

— **კავშირში წევრად გადარიცხვა.** ც. გ-ის გადაწყვეტილი აქვს გადარიცხოს კავშირში მშრალი ხის გამომხდელ სასტელ-საჩვენებელი სადგურის მუშა-მოსამსახურეები.

თელავის პროფბიუროში

— **მოჯამაგირეთა შრომის პირობების გამოკვლევა.** თელავის პროფბიურომ მოისმინა მოხსენება მოჯამაგირეთა შრომის პირობების მოგვარების შესახებ თელავის მაზრაში.

თემაღმასკომების მიერ ხშირად უყურადღებოდ რჩება მოჯამაგირეთა კომიტეტების თხოვნა-შუამდგომლობები და ისინი მონაწილეობას არ იღებენ მოჯამაგირეთა კომისიებში.

მაზრაში ხშირია შემთხვევები, როცა დამქირავებელი გაურბის წერილობითი ხელშეკრულების დადებას და თუ დადებს ხელშეკრულებას, იგი სისწორით არ სრულდება. ძალიან სუსტად დგას საქმე დაქირავებულთა შრომის პირობების შესწავლის მხრივაც. პროფბიურომ დაადგინა გაგზავნოს მთა-ტყის კავშირის წარმომადგენელი და შრომის ინსპექტორი პირველ რიგში შილდის, ყვარელის და ახალსოფლის რაიონებში აღნიშნული საკითხების მოსაწესრიგებლად.

— **ფშავლის საკავშირთაშორისო სამდივნოს გაუქმება.** პროფბიურომ დადგენილებით ა.-წ. 15 ივნისიდან გააუქმა ფშავლის საკავშირთაშორისო სამდივნო და მისი საქმეები გადაეცა პროფბიუროს.

ოზურგეთის პროფბიუროში

— **მუშურ გაზეთების გავრცელება.** პროფბიურომ დაავალა ყველა კავშირების განყოფილებებს ჩაატარონ კამპანია მუშური გაზეთების გავრცელებისათვის.

— **პასუხისმგებელ მდივნის გამოყოფა.** პროფბიუროს პასუხისმგებელ მდივნად გამოიყო ამხ. ნიკოლაიშვილი.

— **მომჭირნეობის რეჟიმისათვის.** პროფბიურომ დაავალა ყველა კავშირებს წარმოება-დაწესებულებებში ეკონომიური თათბირების ჩატარება მომჭირნეობის რეჟიმის საკითხების გარშემო.

აჭარისტანის პროფსაბჭოში

— **დღიური მუშების დაზღვევა.** აჭარისტანის პროფსაბჭომ დაადგინა დაზღვეულ იქნენ სალიბაურისა და ჩაქვის მამულების მუდმივი დღიური მუშები.

სეტყვა და თოვლი

ივლისის პირველ რიცხვებიდან ბორჩალოს მაზრაში განუწყვეტლივ სწვიმს. ბაშკიჩეთის ზოგიერთ რაიონების ზოგიერთ თემებში მოვიდა თოვლი. საშუალო ტემპერატურა ლუქსემბურგის რაიონის სოფელში 21-22 გრადუსს არ აღემატება.

2 ივლისს, ხერთვისის, შადრევანის, ყვარშას რაიონებში (ახალქალაქის მაზრა) მოვიდა ძლიერი სეტყვა, რომელმაც საგრძნობლად დააზიანა ნათესები და ხაილე ბაღები.

ექსკურსიები

დასვენების დღის გამოყენება

19 ივლისი დასასვენებელი დღეა. საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას განზრახული აქვს ორი დღის შესვენება გამოიყენოს მთელ რიგ ექსკურსიების გასამართავად.

პირველად ამ სეზონში იმართება მასიური ექსკურსია ბორჯომში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 350—400 კაცი. ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სამმართველომ ექსკურსანტებს დაუთმო სპეციალური მატარებელი.

ექსკურსიის მიზანია—საკურორტო აღმშენებლობის გაცნობა.

მეორე ექსკურსია იმართება ბაკურიანში. ამ ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 50 კაცი. მოგზაურობის მიზანია ცხრა-წყაროზე ასვლა.

„ავტოპორმტორგ"-თან სწარმოებს მოლაპარაკება ექსკურსანტების გადაყვანის შესახებ კავკავამდე. განზრახულია ამ ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღოს 100 კაცმა.

ამ ექსკურსიების გარდა გაიმართება ექსკურსია მცხეთაში და ზაჰესში.

ექსკურსიების მოსაწყობად გამოყოფილია კომისია ამ. ქმონძერის, ორჯონიკიძის და თავდგირიძის შემადგენლობით.

საექსკურსიო ბაზა

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ პროფსაბჭოს საერთო ბინაში მოაწყო საექსკურსიო ბაზა, რომელიც მიიღებს მეზობელ რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ექსკურსიებს. ექსკურსანტებს ეძლევა ბინა და რჩევა-დარიგება; ამას გარდა გამოყოფილი იქნებიან ექსკურსიების ხელმძღვანელები. რამოდენიმე დღის განმავლობაში საექსკურსიო ბაზაში გაიარა 200 კაცმა.

კომუნარების ბაღი

26 კომუნარების ბაღის გასამშვენიერებლად, ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. ბაღში არსებული ტრანსპორტის მუშების ცხალი ყვავილებიდან. იქვე კეთდება დიდი აუზი და შადრევნები. ახლო მომავალში შეუდგებიან მთავარ შესავლის კარების აგებას.

კომუნარების ბაღის სადღესასწაულო გახსნა მოხდება 20 ივლისს.

ბაღში არსებული ტრანსპორტის მუშების კლუბი (ყოფ. ეკლესია) აღებული იქნა. იქ ესლა კეთდება ყვავილბონდი.

ახალი ფაბრიკა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ტყავის ტრესტის ქეჩას ფაბრიკისათვის აგოს ახალი შენობა; ახალი შენობის აგება გამოწვეულია იმით, რომ არსებული შენობა არ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას. სანიტარულ ჰიგიენიური პირობები სრულებით არ აკმაყოფილებს შრომის დაცვის თანამედროვე პირობებს. ტეხნიკურის მხრივ შენობა საშიშია მუშებისათვის სიძველის გამო. ახალი ქარხანა წლიურად დაამზადებს 18.000 ფუთ ქეჩას.

ქარხანაში დადგმული იქნება საზღვარგარეთიდან მიღებული ახალი მანქანები. ფაბრიკაში იმუშავებს დაახლოვებით 100 კაცი.

ფაბრიკის მთავარი კორპუსი იქნება ოთხ სართულიანი; შენობის ორივე მხარეზე დადგმული იქნება ცეცხლგამძლე კიბეები.

ფაბრიკის ახალი შენობის პროექტი განსახილველად გადაცემულია საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო-ტეხნიკურ კომიტეტში.

აბრეშუმი

პარკის შეკრება უკვე დაიწყო და იგი წარმატებით მიმდინარეობს. პარკის შესყიდვა სწარმოებს საზ-ბა „აბრეშუმი"-ს აპარატის, მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებების და საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

აბრეშუმის პარკის მოსავლით წელს გლეხები კმაყოფილი არიან. როგორც ხარისხის, ისე მოსავლიანობის მხრივ, წელს პარკის მოსავალი საშუალოზე უკეთესია.

1925 წელში მთელ საქართველოში დარიგებული იყო 78.000 კოლოფი თესლი, ხოლო შეკრებილი იქნა 105.000 ფუთი ნედლი პარკი, თითოეულ კოლოფიდან მიღებული იყო 1 ფუთი და 18½ გირვანქა პარკი. წელს კი დარიგებულ იქნა 92.000 კოლოფი თესლი, ხოლო მოსავლიდან ჯერ-ჯერობით შეკრებილ პარკის მიხედვით, თითოეული კოლოფი იძლევა 1 ფუთს და 20 გირვანქა პარკს; ამ გვარად მოსალოდნელია 138.000 ფუთი ნედლი პარკის შეკრება.

პარკის პატრონთათვის ფულის მიწოდებაში დაყოვნებას არ აქვს ადგილი; ფულის გაცემა სწარმოებს თავის დროზე.

პარკის შესყიდვა დაიწყო 25 ივნისიდან; 1 ივლისამდე უკვე შესყიდულია 35.000 ფუთი პარკი.

ტრაქტორიზაცია

თბილისის მაზრის გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს ტრაქტორებისადმი. გლეხობა დიდათ მოწადინებულია შეიძინონ ტრაქტორები, მაგრამ უსახსრობის გამო დღემდე ეს ვერ მოუხერხებიათ. გაუწყია რა ამას ანგარიში, თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრაში დაარსოს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები, რომლებსაც ნისიათ შეღავათიან პირობებში გადაეცემათ ტრაქტორები. გლეხობა ამ განზრახვას დიდი სიხარულით შეხვდა და შეუდგა ამხ-ბების მოწყობას. ამჟამად მაზრაში უმთავრეს თემებში თითქმის ყველგან დაარსდა ამხ-ბები, რომელთა წევრები ტრაქტორით სარგებლობენ უფასოთ, არა წევრები 1 დესეტინა მიწის დასახნავად იხდიან 15 მანეთს.

ქრონიკა

უფასო დეპეშები

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს, მეტეოროლოგიური შინაარსის დეპეშები მიღებული და გადაგზავნილი იქნას უფასოდ.

პროფტეხნიკური განათლება

ა.-კ. კომისართა საბჭომ დაარსა სპეციალური კომისია, ა.-კავკასიის რესპუბლიკებს შორის პროფგანათლების საქმისათვის საჭირო თანხების გასანაწილებლად. კომისიის მუშაობა გასტანს 10 ივლისამდე.

თბ. აღმასკომში

— **საბავშო სახლი.** ორი საბავშო სახლი ცენტრიდან გადატანილი იქნა ორთაჭალაში მირზოევისეულ სახლში.

— **ცენტრალურ საავადმყოფოში.** ჯანმრთელობის განყოფილებამ შემოიღო ნევროპატოლოგიური სნეულების მკურნალობა.

— **ტრამვაის ახალი ხაზები.** ტრამვაის სამმართველო ახლო მომავალში შეუდგება ტრამვაის ახალ ხაზების გაყვანას ვაკეზე, ნაძალადევში და შუა ბაზრის ქუჩაზე.

განათლების კომისარიატში

— **სამეცნიერო დაწესებულება.** თბილისში ამჟამად არსებობს 18 სამეცნიერო დაწესებულება.

— **კარსანის ობსერვატორიასთან აღდგენილი** იქნა სავსებით სამაგნიტო განყოფილება.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **აფთიაქები.** ჯანმრთელობის კომისარიატმა ამბულატორიებთან გახსნა 4 აფთიაქი.

— **სახმედვაჭრობამ** პროვინციისათვის დაამზადა დიდძალი მექანიკურად დასარიგებელი წამლეულობა.

მიწათმოქმედ. სახ. კომისარიატში

— **საქ. სასოფლო და სატყეო მეურნეობის აღდგენისათვის.** სრულიად საკავშირო საგეგმო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ შედგენილი 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა საქართველოს სასოფლო და სატყეო მეურნეობის აღდგენისა.

— **სას.-სამ. მანქანების გამოცდა.** ხვალ, ივლისის 8-ს, იწყება ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მყოფ სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანების და ტრაქტორების გამოცდა საანგებო კომისიის მიერ.

— **დოღების მონაწილე ცხენების გამოკვლევა.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან არსებულმა მესაქონლეობის ბიურომ ჩაატარა განვლილ სეზონში თბილისის იპოდრომზე გამართულ დოღების მონაწილე ცხენების გამოკვლევა.

სხვადასხვა

— **მუშათა ახალ კლუბში** (ყოფ. „ქართული კლუბი") დღეს, 7 ივლისს გაიმართება სატირის, ჰიუმორის და ცეკვის საღამო.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, 7 ივლისს მართავს ექსკურსიას ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მსურველნი უნდა შეიკრიბონ მუშტაიდის ბაღში, საღამოს 5 საათზე.

შემთხვევები

—**დაჭრა.** 3 ივლისს ყიფიანის ქ. № 11 წინა გუგუშვილმა რევოლვერით დაიჭრა თავი.

— **ქურდი შვილი.** 3 ივლისს ლენინის ქ. № 64 ნიკოლოზ ნაცვლიშვილმა გაქურდა თავის მშობლების ბინა.

— **შეპყრობა.** 3 ივ. ქურდობისათვის შეიპყრეს ალაჯან ზარალიანცი.

— ამავე დღეს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ოგანეზოვი და ხორსენ სიმონიანცი.

—**შეპყრობა.** 5 ივლისს ქურდობისათვის შეიპყრეს გრიგოლ გარელოვი.

5 ივლისს დააპატიმრეს ბარბარე მიხეილოვის ბინის გამქურდავები ვიქტორ გონჩაროვი და ვიაჩესლავ ბორონოვსკი.

ამავე დღეს დააპატიმრეს ქურდი ვასილ არაქელოვი.

4 ივლისს შეიპყრეს ასი ასისი, რომელსაც ბრალდება მხითაროვის ბინის გაქურდვა.

ამავე დღეს შეიპყრეს გაუსწორებელი ქურდი გრიგოლ კოვერსკი.

— **ქურდობა.** 4 ივ. კირპიჩნი შესახვევი № 10 გაქურდეს ნიკოლოზ მახაიძის ბინა.

— **ჯიბგირობა.** შეიპყრეს ვარიონ ასლანოვი, რომელმაც არტემ ასროტაშვილის ჯიბიდან ამოაცალა საფულე.

5 ივლისს დააპატიმრეს ჯიბგირი სერგო მანუკოვი.

— **თავდამსხმელები.** 5 ივლისს შეიპყრეს მოქ. შერლოვის გამძარცველები ვლადიმერ და გიორგი ჯიქიები.

— **ქურდობა.** 5 ივლისს ზუბალაშვილის ქ. № 11 გაქურდეს პეტრე დუნდუას ბინა.

ამავე დღეს სურფ-კარაპეტის ქ. № 20 გაქურდეს გიორგი გიორგაძის ბინა.

ამავე დღეს გაქურდეს წითელ დროშოვან არმიის ლაზარეთი.

მეურნეობის აღდგენა

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს მიმართა თხოვნით,—წარმოადგინონ საჭირო ცნობები ადგილობრივი მეურნეობის აღსადგენი გეგმის დასამუშავებლად 1926—27 წლისათვის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მეურნეობის აღსადგენი გეგმა დამუშავებული სახით უნდა წარედგინოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას მიმდინარე წლის 20 ივლისისათვის.

რესპუბლიკების საგეგმო კომისიებმა უნდა წარადგინონ ცნობები მეურნეობის მთავარი დარგების შესახებ მიმდინარე წლის განმავლობაში. ცნობებში აღნიშნული უნდა იქნენ დაწესებულებები და წარმოებანი, მათი ნამდვილი შემოსავალ-გასავალი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. უნდა იქნენ აგრეთვე ადგილობრივი მეურნეობის ცალკე დარგების გაუმჯობესების გეგმები და გასაუმჯობესებლად მისაღებ ღონისძიებათა ეკონომიური დასაბუთება ამასთან ერთად გამოთქმული უნდა იქნეს შეხედულებანი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია განზრახულ ღონისძიებათა გატარება იმ თანხების ფარგლებში, რომლებსაც ითვალისწინებს ახალი დებულება ადგილობრივი ფინანსების შესახებ. საჭიროა თუ არა, ახალი წყაროების გამოძებნა ადგილობრივი შემოსავლის გასადიდებლად.

ძველის-ძველი ტყე

განათლების სახალხო კომისარიატმა მიწად. მოქმედების კომისარიატთან ერთად მიიღო შესაფერი ზომები თელავის მაზრაში არსებულ ძველის-ძველ უღრან ტყის დასაცავად. ამ ტყეში ჯერ ადამიანის არ შეუდგამს ფეხი. ტყეს უხსოვარ დროის ხეებისა და სხვადასხვანაირ ძვირფას ჯიშიან მცენარეებით, აქვს მსოფლიო მნიშვნელობა.

სამრეწველო გეგმები

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ წინადადება მისცა თავის ქვემდებარე ტრესტებს, შენაერთებს, ადგილობრივ მეურნეობათა განყოფილებებს, აფხაზეთის ს. მ. უ. ს. აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს და სამხრეთ ოსეთის ს. მ. უ. ს. წარმოადგინონ 1926--27 წლის სამრეწველო გეგმები.

ტრესტების სამრეწველო გეგმები უნდა წარადგინონ სახელმწიფო მრეწველობის სამმართველოს თვითეული დარგის შესახებ ცალკე. ყოველ გეგმას თან დართული უნდა ჰქონდეს განმარტებითი ბარათები თუ რატომაა ეს თუ ის ზომა გეგმაში გათვალისწინებული.

სამრეწველო გეგმების განხილვა უნდა დასლა წარმოდგენილი მასალები დაგროვებულ იქნება სახელმწიფო სამმართველოში.

სამრეწველო გეგმების განხილვა უნდა დასრულდეს 25 აგვისტოსათვის. რის შემდეგაც რესპუბლიკის საერთო სამრეწველო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სავეტერინარო ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ ივნისის განმავლობაში 16 დიაგნოსტიური გამოკვლევა მოახდინა, დაამზადა 19 ლიტრი ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი. მაზრებს გაეგზავნა 4.805 გრამი ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო ვაქცინა და 28.550 გრამი ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი. ივლისის 1-სათვის მომარაგებულია ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო ვაქცინები 21.350 გრამი და ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი 22.245 გრამი. ლაბორატორიას ჰყავს საცდელი პირუტყვები და ფრინველები: 12 ცხენი და ჯორი, ტურა, ბუ, არწივი, 76 კურდღელი, 62 ზღვის გოჭი და სხვ.

დახოცილი საქონელი

საქართველოს მიწათმოქმედების სავეტერინარო განყოფილების ცნობებით 1924—25 საოპერაციო წლის განმავლობაში საქართველოში საქონლის ჭირით დაავადმყოფდა 4.409 სული საქონელი. ამ რიცხვიდან ჭირის საწინააღმდეგო შრატით აცრამდე დაილუპა 2.173 სული, და აცრისა და ჭირიანი საქონლის სისხლის შეზხაპუნების შემდეგ—585. გარდა ამისა, სისხლის მისაღებად აცრისათვის დაკლული იქნა 70 სული.

გასული წლის განმავლობაში ჭირის საწინააღმდეგო შრატი აეცრა მთელ საქართველოში სულ 65.785 სულს საქონელს. საერთოდ ჭირის საწინააღმდეგო შრატის აცრის შემდეგ დაილუპა აცრილ საქონლის მთელი რაოდენობისა ერთი მეათედი.

1925 წლის ოქტომბრიდან 1926 წლის ივნისამდე მთელს საქართველოში დაიხოცა სულ 4.712 სული. 1926 წლის იანვრამდე დახოცილ საქონლის რიცხვი უდრის 3.435-ს. ხოლო პირველ იანვრიდან მიმდინარე წლის 1 ივნისამდე 1.277 სულს. გლეხობის საერთო ზარალი 1924 წლიდან 26 წლის ივნისამდე უდრის 376.960 მანეთს, თუ თითო სულის საქონლის ღირებულება 80 მანეთად იქნება ნაანგარიშევი.

ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი 1924—25 საოპერაციო წლის განმავლობაში აეცრა 52.574 სულ საქონელს. ციმბირის წყლულით დახოცილი საქონლის ღირებულება 1924 წლის ოქტომბრიდან 26 წლის 1 ივნისამდე უდრის 1.880 მანეთს.

ამავე განყოფილების ცნობით გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში სხვადასხვაგვარ ეპიზოოტიას ადგილი ჰქონია საქართველოს 662 პუნქტში.

ექიმების შემოწმება

საექიმო საქმის რაციონალურათ დაყენების და სამკურნალო დაწესებულებებში ახალი ექიმების მიღებისას კვალიფიციური ექიმების შერჩევის მიზნით,—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა შემოიღო საკონკურსო მიმღებ კომისიების სისტემა.

საკონკურსო კომისიები დაარსებულ იქნებიან სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებებთან, ქალაქებში—საქალაქო ჯანმრთ. განყოფილებებთან; გარდა ამისა მოეწყობა რესპუბლიკანური საკონკურსო კომისია, რომელიც იმუშავებს ჯანსახკომთან.

რესპუბლიკანურ საკონკურსო კომისიას დაევალება უმთავრესად შეარჩიოს საჭირო ცოდნის და გამოცდილების ექიმები ცენტრალურ-საჩვენებელ სამკურნალო დაწესებულებათათვის.

შინამრეწველობა

მიწათმოქ. სახ. კომისარიატთან არსებული შინამრეწველობის განყოფილება, როგორც აღნიშნული გვქონდა. უქმდება. სამაგიეროთ ამგვარი განყოფილება არსდება სახ. მეურ. უმაღ. საბჭოსთან. მეურნ. უმაღ. საბჭომ უკვე შეიმუშავა დებულება ამ განყოფილების სახელმძღვანელოთ. დებულების მიხედვით, განყოფილების მიზანია ხელი შეუწყოს შინამრეწველობის ტეხნიკის გაუმჯობესების საქმეს,—საფეიქრო და სამრეწველო ტეხნიკუმების, საინსტრუქტორო სკოლების, სანიმუშო სახელოსნოების, მუზეუმების, გამოფენების და სხ. შესაფერ სამოსწავლო დაწესებულებების მოწყობას, თაოსნობს შინამრეწველთა კოოპერატიულად შეკავშირებას, ადგენს შინამრეწველობის გეგმას და ხარჯთაღრიცხვას და სხვ., აგრეთვე ღებულობს ზომებს შინამრეწველთა მდგომარეობის დასახმარებლად, უწევს მათ როგორც ფინანსიურ, ისე კულტურულ - ორგანიზაციულ დახმარებას და სხ. ამ განყოფილების მიზანია რესპუბლიკის მასშტაბით ჩაუდგეს სათავეში შინამრეწველობის საქმეს და მიიღოს ზომები მის განსავითარებლად.

განათლების ფრონტზე

სახკომსაბჭოს მიერ არჩეულ კომისიის დასკვნის თანახმად, დამტკიცებულ იქნა იმ დაწესებულებათა სია, რომლებიც 1926—27 საბიუჯეტო წლიდან გადაყვანილი არიან სახელმწიფო მარაგზე, სახელდობრ: თბილისის ქართული სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმი, თბილისის სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმი № 2 ქართულ და რუსულ განყოფილებებით, ლიუქსემბურგის გერმანული სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი, ქიქოძის სახელობის შინა-მრეწველობის საინსტრუქტორო სკოლა თბილისში, კარტოგრაფიული ინსტიტუტი, თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული პირველი საფეხურის სანიმუშო შრომის სკოლა, კოჯრის ახალშენი №№ 1, 2 და 3 და თბილისის საცდელ-საჩვენებელი საბავშო ბაღი.

გარდა ამისა სახელმწიფო მარაგზე გადმოყვანილია 1925—26 წლის განმავლობაში სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებათა ხარჯზე არსებული შემდეგი დაწესებულებანი: ა) ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმი, რომელთან უნდა გაიხსნას სააღმშენებლო განყოფილება, ბ) სიღნაღის სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმი, გ) გეოლოგიური ინსტიტუტი და დ) პოლიტგანათლების 82 სკოლა.

1926—27 საბიუჯეტო წლიდან სახელმწიფო მარაგზე გადაყვანილია წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა როგორც საცდელ-საჩვენებელი.

თბილისის № 1 ქიმიური ტეხნიკუმიდან გამოყოფილია ცალკე დამოუკიდებელ დაწესებულებათ სამიწათმზომლო განყოფილება, რომელსაც ეწოდება სამიწათმომწყობი ტეხნიკუმი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიური ფაკულტეტიდან გამოყოფილ იქნა ცალკე დამოუკიდებელ ფაკულტეტად ენათ-მეცნიერების განყოფილება.

თბილისის ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკიდან გამოყოფილ იქნა ამხ. ლუნაჩარსკის სახელობის საბავშო ბიბლიოთეკა.

განათლების სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, დაარსდა და ჩარიცხულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტზე 1926—27 საბიუჯეტო წლიდან შემდეგი ახალი დაწესებულებანი.

ა) გორის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი და ბ) კულაშის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი.

სასამართლო

კუციძის საქმე უზენაეს სასამართლოში

გუშინ უზენაეს სასამართლოში ამხ. ზედიას თავმჯდომარეობით და პროკურორ გაბუნიას მონაწილეობით გაირჩა საკასაციო საჩივარი კონსტანტინე კუციძის საქმეზე.

კუციძის აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ 10.296 მან. გაფლანგვისათვის და თამბაქოს ტრესტისათვის 10.250 მან. ზარალის მიყენებისათვის მისჯილი ჰქონდა დახვრეტა.

უზენაესმა სასამართლომ ხუთი საათის თათბირის შემდეგ დაადგინა კონსტანტინე კუციძის საკასაციო საჩივარი ოლქის სასამართლოს განაჩენზე დატოვებულ იქნას უშედეგოდ და მასზე მისჯილი უმაღლესი სასჯელი დახვრეტა დამტკიცებულ იქნას.

მსჯავრდადებულ კუციძის უფლება მიეცა შუამდგომლობა აღძრას ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე პატიების შესახებ.

თავდამსხმელები

სასამართლომ ნიკოლოზ **ფეიქრიშვილს** და ალექსანდრე **გოგინაშვილს**, როგორც თავდასხმისა და გაძარცვის ხელმძღვანელებს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით; აბრამ **ნარეკაშვილს** და ნიკოლოზ ელერდაშვილს—ორი წლით გამსახლში დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით.

სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულ ელერდაშვილის სოციალური მდგომარეობა, სასჯელი შეუმცირა ერთი წლით.

გაფლანგველ გაჩეჩილაძის საქმე

მიმდინარე წლის მაისის თვეში აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ალექსანდრე **გაჩეჩილაძის**, რომელსაც ბრალად ედება სახაზინო ფულის 1570 მანეთის მითვისება და გაფლანგვა.

ბრალდებული მსახურებდა თბილისის ცენტრალურ პარტსკოლაში მოლარეთ.

1925 წელში მომხდარმა რევიზიამ აღმოაჩინა, რომ მო. გაჩეჩილაძეს ყალბი საბუთების შედგენის საშუალებით მიუთვისებია და გაუფლანგია სახაზინო ფული 1570 მანეთის რაოდენობით.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ მას აღნიშნული თანხა დაეკარგა.

სასამართლომ გაჩეჩილაძე სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

გუშინ ეს საქმე გაირჩა უზენაეს სასამართლოში ამხ. **გალუსტიანის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **გაბუნიას** მონაწილეობით.

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი გაჩეჩილაძის საქმეზე. საქმე ხელ-ახლად გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

ავიაქიმში

რკინის-გზის რონოდების პარკის ავიოქიმის უჯრედი აერთიანებს 350 წევრს, მათ შორის პარტიულია 47, კომკავშირელი—12, დანარჩენი უპარტიო მუშა-მოსამსახურენი არიან. უჯრედს უშუალოდ ხელმძღვანელობს ბიურო; წევრები დიდ აქტივობას იჩენენ მუშაობის გასაცხოველებლად და განსამტკიცებლად, რაც დამტკიცდა იმით, რომ ყველა წევრებმა მიიღენ აქტიური მონაწილეობა და გაიღენ თავიანთი წვლილი დიდი გადაფრენის ხელის შემწყობ ფონდის გასაძლიერებლად. თავის დროზე შემოაქვთ საწევრო გადასახადი, რაც განისაზღვრება წლიურად 60 კაპ. რაოდენობით. ლენინის რაი-ავიოქიმის საბჭო შეძლებისდაგვარად პერიოდიულად აწოდებს უჯრედს ლიტერატურას, რომელიც ვრცელდება ავიოქიმის წევრებს შორის. უჯრედის მოთხოვნილების თანახმად იკითხება ლექციები ავიაციის და ქიმიურ მრეწველობის მნიშვნელობის შესახებ.

ი. ლ.

სახკინმრეწვი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საქართველოს კინო-მრეწველობას მიენიჭა განსაკუთრებული უფლებები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კინო-თეატრების მუშაობის მთლიანი ხელმძღვანელობის დაწესება-გაწევისა, მათი შემოსავლის კინო-მრეწველობის განვითარებისათვის რაციონალურად გამოყენებისა, ახალი კინო-თეატრების გახსნისა და როგორც მათი, ისე უკვე არსებული კინო-თეატრების ექსპლოატაციისა.

აღნიშნული საზოგადოების ზემოხსენებული უფლებები არ გავრცელდება საკლუბო და სასოფლო-ეკრანებზე.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი იმუშავებს სათანადო დადგენილების პროექტს ზემოხსენებულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ფეხბურთი

„დინამო"—„არსრაიონი"

გუშინ ლენინის სახელობის სტადიონზე უნდა გამართულიყო ბათომის ნაკრები გუნდის „დინამო"-ს ამხანაგური მატჩი, მაგრამ ბათომის გუნდის მოულოდნელი გამგზავრების გამო აღნიშნული შეჯიბრი არ შესდგა.

გამოცხადებული მატჩის მაგივრად, გაიმართა პირველი კატეგორიის გუნდების „დინამო"-ს და „არსრაიონის" ამხანაგური შეჯიბრი.

შეჯიბრი პირველობაზე აღნიშნულ გუნდებს შორის დამთავრდა 2 : 2, ამიტომ ხელმეორე შეჯიბრი მათ შორის დიდ სპორტიულ ინტერესს წარმოადგენდა.

თამაში იწყება დინამოელების შეტევით; მათ ხშირად მიაქვთ ბურთი მოპირდაპირის კარებთან, მაგრამ მათი ფორვარდები ვერ იყენებენ ხელსაყრელ მომენტებს.

არსრაიონელებიც თავის მხრივ ხშირად ძლიერ შეტევაზე გადადიან; მათ მარბუხს ლამაზათ მიაქვთ ბურთი „დინამო"-ს კარებისაკენ, მაგრამ „დინამო"-ს ხავბეკების ძლიერი წინააღმდეგობის გამო, იძულებული არიან უკან დაბრუნდენ.

ორივე მხარის მედგარი უშედეგო ბრძოლა გრძელდება თითქმის მთელი ხავტაიმი; ბოლოს „დინამო" ახერხებს პირველი ბურთის შეტანას „არსრაიონის" ჭიშკარში, მაგრამ ჩქარა არსრაიონელები აქვითებენ ანგარიშს („პენალტიდან") და თამაშის პირველი განყოფილება თავდება 1 : 1.

მეორე ხავტაიმში ბრძოლის ინიციატივა უკვე არსრაიონელების ხელშია; მათ მძლავრ იერიშებს ველარ იგერიებს „დინამო" და მის ჭიშკართან ხშირია სახიფათო მომენტები.

თამაშის მე-25 წუთზე „არსრაიონის" მარცხენა გარე-მარბი ლამაზათ ურტყამს ბურთს კუთხიდან, რომელსაც ვერ იჭერს ცომაია და, ამრიგად, „დინამო"-ს ბადეში მეორე ბურთია მოქცეული.

ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს; დინამოელები ცდილობენ წაგებულის გაქვითებას, მაგრამ მათ იერიშებს რეალური ნაყოფი არ მოაქვს.

შეჯიბრი თავდება 2 : 1 „არსრაიონის" სასარგებლოდ.

შეჯიბრს აურებელი ხალხი დაესწრო.

იურიდიული დახმარება

თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება

კითხვა

ოზურგეთის სტამბაში ვითვლებით 3 თანამშრომლები. ერთი 15 მაისიდან გაწვეულია დროებით სამხედრო სამსახურში 3 თვის ვადით, (ე. ი. 15 აგვისტომდე). სტამბაში დარჩით მხოლოდ ორი მომუშავე, ამის გამო ძლივს ვასწრებთ საქმეებს და მის დაბრუნებამდე არც შეგვიძლია შვებულებაში წასვლა თუ დროებით ერთი კაცი არ დავიხმარეთ.

აქვს თუ არა ადმინისტრაციას იმის უფლება რომ არც კაცი დაგვახმაროს, და არც კომბინაცია მოგვცეს და გვითხრას: „შვებულებაში წადით შემდეგ, როცა მესამე მომუშავე დაბრუნდებაო ე. ი. როდესაც ჩვენ გვინდა შვებულება ზაფხულის თვეებში დასასვენებლად სადმე აგარაკზე და არა შემოდგომის თვეებში?

ამას გარდა, ჩვენ სტამბის მომუშავეებმა როდესაც დავდევით ხელშეკრულება ადმინისტრაციასთან ჩვენი კავშირის საშუალებით, სატარიფო კომისიის მიერ ჩვენი თანრიგები ვერ იყო სისწორით დასმული, რაც ჩვენ განვასაჩივრეთ თბილისის მბეჭდავთა კავშირში. მბეჭდავთა კავშირის გამგეობისგან მივიღეთ ჩვენი ნამდვილი თანრიგები, რითაც გვემატებოდა ზოგს თითო თანრიგი და ზოგს ორი.

აქვს თუ არა ადმინისტრაციას იმის უფლება, რომ არ მოგვიმატოს თანრიგები და გვითხრას: ეხლა ხელშეკრულება უკვე დადებულია, ბიუჯეტი შედგენილია წლის ბოლომდე და მომავალ საბიუჯეტო წლამდე არავითარი მომატება არ შეიძლებაო.

სტამბის მუშა გ. ნიკოლაიშვილი.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ისა,ადმინისტრაცია ვალდებულია იმ მუშამოსამსახურეს, რომელსაც განუწყვეტლივ უმუშავნია წარმოება-დაწესებულებაში ხუთ ნახევარ თვის განმავლობაში, მისცეს საკალენდრო წლის განმავლობაში ერთხელ მორიგი შვებულება სანგრძლივობით არა ნაკლებ ორი კვირისა. მხოლოდ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაცია აუცილებლად ვალდებულია ხუთნახევარი თვის გასვლისას დაუყოვნებლივ მისცეს მორიგი შვებულება დაქირავებულს სურვილისამებრ. მას (ადმინისტრაციას) შეუძლია მორიგი შვებულება გადასდვას საკალენდრო წლის ბოლომდე თუ კი ამას მოითხოვს წარმოების ინტერესები.

რაც შეეხება თანრიგების საკითხს, თუ კი ხელშეკრულებაში, რომელიც თქვენ კავშირს აქვს დადებული ადმინისტრაციასთან, შეტანილია რაიმე შეცდომა, ამის შესახებ თქვენმა კავშირმა უნდა გამართოს ადმინისტრაციასთან სათანადო ოფიციალური მოლაპარაკება და მოითხოვოს არა სწორ მუხლების შეცვლა.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

გთხოვთ განმარტებას თუ რამდენი უნდა ვიხადო ბინის ქირა თითეულ კვადრატიულ არშინზე; ვცხოვრობ 10 უბანში, გოგოლის ქუჩა № 59 ვცხოვრობ ძირს პირველ სართულზე; ვმსახურობ რკინისგზის მოძრაობის დარგში; ჯამაგირს ვღებულობ მე-6 თანრიგით 34 მან. 40 კაპ.

ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 14109).

პასუხი

ბინის ქირად თითეულ კვადრატიულ არშინზე იხდით კაპეიკ ნახევრის რაოდენობით (1,5 კაპ.).

მეცნიერება და ტეხნიკა

სამზარეულოს ქარხანა

ივანოვო-ვოზნესენსკში მოეწყო და ამუშავდა საბჭოთა კავშირში პირველი ფაბრიკა ცხელი საჭმლის დასამზადებლად. საწყისებად მუშაობის დროს ფაბრიკას დღე-ღამეში შეუძლია 15.000 სადილის დამზადება.

ფაბრიკა მოაწყო გემო-კვების მუშაკთა კავშირმა ორი საფეიქრო ტრესტის დახმარებით. ფაბრიკის საქვაბო განყოფილება, რომლის საშუალებითაც ათბობენ ფაბრიკის ყველა შენობებს და ქვაბებს სამზარეულოში და პურცხლეულობის სარეცხ განყოფილებაში, მოთავსებულია ცალკე შენობაში და მთავარ შენობასთან შეერთებულია მიწის ქვეშა გვირაბით.ამ გვირაბში მოდის წყალსადენი, რომელიც წყალს აწვდის ქვაბებს და ორთქლსადენი, რომლითაც ორთქლი მიდი ფაბრიკის შენობების გასათბობათ.

ფაბრიკის ხარდაფში მოთავსებულია საწყობები და საციებელი სამანქანო განყოფილებით.

პირველ სართულში მოთავსებულია თვით სამზარეულო, სადაც პროდუქტები საწყობებიდან და საციებელიდან იგზავნება სპეციალური ამწევი მანქანების საშუალებით. სამზარეულოში ორი განყოფილებაა: 1) სამანქანო-დამამზადებელი და 2) სახარშავი. სამანქანო-დამამზადებელ განყოფილებაში, რომელიც მომარაგებულია ელექტრონის ხორცის საკეფავი მანქანებით, მექანიკური სარეცხი და სხვა მოწყობილობებით, სწარმოებს პროდუქტების გარეცხა, გაწმენდა, დაჭრა და არევა. რაც შეუძლებელია მანქანით გაკეთდეს (მაგალითად პროდუქტების დაყოფა), კეთდება ხელით. ცალკე ოთახებში მოთავსებულია პურის საჭრელი და ნაყინის დასამზადებელი მანქანები.

სამზარეულოში მუშაობს: ერთი მთავარი მზარეული—ინსტრუქტორი, 12 მზარეული და 22 მათი თანაშემწე. თითეული მზარეული ცალკე საჭმლის დამზადების სპეციალისტია.

სამანქანო-დამამზადებელი განყოფილება დამზადებულ პროდუქტებს გადასცემს სახარშავ განყოფილებაში, სადაც სწარმოებს საჭმლის ხარშვა, შეწვა და ცხობა.

სამრეცხაო განყოფილებაში სწარმოებს ჭურჭლეულობის გარეცხა. ამისათვის დადგმულია ორი სამრეცხაო მანქანა. პირველი მანქანა, რომელიც ორთქლით 40 გრადუსამდე თბება, შეიცავს სოდისა და საპნით შეზავებულ წყალს და წმენდს ჭურჭელს საჭმლის ნარჩენებიდან. მეორე მანქანაში კი, რომელშიც 100 გრადუსამდი გამთბარი წყალია, ჭურჭელი საბოლოოდ ირეცხება.

მეორე მანქანიდან ამოღებული ჭურჭელი შრება მშრალი ჰაერის საშუალებით.

ქარხანა-სამზარეულოსთან მოწყობილია სასადილო 400 კაცისათვის.

სადილი ჯდება 25-დან—50 კაპეიკამდე.

მუსიკის სურათის გადაღება

4 წლის დაუღალავი მუშაობის შემდეგ ლონდონელმა ფიზიკოსმა **ფურნიე დ,ალბმა** დაამთავრა თავისი გამოგონება. ეს არის მოწყობილობა, რომელიც შესაძლებლად ხდის ხმის სურათის გადაღებას იმნაირად, რომ შემდეგ ადვილია ნეგატივზე სხვადასხვა ტონების წაკითხვა იმ თანდათანობით, როგორითაც ისინი წარმოიშობოდენ. მართალია, მუსიკის სურათის გადაღებას წინადაც ახერხებდენ, მაგრამ დღემდე ვერ აცილებიათ ის უხერხულობა, რომ სხვადასხვა ტონები ირეოდენ ერთმანეთში და ნეგატივზე ერთ ანაბეჭდს იძლეოდენ. ახალი სიტყვა დ,ალბის გამოგონებაში ის არის, რომ მის აპარატში თითეული ტონი ცალკე გადაიღება და ამრიგათ ერთსა და იმავე ნეგატივზე შესაძ.-ლი ხდება მთელი მელოდიის სურათის გადაღება.

დედა-აზრი ამ გამოგონების, რომელიც მთელ ეპოქას წარმოადგენს ხმის სურათის გადაღების ისტორიაში, არსებითად მეტად მარტივია. ხმისადმი მგრძნობიარე ნაწილი აპარატისა შესდგება მთელ რიგ კამერტონებისაგან. თითეული მათგანი მომართულია განსაზღვრულ ტონზე და რეზონანს იძლევა (რყევას იწყებს) მხოლოდ მაშინ, როცა ახლო სადმე გაისმის სწორედ ამავე ტონის ხმა. გარეშე იმისა, ისმის თუ არა იმავე დროს სადმე ახლო სხვა ტონის ხმა. გამოგონების საიდუმლოება მდგომარეობს სწორედ ამ კამერტონების მომართვაში. თითეული კამერტონის თავზე მიმაგრებულია ქარსის (слюда) ნაჭერი. ქარსის ნაჭერზე კი მიმაგრებულია პატარა სარკე. კამერტონების რიგზე პატარა პროეკტორიდან მიმართულ სინათლეს, ეს სარკეები იტყორცნიან ეკრანზე, რომელზეც თითეული კამერტონი მოსჩანს პატარა ნათელ. წერტილის სახით. თუ ამ ეკრანს შევცვლით სინათლისადმი მგრძნობიარე ფირით (пленка), რომელიც თანდათანობით გაიშლება სპეციალური მექანიზმის საშუალებით, თითეული კამერტონი ფირზე აღიბეჭდება შავი ხაზის სახით. თუ რომელიმე საკრავ იარაღზე, მაგ. პიანინოზე აღებული იქნება განსაზღვრული ტონი, შესაფერი პატარა სარკე იწყებს რყევას და მის მიერ განატყორცნი სხივი დიდ ადგილს დაიჭერს სურათზე. ამრიგად თითეული ტონი წარმოდგენილი იქნება შესაფერი ხაზის კვანძისებური გაფართოებით. „კვანძის" სიგანე იქნება ხმის სიძლიერის მაჩვენებელი, სიგრძე კი—ხანგრძლივობის, ვინაიდან ფირი მოძრაობს (იშლება), თითეული ტონი მასზე აღიბეჭდება იმ რიგით, როგორითაც წარმოიშობა. სურათზე აღბეჭდილ ხმების აღდგენა ისევ შეიძლება საკრავ იარაღზე.

რასაკვირველია, ეს აპარატი იღებს ადამიანის ხმის სურათსაც მაგრამ მის სიტყვებს კი არ აღადგენს, არამედ ხმის ტემბრს.

ის პირები, რომლებსაც ეს აპარატი უნახავთ მოქმედების დროს, ამბობენ, რომ აპარატის წინ რაიმე სიტყვების წარმოთქმის დროს ეკრანზე „ცეკვას იწყებენ" თეთრი წერტილები, რაც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს ისიც, რომ ყველა ტონები არ აღიბეჭდებიან, რადგან ადამიანის ლაპარაკში ხშირია ისეთი ტონები, რომლებსაც არ შეეფერება არც ერთი კამერტონი დ,ალბის აპარატში. ამ შემთხვევაში სურათზე რჩება ცარიელი ადგილი.

დ,ალბი იმ აზრის არის, რომ მისი აპარატის საშუალებით შესაძლებელია ორკესტრის მიერ რაიმე მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სურათის გადაღება. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, საჭირო იქნება აპარატის მომარაგება კამერტონების მეტი რიცხვით, ვიდრე დ,ალბის პირველ საცდელ აპარატში მოპოვება. შემდეგ თანდათანობით შეიძლებოდა ადამიანის ლაპარაკის სურათის გადაღება.

დ,ალბი ცნობილი მეორე თავისი გამოგონებით, ე. წ. ოპტოფონით, რომელშიც სინათლის რყევა ხმათ იქცევა და ბრმებს ეძლევათ საგნების დანახვის შესაძლებლობა.

კრედიტები

ვინაიდან მიმდინარე საბიუჯეტო წელს შეუძლებელი ხდება საკავშირო საერთო თანხებიდან კრედიტის გაღება ა.-კავკასიაში შინამრეწველობის საჭიროებისათვის, ამიტომ ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. შემავალ რესპუბლიკების ფინსახკომებს 26—27 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანონ კრედიტები შინამრეწველობისათვის.

საკურორტო ბიუროები

საქართველოს საკურორტო ბიუროს განზრახვა აქვს ახლო ხანში მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირის მსხვილ ცენტრებში და სააგარაკო რაიონებში არსებულ საკურორტო ბიუროებთან.

სატელეგრაფო კავშირი უკვე დამყარებულია ზოგიერთ რაიონებთან, რაც ძლიერ აადვილებს სათანადო მუშაობას.

ასეთი კავშირის შემწეობით შესაძლებელი ხდება საქ. საკურორტო ბიუროს მეშვეობით აგარაკზე ბინის დაქირავება ყირიმში, ჩრდილო-კავკასიის აგარაკებზე, ლენინგრადის რაიონში და სხვა.

გარდა ამისა საკურორტო ბიუროების მჭიდრო ურთიერთობა ძლიერ აადვილებს კავშირის კურორტებზე ადგილების აღრიცხვას და მათ რაციონალურ გამოყენებას.

პარტიული კალენდარი

დღეს, ოთხშაბათს, [illegible] საათზე, შესდგება [illegible] კომიტეტის [illegible] სხდომა.

საორგანიზ[illegible] დასწრება სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 8 ივლისს, დილის 1½ საათზე, თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება ს. ა. ლ. კ. კ-ს თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

ს. ა. ლ. კ. კ-ს ყველა კანდიდატების, რომელთა ანკეტები თბილისის კომიტ. მიმღებ კომისიამ უნდა დაამტკიცოს, დასწრება სავალდებულოა.

კომკავშირის თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 8 ივლისს, 9 საათზე, შესდგება ეკონომ-კომისიის მორიგი სხდომა. ყველა წევრებისთვის და კავშირთა წარმომადგენლებისთვის დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან:

1) მესხი ნიკოლოზ, 2) საიანინი პროკოფი, 3) დანაიანი მიხეილ, 4)ბაგინოვი კონსტანტინე, 5) ტეტეოსოვი ალექსანდრე.

ლევან ალექსანდრესძე, კვაკვალა ლევანის ასული, ალექსანდრე, სარა, პავლე, და გალაქტიონ, შუშიკო გამყრელიძეები, დავით, კოტე, ტრიფონ, ალექსანდრე, ვლადიმერ შამშესძენი ლოლაძეები ოჯახობებით დამწუხრებულნი პირველის მეუღლისა, მეორესი დედისა, მესამესი, მეოთხესი, მეხუთესი და მეექვსესი რძლისა და დანარჩენი დისა

გალინა შამშეს ასული
გამყრელიძის

გარდაცვალებას, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართა, რომ მიცვალებულის გამოსვენება წასასვენებლად სოფ. ზოდში მოხდება, ქ. ბათომიდან, საღამოთი 6 ივლისს, და დაკრძალვა მოხდება სოფელ ზოდში 8 ივლისს, საღამოს, ხუთშაბათს. ნ. 1526

ღრმად დასევდიანებული მეგობრები: ვასიკო ლეჟავა, სერგო კორძაია, გრიშა ბერაძე, ალექსანდრე ბახტაძე, სერგო ბოკუჩავა, ვარლამ ფარულავა, სერიოჟა კახიანი, ალიოშა კვირკველია, იონა შენგელია და მიშა ჭანჭალეიშვილი ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ 5 ივლისს, ორშაბათს, დილის 8 საათ. ულმობელმა სიკვდილმა გამოგვტაცა ჩვენს რიგებიდან უგულითადესი მეგობარი და დაუვიწყარი ამხანაგი

ბენია სოფრომის ძე თევზაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში 8 ივლისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე. ნ. 1523

ღრმად დამწუხრებული მამა სოფრომ, დედა დომნა, ძმები: ალექსანდრე და ბრონისლავი (ჯულია), დები: თამარა, ფლორა და ვენერა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ორშაბათს, 5 ივლისს, უდროვოთ გარდაიცვალა ქ. ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმის მეორე კლასის მსმენელი ყველასთვის საყვარელი

ბენიამენ (ბენია) სოფრომის ძე თევზაძე

რომლის ტირილი და დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში ხუთშაბათს, 8 ივლისს, დღის 2 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ორპირის ქ. № 13. ნ. 1523

გულდათუთქულნი მეუღლე მარიამი, შვილი ეთერი, ძმა ლეონტი, რძალი ბაბუცა, ბიძაშვილის მეუღლე ნადია, ბიძაშვილები ლავრენტი, იასონ, მართა, პასიკო, ვალერია წურქავები, ეფროსინე თუთბერიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ღამის 12 საათზე, მიხეილის საავადმყოფოში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, ქ. ფოთის ნავთსადგურის სამმართველოს უფროსი ბუღალტერი

მიხეილ (მიშა) იოსებისძე წურქავა

მიცვალებული გადასვენებულ იქნა თბილისიდან ფოთში ორშაბათს ღამით, გამოსვენება მოხდება ქ. ფოთში ლევაშევის ქ. საკუთარ ბინიდან ნახუტურის სასაფლაოზე, ხუთშაბათს, 8 ივლისს, 5 საათზე. ქ. 3047

ღრმად დამწუხრებულნი, გულდათუთქულნი მეუღლე ნინა, შვილებით შოთა და ზეინაბ, მამა ანტონი, დედა მარიამ ეპიტაშვილები, დედის დედა ნამალო გეგელიშვილი გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა 25 წ, ჯან-ღონით სავსე, უსაყვარლესი დედ-მამის ერთა 1-ლ ქართულ ცხენოსან ლეგიონის ასისთავი

ალექსანდრე ანტონის ძე ეპიტაშვილი

პანაშვიდი 7 ივლისს, საღამოს 8 საათზე გამოსვენება ხუთშაბათს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე (ვერცხლის ქ. № 29) დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3053

გულდამწვარნი ბიძა—შვილები: დავით გიორგის ძე ეპიტაშვილი მეუღლე ნინოთი, ოლღა გიორგის ასული ტურაბელიძე მეუღლე ერმილე შვილებითურთ, ნინა გიორგის ასული თოზიშვილი, მარუსა, თამარ და გიგუშა ეპიტაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, ყველასათვის ძვირფასი, დაუვიწყარი და იშვიათი ადამიანი 1-ლ ცხენოსან ლეგიონის ასის თავი

ალექსანდრე ანტონის ძე ეპიტაშვილი

პანაშვიდი ოთხშაბათს, 8 ივლისს, საღამოს 8 საათზე გამოსვენება ხუთშაბათს, 9 ივლისს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე საკუთარ ბინიდან (ვერცხლის ქ. № 29) დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3055

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
სოლეი
ნ. 1446 0—5

დ ღ ე ს
ნიბელუნგები 3 და 4 სერია
მესამე და მეოთხე სერია (კრიმჰილდას შურისძიება) არაჩვეულებრივი გრანდიოზული მასიური სცენები
ა ნ ო ნ ს ი: ამ დღეებში ახალი შედევრი „რ ო ბ ი ნ გ უ დ"
პრემიერა კოვენკო, რიმსკი, კოლინის მონაწ.
„ქალი ნიღაბში"
ანონსი: მალე „საზეიმო სიყვარულის სიმღერა"
მე-3-ე და მე-4-ე სერია
„ამერიკელი ქალის თავგადასავალი"
არ გამოგრჩეთ შემდეგი სერიები

საზაფხულო
აპოლო
ორშაბათიდან
12
ივლისიდან
საუკეთესო სურათი
რობინ გუდი
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
ნ. 1527

ვამზადებ
უნივერსიტეტში შესასვლელად
მათემატიკაში და ფიზიკაში
20 წლის გამოცდილება
მისამართი. არაგვის შესახვევი ვერაზე მე-15 შრომის სკოლა გ. პ. ბახტაძე. დილის 8 საათ. 10 საათ.
2—1 ქვ. 3054

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეების კლუბი
დღეს 7 ივლისს **სიმფონიური კონცერტი** დღეს 7 ივლის
სტოლერმანის ხელმძღვანელობით. პროგრამაში: ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი. შეხერეზადე და ესპანური კაპრიჩიო სოლისტ მომღერლების ე. მ. მოლოვინგოს და ნ. ს. ბოდრსკის მონაწ.
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე
3051 ვ. ლობჟანიძე

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო
დაზღვევის სამმართველო
აცხადებს
რომ ა. კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს 4 სართულიან ქვის სახლის საკონკურსო პროექტის წარმოდგენის ვადა **10 ივლისიდან გადატანილია ა. წ. 25 ივლისისათვის.**
გამგეობა

გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 11 ივლის 1926 წ. საათის 8 თელეთში და 4 ს. ს. საღანლუღში მე-2 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის თელეთის კოოპერატივის მოძრავ ქონებას საბაკალეინო, საგალანტერეინო, სამანუფაქტურო და სხვ. საქონელს. შეფასებულ 669 მან. 12 კ. დასაკმაყოფილებლად საფეიქრო სინდიკატისა და ცეკავშირისა; ვაჭრობა დაიწყება თავისუფალ ფასიდან ქ. 3048

გარე-უბნის სახამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 13 ივლისს 1926 წ. 5 საათზე ფოთის ქ. № 20 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ისიდორე ნარსიას მოძრავ ქონებას ერთი ულაყი ცხენი, დიდი ტანისა შეფასებულს ას მან. დასაკმაყოფილებლად პავლე კეკელიასა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ქ. 3049

გურჯაანის და ლაგოდეხის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მ. დ. როსტიაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 11 ივლისს დღის 12 საათზე. სოფ. ლაგოდეხში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ლაგოდეხის სამხედრო ინვალიდთა არტელის „წითელი განთიადი"-ს ქონებას, რომელიც შესდგება საბარგო ავტომობილისაგან „მარკჰავარტი"-ს სისტემისა, დიდ საპნის სახარშ ქვაბისაგან, პრესისა, „შტამპი"-სა და სხვათაგან, შეფასებულს სამასთოხმეტ მანეთად (314 მან.), ა | კავ. საექსპორტო-იმპორტო კანტორის „ზაკგოსტორგი"-ს ოთხას (400 მან.) ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ლაგოდეხის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 1926 წ. 8 ივნისის თარიღით საქ. № 463 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. ნ. 1525

ქ. სურამში
გამოცდილ მასწავლებელთა ჯგუფი
ამზადებს აბიტურიენტებს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელ საკონკურსო გამოცდებისათვის.
მისამართი: მთავარი ქუჩა № 66.
5—1 3025 ლ. რევია

დავეძებ ჩემ თხუზულებების მყიდველს ან გამომცემელს—სასამართლოს ქუჩა № 48 ოთახი № 35, დილის 9—11 საათამდე და საღამოს 3—8 საათამდე.
2—1 ნ. 1524

ე ქ ი მ ი
მ ე გ რ ა ბ ი ა ნ ც ი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან **აგარაკ მანგლისში.** 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეზხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე.
ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ს უ რ ა მ ი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის
მისამარ.: აგარაკი მეიერისა. 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქავჭავაძის ქ. № 9.

სათვალეების მორგება
უ ფ ა ს ო დ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ე ქ ი მ ი ა. დ. კაკულია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8.
პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
25—53 71

დაიკარგა მოწმობა № 1167, მიცემული რუისის თემ-აღმასკომის მიერ პავლე ილიასძე კანდელაკის სახელზე, ჩ. გ. 3060

დაიკარგა ბავშის რძის წიგნაკი № 103 ნესტორ თედორესძე ცომაიას სახელზე, ჩ. გ. 3059

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 135 დავით ანდრიასძე კეიტიანის სახელზე, ჩ. გ. 3059

დაიკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი ფორმა № 4, კოსტა გვილავას სახელზე, ჩ. გ. 3057

დაიკარგა ბავშვის რძის წიგნაკი № 52, მოცემული ფოთის დამზღვევ სალაროს მიერ, სარდიონ ახვლედიანის სახელზე, ჩ. გ. 3057

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 1378 ვენედიქტე პაპალუას სახელზე, ჩ. გ. 3058

დაიკარგა პირადი სამხ. წიგნაკი სამსონ ჯანჯღავას სახელზე, ჩ. გ. 3058

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 1694 ივლიანე სტეფანესძე ცანავას სახელზე, ჩ. გ. 3058

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 209, ანასტასია გოგიას ასული ჯიშკარიანის სახელზე, ჩ. გ. 3057

დაიკარგა პირადობის მოწმობა ევგენი ევგენის ასული ევსეევას სახელზე, ჩ. გ. 3052

დაიკარგა სამხედრო სამსახურის წიგნაკი № 93, მოცემული ცალკე საკავშირო ასეულის მიერ აკაკი დონაძის სახელზე, ჩ. გ. 3056

დაიკარგა 1) პირადობის მოწმობა 2) წვევამდელობის დროებითი მოწმობა, 3) სტუდენტობის მოწმობა, 4) შვებულების მოწმობა და 5) განაცდების ჩაბარების მოწმობა მოცემული ყუბანის პოლიტეხნიკუმიდან, 6) კომკავშირის საკანდიდატო ბარათი მოცემული საკავშირო ლენინურ კომკავშირი კრასნოდარის რაიკომის მიერ სტეფა ფედოტის ძე შმრამკოს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 3050

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კამოს ქუჩა, 68